140
1988/2

ISSN 0132 - 6007

ჯიმწყარი

4
1988

ეროვნული ბიბლიოთეკა

ყველაზე აქტიური ადამიანი

ლ. კუნეცკაია,
კ. მაშტაკოვა

მხატვარი რევაზ ცუცქირიძე

ბავშვებს არ უნდა შიმშილობდნენ

1919 წლის გაზაფხული იდგა... უკრაინაში, კავკასიაში, ქვეყნის აღმოსავლეთში პური ბლომად იყო, მაგრამ სამოქალაქო ომმა ეს რაიონები ცენტრალურ სამრეწველო ოლქებს მოსწყვიტა და ხალხი შიმშილობდა. მოსკოვში განუწყვეტლივ მოდიოდა საჩივრები იმის თაობაზე, რომ არაფერი გააჩნდათ ბავშვების დასაპურებლად. ქვეყანაში მდგომარეობა უფრო და უფრო იძაბებოდა. მაისში საშიშროება პეტროგრადს დაემუქრა.

მაგრამ ამ დღეებშიც კი, როდესაც პეტროგრადის ბედი წყდებოდა, ვლადიმერ ილიას ძე არ ივიწყებდა ბავშვებს. 17 მაისს მან ხელი მოაწერა დეკრეტს, რომელიც ითვალისწინებდა 14 წლამდე ასაკის ბავშვების უფასო კვებას, მიუხედავად იმისა, თუ რა კლასობრივ კატეგორიას განეკუთვნებოდნენ მათი მშობლები; 12 ივნისს სახალხო კომისართა საბჭოს დადგენილებით გაფართოვდა დეკრეტის მოქმედება — ახლა შეღავათი 16 წლამდე ასაკის ბავშვებზეც გავრცელდა.

ეპოქის დამახასიათებელი დოკუმენტია ვ. ი. ლენინის ბარათი სურსათის სახალხო კომისრის ა. ცურუპასადმი (1919 წლის დასაწყისი):

„მშიერი ბავშვების კვირეული ყველა შემთხვევაში უნდა მომზადდეს, გამოცხადდეს და ჩატარდეს. იქნებ კიდევ რაღაცის გაკეთება მოგვეხერხებინა ბავშვებისათვის? საჭირო კი იყო...“

იმ მშიერ 1919 წელს ბევრი ცდილობდა, ლენინისათვის კრემლში პროდუქტები გამოეგზავნა. მაგრამ როცა მასთან ბინაში ასეთი ამანათები მოჰქონდათ, ვლადიმერ ილიას ძე დაუყოვნებლივ აგზავნიდა მათ ავადმყოფი თანამებრძოლების, საბავშვო სახლებისა და საბავშვო სასადილოებისათვის.

ერთხელ სერგეი მირონის ძე კიროვმა ილიჩს ასტრახანიდან საიდუმლო პაკეტი გამოუგზავნა და, ამასთან ერთად, — ცოტაოდენი კარაქი და ხიზილალაც. ამანათის მიღებისთანავე ილიჩმა ფოტიევას გამოუძახა და სთხოვა, დაუყოვნებლივ ყველაფერი ეს საბავშვო ბაღის ან ბაგის ბავშვებისათვის გაეგზავნათ.

ამანათის მომტანი ძალიან შეწუხდა. მან იცოდა, როგორ ეწყინებოდა ეს ამბავი კიროვს, მაგრამ არაფერმა გაჭრა, ლენინმა თავისი გადაწყვეტილება არ შეცვალა.

ყოფილი შინამოსამსახურე ალექსანდრა სისოევა ასეთ შემთხვევას იგონებდა: ერთხელ თურმე ვოლველმა მეთევზეებმა ვლადიმერ ილიას ძეს თართი ჩამოუტანეს. სანიას ძალზე გახარებია და თევზის გასუფთავებას შესდგომია.

„ძალიან კარგი! რამდენიმე დღე ვამყოფინებ ამ თევზს, თორემ ჩვენი ილიჩი ნახევრად მშიერია“, — ფიქრობდა ქალი.

ამ დროს სამზარეულოში ილიჩი შემოვიდა.

„რა შესანიშნავი თევზია! — თქვა მან. — საიდანაა?“

და როდესაც მეთევზეების ამბავი შეიტყო, მკაცრად შენიშნა:

„თქვენ, როგორც ჩანს, დაგავიწყდათ ჩემი თხოვნა — არავითარი საჩუქარი არ მიიღოთ! ეს თევზი შეახვიეთ და ახლავე გაგზავნეთ ბავშვთა სახლში“.

სანია უარზე იდგა:

„ვლადიმერ ილიას ძევ, თქვენც ხომ გინდათ ჭამა! ამდენს მუშაობთ და ჭამით კი....“

„გარშემო ბავშვები შიმშილობენ, თქვენ კი გინდათ თართით გამიმასპინძლდეთ! დღესვე, ახლავე გაგზავნეთ ბავშვთა სახლში!“

ვლადიმერ ილიას ძის მზრუნველობა ბავშვებზე ყოველდღიურად ვლინდებოდა. იგი ცდილობდა, სულ მცირე შესაძლებლობაც კი გამოეყენებინა, რომ ისინი შიმშილისაგან დაეხსნა.

ქვეყნის ყველა კუთხეში მიდიოდა სახალხო კომისართა საბჭოს თავმჯდომარის განკარგულებები. აი, ერთ-ერთი ტელეფონოგრამა, რომელიც პირდაპირი ხაზით გადაეცა ყირიმის სურსათის სახალხო კომისარს (1919 წლის 20 ივლისი):

„ველიკოროსიაში მძიმე სასურსათო მდგომარეობასთან დაკავშირებით, ბავშვთა, განსაკუთრებით ავად-

საქართველოს ალკკ ცკ-ის და ვ. ი. ლენინის სახელობის პიონერთა ორგანიზაციის რესპუბლიკური საბჭოს ყოველთვიური საბავშვო ჟურნალი

ПРОЛЕТАРИИ ВСЕХ СТРАН, СОЕДИНЯЙТЕСЬ!

ЗНАК ПОЧЕТА

ჰიონეერი

გამოდის 1926 წლიდან

საქ. კპ ცკ-ის გამომცემლობა 4 აპრილი 1988

ეროვნული ბიბლიოთეკა

18715

მყოფთა გამოსაკვები პროდუქტების უაღრესი სიმცირის გამო, წინადადებას გაძლევთ, ყირიმში არსებული ხილის კონსერვებისა და ყველის მთელი მარაგი დაუყოვნებლივ გაგზავნოთ მხოლოდ და მხოლოდ ველიკოროსიის ჩრდილოეთის რაიონების ავადმყოფი ბავშვებისათვის, სურსათის სახალხო კომისრის მისამართით. შესრულება სასწრაფოდ შემატყობინეთ.

თავდაცვის საბჭოს თავმჯდომარე **ლენინი**".

მიდიოდნენ ეშელონები, ვაგონები. ძვირფასი იყო თითოეული ქილა კონსერვი, ყოველი კილოგრამი ფქვილი, ყოველი ნატეხი შაქარი. ქვეყანა იბრძოდა ბავშვების გადასარჩენად — თავისი იმედისა და მომავლის გადასარჩენად.

ბავშვების ფრეში

არცთუ ისე ხშირად უხდებოდა ვლადიმერ ილიას ძეს ბავშვებთან ურთიერთობა, მაგრამ ეს ურთიერთობა მას უდიდეს სიხარულსა და სულიერ სიმშვიდეს ანიჭებდა. ბავშვებთან ყოფნისას მისი სიცილი განსაკუთრებით ხალისიანი იყო. მას იტაცებდა ბავშვების თამაში და ამ თამაშების აქტიური მონაწილე ხდებოდა.

ბავშვებთან ურთიერთობით ვლადიმერ ილიას ძე არასოდეს იღლებოდა. როდესაც კრემლის ტერიტორიაზე სასეირნოდ გამოდიოდა, იგი ხშირად ხვდებოდა ხოლმე ბავშვებს — კრემლში იმხანად არსენალისა და სხვა დაწესებულებათა მუშა-მოსამსახურეების ბევრი ოჯახი ცხოვრობდა. მთავრობის სასახლის გვერდზე იყო სკოლაც.

ბავშვებმა დაიმახსოვრეს დრო, როდესაც ილიჩი, ჩვეულებრივ, სასეირნოდ გამოდიოდა, და ყოველთვის ელოდებოდნენ. იმართებოდა საინტერესო საუბარი. ლენინის ყურადღებიან მზერას არაფერი გამოეპარებოდა. ერთხელ, სკოლასთან ჩავლისას ვლადიმერ ილიას ძემ შენიშნა, რომ ბავშვები ჭინჭის ბურთით თამაშობდნენ ფეხბურთს. იგი ერთხანს აკვირდებოდა ბავშვების თამაშს, შემდეგ კი ჰკითხა, ძნელია თუ არა ასეთი ბურთით თამაშიო. ცხადია, ძნელია, მაგრამ ახლა სად იშოვი ნამდვილ ბურთსო, — იყო პასუხი. ორი დღის შემდეგ სკოლაში ამანათი მოიტანეს. ნორჩი ფეხბურთელების სიხარული უსაზღვრო იყო — ამანათში შესანიშნავი ტყავის ბურთი აღმოჩნდა...

კრემლის სპასკის ჭიშკართან კარგა მოზრდილი თავდაღმართია. ზამთრობით იგი ციგებით სრიალის ასპარეზი ხდებოდა. ვლადიმერ ილიას ძე ხშირად მოდიოდა აქ. ბავშვები გულით ეპატიჟებოდნენ სასრიალოდ, და ისიც, ვინმესთვის გული რომ არ დაეწყვიტა, ჯდებოდა ყველაზე დიდ ციგაზე, ფანარჩენები ჯაჭვურად ჩაებმებოდნენ და „ციგების მატარებელი" თავაწყვეტილი მიჰქროდა თავქვე. რამდენი ხუმრობა და სიცილი იყო, განსაკუთრებით კი მაშინ, როცა რომელიმეს მოუქნელი მოძრაობა ციგებს ააყირავებდა და ყველანი თოვლის ნამქერში ცვიოდნენ!

ვლადიმერ ილიას ძეს შესანიშნა-

საქ. სსრ კ. ბიბლიოთ. სახ. სახ. რესპუბ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ვად ესმოდა ბავშვებისა და აძვილად პოულობდა მათ გულთან მისასვლელ გზას.

გორკაში, 1921-1922 წლების ზაფხულში, რ[illegible]ა უკვე მძიმედ ავადმყოფი იყო, იგი სიამოვნებით სეირნობდა ბავშვების თანხლებით, მათთან ერთად დადიოდა სოკოსა და კენკრის საკრეფად. მას ამშვიდებდა ბავშვების წკრიალა ხმა, უშუალობა.

თავის სიცოცხლის უკანასკნელ ახალ წელს ლენინი გორკას საბჭოთა მეურნეობის მუშების ბავშვებთან შეხვდა. მკაცრმა ექიმებმაც კი ვერ დაუშალეს ილიჩს საახალწლო ზეიმში მონაწილეობა. იცოდნენ, რომ ბავშვებთან გატარებული წუთები მას უფრო მეტ სარგებლობას მოუტანდნენ, ვიდრე წამლები და რეჟიმი. იმ საღამოს სახლში მხიარულება სუფევდა. ვლადიმერ ილიას ძე დიდხანს არ მოშორებია ბავშვებს, საჩუქრების დარიგებასაც კი დაესწრო...

რა საჭიროა მახვილი?

ოქტომბრის რევოლუციის შემდეგ, როცა ჩვენს ქვეყანაში ყველაფერი ახლად იქმნებოდა, საჭირო გახდა ახალი, კაცობრიობის ისტორიაში პირველი მუშათა და გლეხთა სახელმწიფოს გერბის შექმნა. 1918 წლის დასაწყისში ვლადიმერ ილიას ძე ლენინს მიუტანეს მისი თხოვნით შექმნილი გერბის პროექტი. ლენინი ამ დროს თათბირზე იყო. ნახატი მაგიდაზე დაუდეს.

— რა არის ეს? — იკითხა ლენინმა. — გერბი? საინტერესოა. ვნახოთ ერთი, — წინ გადაიხარა და დააცქერდა. სხვებიც დაინტერესდნენ. წითელ ფონზე პურის თავთავებით გარშემორტყმული ამომავალი მზის სხივები ციმციმებდნენ. შუაში ერთმანეთზე გადაჯვარედინებული ჩაქუჩი და ნამგალი ეხატა. მაღლა, თავთავებს შორის, აღმართული იყო მახვილი.

— საინტერესოა, — თქვა ვლადიმერ ილიას ძემ, — იდეა არის, მაგრამ რა საჭიროა მახვილი? ჩვენ ვიბრძვით და ვიბრძოლებთ, ვიდრე პროლეტარიატის დიქტატურას არ განვამტკიცებთ, ვიდრე ჩვენი ქვეყნიდან თეთრგვარდიელებსა და ინტერვენტებს არ განვდევნით, მაგრამ ძალმომრეობა არ არის და არც შეიძლება იყოს ჩვენი მიზანი, დაპყრობითი პოლიტიკა უცხოა ჩვენთვის, ჩვენ თავს კი არ ვესხმით, თავს ვიცავთ მტრებისაგან. ჩვენი ბრძოლა თავდაცვითია და მახვილი ჩვენი ემბლემა არ არის. მახვილი მაგრად უნდა გვეჭიროს ხელში, რათა დავიცვათ ჩვენი პროლეტარული სახელმწიფო მანამდე, ვიდრე მტერი გვყავს, ვიდრე თავს გვესხმიან, გვემუქრებიან, მაგრამ ეს იმას არ ნიშნავს, რომ ასე იქნება ყოველთვის. ამიტომ სოციალისტური სახელმწიფოს გერბს უნდა მოვაშოროთ მახვილი, — ვლადიმერ ილიას ძემ ნახატზე ფანქრით ხაზი გადაუსვა მახვილს, — სხვა მხრივ გერბი კარგია, ამ შესწორებით უნდა მივიღოთ.

მხატვარმა, რომელიც ყურადღებით უსმენდა ლენინის შენიშვნას, ერთი კვირის შემდეგ გერბის ახალი პროექტი მოიტანა. ნახატზე მახვილი უკვე აღარ იყო. გერბი წითელი ვარსკვლავით იყო დაგვირგვინებული. ლოზუნგი „პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!“ უფრო გამოკვეთით ეწერა და მკაფიოდ იკითხებოდა. ეს გახლდათ რუსეთის საბჭოთა ფედერაციული სოციალისტური რესპუბლიკის გერბი. იგი გასაგები იყო ყველა მშრომელისათვის.

ლენინის მიერ მიღებული და დამტკიცებული ეს გერბი საფუძვლად დაედო საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირის სახელმწიფო გერბს.

მარგო თომაძე

ლიანა შეწირული,
თბილისის 1-ლი საშუალო სკოლის დირექტორი

ყოველი თქვენგანი, ალბათ, გრძნობს, რომ დღევანდელი სკოლა, თქვენი მთავარი ნავსაყუდელი, ახალი ამოცანების წინაშე დადგა.

დარწმუნებული ვარ, ყოველი თქვენგანი ყურადღებით ადევნებს თვალს პრესის ფურცლებზე გაშლილ მსჯელობებს, საუბრებს. ტელეეკრანიდანაც უფრო ხშირად ვისმენთ პედაგოგების, მეცნიერებისა და თქვენი თანატოლების გამოსვლებს. ყველა მათგანი გულწრფელად საუბრობს. საუბრის თემა კი უფრო ხშირად ის ჩრდილოვანი მხარეებია, რაც ჩვენს მუშაობას თან ახლავს, სწორედ მათ გულწრფელ გაზიარებაში ისახება არცთუ ისე შორეული გზები გამოსწორებისა.

არ შევცდებით, თუ ვიტყვით, რომ სკოლა ყოველთვის იყო საზოგადოებრიობის მთავარი საზრუნავი, მაგრამ იმასაც დავსძენთ, რომ ახლა იგი განსაკუთრებული ზრუნვის საგანი გახდა. აღზრდისა და სწავლების კერას სწორედ რომ ასეთი სახის ყურადღების მიქცევა ესაჭიროება. სულ ახლახან იყო გამოცხადებული სასკოლო რეფორმა, რომლის მთავარ დანიშნულებას წარმოადგენდა ჩვენი მუშაობის გარდაქმნა. მაგრამ თქვენ ხშირად გაიგონებდით ასეთ ნათქვამს: „რეფორმა ბუქსაობს“, „თავი იჩინა რეფორმისადმი ხელმძღვანელობის ერთიანი ცენტრის უქონლობამ“. ისიც აღინიშნებოდა, რომ „რეფორმით არ ყოფილა გათვალისწინებული სახალხო განათლების სისტემის ღრმა დემოკრატიზაციის პროგრამა“. ამ უკანასკნელის გარეშე კი ძნელი იქნებოდა საქმის მოგვარება. დღეს ამ მხრივ სულ სხვა მდგომარეობაა. აბა, დაფიქრდით, რა სიახლე მოიტანა ამ ჭეშმარიტმა დემოკრატიზაციამ — როგორ გაათავისუფლა აზრი ორჭოფული მიდგომისაგან, როგორ შეგიქმნათ საშუალება თქვენც ძიდი მოკრძალებითა და ტაქტით ხმამაღლა გეთქვათ თქვენეული შეხედულებანი.

სკოლის ახალი ეპოქაწინაჯი

დიდი ფიქრის, მსჯელობის, განსჯის, სკოლაზე განსაკუთრებული ზრუნვის შედეგად გვესახება ყველას საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის თებერვლის პლენუმის გადაწყვეტილებანი.

თქვენ იცით, რომ პლენუმმა განიხილა საკითხი: „საშუალო და უმაღლესი სკოლის გარდაქმნის მიმდინარეობა და პარტიის ამოცანები მისი განხორციელების საქმეში“. მოხსენება გააკეთა სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრმა, ცენტრალური კომიტეტის მდივანმა ი. კ. ლიგაჩოვმა. მოხსენებაში ფართოდ და ღრმად აისახა ყველა ის საკითხი, რომელიც დრომ დააყენა სკოლის წინაშე. მომხსენებელი შეეხო ჩვენი მუშაობის ბევრ ნაკლოვან მხარეს, ყურადღება შეაჩერა რეფორმაზე, რომელიც ძალიან ნელი ტემპით ხორციელდება, კიდევ ერთხელ განიხილა ზოგადსაგანმანათლებლო სკოლის ფუნქციები. ამხ. ლიგაჩოვმა განსაკუთრებით შეაჩერა თავისი ყურადღება მოსწავლეთა ინდივიდუალურ შესაძლებლობებზე. მოხსენებაში პირდაპირ ითქვა: „ძირითადი ყურადღება დავუთმოთ მოსწავლეთა ინდივიდუალური ნიჭის განვითარებას“. ეს ნიჭი არ უნდა ჩაიკარგოს მრავალ საგანთა სწავლების აუცილებლობაში: „შევამციროთ საგნების რიცხვი, მოვახდინოთ სწავლების დიფერენციაცია“.

ძვირფასო ბავშვებო, თქვენ, ალბათ, კარგა ხანია, გესმით საუბარი დიფერენცირებული სწავლების შემოღების აუცილებლობის შესახებ. ამაზე ყველას — დიდსა და პატარას — ერთნაირი შეხედულება ჩამოუყალიბდა — დიფერენცირებული სწავლების შემოღება აუცილებელი და სასწრაფოდ მოსაგვარებელია. სხვათა შორის, სასწავლო პროგრამების გაღრმავებამ, ზოგჯერ გადატვირთულობამაც მოამწიფა ეს აზრი.

ჩვენი ღრმა რწმენით, ყოველ მოსწავლეს გაახარებს სწავლების საკითხის ასე დაყენება. თქვენ შეგეძლებათ თქვენი მიდრეკილების, სურვილების, გატაცების მიხედვით შეარჩიოთ საგნები — (რა თქმა უნდა, ეს ეხება მე-10, მე-11 კლასელებს). გათვალისწინებული უნდა იქნას შესაძლებლობანიც, ამა თუ იმ პროფილის საგნებით დაინტერესების დროს არ უნდა მოგატყუოთ მხოლოდ სურვილმა. თქვენ ღრმად უნდა ჩაიხედოთ თქვენს გულში, გაითვალისწინოთ, რისი უნარი გაქვთ და იმის მიხედვით განავითაროთ თქვენი ნიჭიერება და მიდრეკილება. აი, მაშინ იქნება ყოველგვარი ძალდატანებისა და იძულების გარეშე ცოდნის შეძენა სასიამოვნო, ხოლო მიღებული ცოდნის ნაყოფი სასარგებლოდ მოგხმარდებათ თქვენც და მთელ საზოგადოებასაც.

სხვათა შორის, პლენუმზე ისიც ითქვა, რომ ქალიშვილებისა და ჭაბუკების გარკვეული ნაწილი ამა თუ იმ მიზეზით ვერ დაამთავრებს სწავლას ზოგადსაგანმანათლებლო სკოლაში, ამის გათვალისწინებით მიზანშეწონილია შევინარჩუნოთ პროფესიულ-ტექნიკური სასწავლებლები, სადაც ასეთი ბავშვები მიიღებენ პროფესიას, საშუალო განათლებას.

ამასთანავე, ეჭვი არავის არ უნდა შეეპაროს, რომ ჩვენი სკოლა შეძლებს პროდუქტიულად განვითარდეს და ამავე დროს დარჩეს პოლიტექნიკურ სკოლად. ეს იმას ნიშნავს, რომ თქვენ, მოსწავლეები, უნდა გაეცნოთ თეორიულად და პრაქტიკულად წარმოების ყველა მთავარ დარგს.

პლენუმზე კიდევ ერთხელ აღინიშნა, რომ აუცილებელია, ყველას მიეცეს შესაძლებლობა დამოუკიდებლად გაიაზროს სინამდვილე, კრიტიკულადაც შეაფასოს იგი მხოლოდ და მხოლოდ საკუთარი გულის კარნახით და არა რაიმე ზემოქმედების ძალით. ჯანსაღი, პრინციპული კრიტიკა ამა თუ იმ საქმის ირგვლივ წინდარია სწორი გზის დასახვისა და მისი გამოსწორებისათვის. რაც მთავარია, გულუბრყვილობა იქნებოდა, გვეფიქრა, რომ გამომზეურებული ნაკლის გამოსწორება მარტო ხელისუფლების უმაღლესი ორგანოების საქმე იყოს... საქმეში ყველანი უნდა ჩავებათ, მათ შორის, თქვენც, ოღონდ, როგორც აღვნიშნეთ, თქვენი ჩარევა, თქვენი თანადგომა ზომიერი უნდა იყოს. ყოველთვის უნდა გახსოვდეთ, რომ თქვენი მასწავლებელი ის პიროვნებაა, რომელიც იზიარებს თქვენს სიხარულსა და წუხილს, პირველი მიჰყვება თქვენს ნაფიქრალს კვალდაკვალ, პირველი აღმოაჩენს ხოლმე თქვენს მიდრეკილებებს, გამუდმებით ზრუნავს თქვენზე, ფიქრობს იმაზე, როგორ შეგიმსუბუქოთ მდგომარეობა ამ გაზრდილი პროგრამებისა და ძველი სახელმძღვანელოების (ზოგჯერ დაწუნებულისაც კი) გარემოცვაში. თქვენ უნდა იცოდეთ ყველა ის სიძნელე, რაც პედაგოგის პროფესიას თან ახლავს. მაგრამ, აბა, გვკითხეთ რომელიმე ჩვენგანს, ცხოვრება თავიდან რომ დაგვეწყო, ისევ ავირჩევდით თქვენთან ყოფნას? სრული პასუხისმგებლობით შემიძლია ვთქვა ყველა მასწავლებლის მაგიერ, რომ ჩვენს მიერ არჩეული გზა ისევ და ისევ სკოლასთან მიგვიყვანდა.

სკოლის გარდაქმნის მიმდინარეობის გზაზე დიდი ყურადღება დაეთმო ისტორიის, როგორც საგნის, ყოველმხრივ საფუძვლიან სწავლებას. მისი გულმოდგინედ შესწავლა სოციალისტური საზოგადოების ღირსეული პიროვნების აღზრდის საწინდარია, პიროვნებისა, რომელმაც შესანიშნავად უნდა იცოდეს თავისი ქვეყნის ისტორიული მემკვიდრეობა, ამავე დროს უნდა შეეძლოს დაიცვას სოციალიზმის პირველმკვალავთა ღირსება და პატიოსნება.

პლენუმმა თავისი ყურადღება შეაჩერა მოსწავლეთა ესთეტიკურ განათლებაზე. აუცილებელია შეიქმნას ესთეტიკური გარემო ყველგან და ყველაფერში, მით უმეტეს იქ, სადაც სწავლება მიმდინარეობს. ჩვენ

ყოველნაირად ვცდილობთ შეგაყვაროთ ხელოვნების ყველა დარგი, მსოფლიო ლიტერატურის შედევრები, შეგაყვაროთ კლასიკური მუსიკა. მაგრამ პლენუმზე ისიც ხაზგასმით აღინიშნა, რომ ამასთანავე ხალხური შემოქმედებისადმი ღრმა სიყვარულის ჩანერგვაც არის საჭირო. აქვე მინდა დავსძინო თქვენს გასახარად, რომ, როცა ხალხური შემოქმედების ტრადიციების შენარჩუნებაზე, მის პროპაგანდაზე იყო საუბარი, სანიმუშოდ საქართველო დაასახელეს. ეს ჩვენ ბევრს გვავალებს, ჩვენც და თქვენც. თქვენი ვალია უფრო მეტად შეიყვაროთ სიმღერებში, ცეკვებსა და მუსიკაში გამოვლენილი ჩვენი მდიდარი ხალხური მემკვიდრეობა.

პლენუმზე ისიც აღინიშნა, რომ ახალგაზრდობის ესთეტიკური აღზრდა სკოლის, ოჯახის საქმეა და კიდევ მათი, ვინც ქმნის ამ ღირებულებებს — მწერალი იქნება თუ კომპოზიტორი, სწორედ მათ უნდა განუმტკიცონ ჩვენს ახალგაზრდობას რწმენა სოციალიზმის საქმის სიმართლისადმი.

პლენუმმა იმსჯელა მოსწავლის პატრიოტიზმისა და ინტერნაციონალიზმის სულისკვეთებით აღზრდის შესახებ. არაფერი არ ამშვენებს ადამიანს ისე, როგორც ამ ცნებათა მთელი სიღრმით შეცნობა-გაგება. მშობლიური ენის გაფრთხილება, მისი დაცვა და დაფასება ბუნებრივი მოვლენა და მოთხოვნილებაა, მაგრამ აქვე ისიც უნდა გვახსოვდეს, რომ არ შეიძლება, მშობლიური ენის სიყვარული შოვინიზმში გადაიზარდოს.

ყველაფერი ის, რაც ითქვა დღევანდელი სკოლის ახლებურ მუშაობაზე, გარდაქმნაზე, განათლებაზე, უკავშირდება მაინც მასწავლებელს, რაკი სწავლების ახალ ატმოსფეროშიც იგი კვლავ ცენტრალურ ფიგურად რჩება. ამიტომაც მასზე ზრუნვა არ ნელდება და ზრუნვასთან ერთად არ ნელდება აგრეთვე მომთხოვნელობა მის მიმართ — იყოს უაღრესად ღირსეული, უზადო პირადი მაგალითის მიმცემი, მცოდნე და თანამედროვე, ამ სიტყვის მაღალი გაგებით.

ავთანდილ მეგრელიშვილი-50

ჟურნალ „პიონერის“ რედაქცია და სარედაქციო კოლეგია გულითადად ულოცავენ საბავშვო პოეტ ავთანდილ მეგრელიშვილს დაბადების 50 წლისთავს, უსურვებენ დღეგრძელობასა და შემოქმედებით წარმატებებს.

გთავაზობთ იუბილარი პოეტის ახალ ლექსებს.

გელაო, ბიჭო გელაო!

ოქროდ საღირალ დროს კარგავ,
უქმად დადიხარ, გელაო,
მიხედე, ყანა ყვითლდება,
დაახრჩობს სარეველაო.

დაიღუპება სიმინდი,
სასწრაფოდ უნდა შველაო,
როგორც მას თოხი აამებს,
ისე მოგეცეს ლხენაო!

პერანგი გამოიცვალე,
თოვლივით ქათქათელაო,
თოხი აიღე, ყანაში
შეცურდი ფეხშიშველაო.

თუ დაგცხა, წყალი მიირთვი,
აქვეა ცივციველაო.
დაიღლები და — დაჯექი,
ჩრდილს არ მოგაკლებს თელაო...

შენ მხოლოდ ყანა გამარგლე,
მადლობას გეტყვის ყველაო!

ნიავი

ნიავმა ფრთები გაშალა,
მდელოზე გაინავარდა,
ყვავილთა ჯარი აშალა,
ცაში სურნელი ავარდა.
თოთო ყლორტები დაირხა,
ბალახბულახი აღელდა.
დუმილი უცებ დაირღვა,
ბუნება ლაღად ამღერდა.
იქ მტრედმა ჩაილულუნა,
აქ შაშვმა დაიჭახჭახა,
ტოროლამ დაიწკრიალა
და ზეცას მკერდი აჯახა...

ციცქნა ბულბულის დარადა

მამულის მიწის სურნელი
უკვე იგრძნობა ბარადა.
ყანა-ბაღებში შრომობენ,
ისმის „რერო“ და „ვარადა“.
ზოგი სარს თლიდა, ვაზს სხლავდა,
ზოგი თოხნიდა, ბარავდა...
გახარებული ფუტკარი
ყვავილებს ნექტარს ჰპარავდა,
ჩიტების ლაღი ჭიკჭიკი,
ხეთა ჩუმ შრიალს ფარავდა.
ყველა მღეროდა მამულის
და გულის გასახარადა.
მაგრამ ვერავინ გალობდა
ციცქნა ბულბულის დარადა!

ეროვნული ბიბლიოთეკა

ლაუმეტაუწერელი ოჯეი

ალექსანდრე ლორია

მხატვარი ზაურ დეისაძე

მოთხრობა

როგორც ყოველთვის, ამჯერადაც მდივნად მე დამასახელეს. აქაოდა, წერა ეხერხებაო – სულ მე მირჩევენ. მე კი, მართალი გითხრა, მომბეზრდა ამდენი წერა. როგორც სკოლის კედლის გაზეთის რედაქტორი, ყველა წერილს ხომ მე ვწერ... ჰოდა, ეს კრებებიც მიათვალე!.. თანაც, რაც სინამდვილეში ტარდება, ეს ხომ არის და არის, და ახლა, რაცა არ ტარდება და ოქმი მაინც უნდა გავაფორმოთ, ეს ხომ კიდევ სხვაა. სულ მე მაწერინებენ ტყუილსა თუ მართალს. ხანდახან ორ-სამჯერ გადამაწერინებენ ხოლმე, ესა და ეს დაგვავიწყდა, ჩაამატეო. ზოგჯერ ისეთ რამეს ჩამამატებინებენ, სირცხვილით ყურები მეწვის, მაგრამ რა ვქნა? უფროსებს უარს ხომ ვერ ვეტყვი?

ის ბოლო კრება ხომ... ნუ მკითხავ! ისეთი რამ იყო, იმისი ოქმის დაწერა როგორ მოხერხდება, არ ვიცი.

რაკი ასე გაინტერესებს, ყველაფერს დაწვრილებით მოგიყვები.

ეს ამბავი საღამოს ხაზზე დაიწყო. საერთოდ, რა მოიგონეს ეს, არ ვიცი, ყოველ საღამოს პატარა პიონერებივით ხაზზე თუ არ ჩაგვამწკრივებდნენ, ისე არ იქნებოდა. ჩავდგებოდით მწყობრში რაზმებად – ყველა რაზმს თავისი სახელი აქვს: „წითელი ვარსკვლავი“, „აისი“, „გაზაფხული“... თავისი დევიზი... ჰოდა, ვისმენდით მთელი დღის შრომის შედეგებს – ვის რა მაჩვენებელი ჰქონდა სოცშეჯიბრებაში. აქვე ხდებოდა მადლობის გამოცხადება და საყვედურების ჩამორიგება. თუ დააშავე რაიმე, გამოგიყვანენ ყველას წინაშე და ისეთ დღეს წაგკიდებენ, მიწა გაგისკდეს და ჩაგიტანოს, გირჩევნია.

ჰოდა, იმ საღამოს, როცა ყველაფერი თითქოს რიგზე იყო და თავისი გზით მიდიოდა, როცა რაიმე განსაკუთრებულს არავინ მოელოდა, ზუსტად ხაზის დასრულებისას, არ ვიცი, რა ეშმაკი შეუჯდა ტანში, სავლემ მაღლა აიშვირა ხელი და სიტყვა ითხოვა.

– სიტყვა?! – გაოცებით იკითხა როგნედამ, ჩვენი სკოლის უფროსმა პიონერხელმძღვანელმა (წელს შრომით სემესტრში კომისრის მოადგილე იყო) და გაოცებით გახედა ჩვენი „მებრძოლი რაზმის“ კომისარს – სკოლის კომკავშირის კომიტეტის მდივანს, რომელიც ამ დროს ფიზკულტურის მასწავლებელთან მასლაათობდა და უცებ ვერც მიხვდა, რას შემოსჩერებოდა ასე გაკვირვებით როგნედა, რომელმაც არ იცოდა, რა ექნა, მიეცა თუ არა სიტყვა სავლესათვის... ხომ არ იქნებოდა ეს დადგენილი წესის დარღვევა?.. საერთოდ შეიძლება კი ასეთი საპასუხისმგებლო ღონისძიების დროს სიტყვაში მოსწავლის გამოსვლა მოუმზადებლად?

– სიტყვა უნდა ბარდაძეს... – ისე დაიბნა პიონერხელმძღვანელი, თითქოს რაღაც საშინელი მომხდარიყოს. აშკარად ეტყობოდა, არ მოსწონდა ეს: კარგი და, ისეთი რამ თქვას ამ ბიჭმა, თავი მოსჭრას მთელ კოლექტივს, მაშინ?

ჩვენი კომიტეტის მდივანს, ზურა წიქოვანს, შენ კარგად იცნობ. ბევრად დიდი არაა ჩვენზე, მაგრამ თავი ისე უჭირავს, თითქოს მართლა კარგა ხნით უფროსი იყოს. ქედმაღლურად გამოხედა სავლეს და თვალების დამცინავი ციმციმით, ტუჩებამრეზით ჩაუქირქილა:

– ჰა, რაო, ბარდაძე, რა იყო, ბიჭო? შენ და სიტყვა? – მხრები აიჩეჩა. – ამდენი ხანია გიცნობ და შენი ხმა ჯერ არ გამიგონია, ხალხს მუნჯი ჰგონიხარ და... რა ვიცი, თუ ძალიან გინდა, თქვი... მოგვახსენე ერთი, რა გინდა, ასე რომ გამოიდე თავი.

სავლე დინჯად გამოვიდა წინ, მიტკეპნ-მოტკეპნა ადგილი და უცებ ისეთნაირად დაიწყო, თითქოს ვიღაც ყელში სწვდა და ექაჩება, სათქმელი მოვასწროო:

– ტყუილია!.. ყველაფერი ტყუილია!.. არ შეიძლება ამდენი!.. არა!.. არ შეიძლება!.. კმარა!.. სუყველაფერი ტყუილია!..

საოცარი სიჩუმე ჩამოვარდა. ბავშვებმა ერთმანეთს გადავხედეთ. ვერ მივმხვდარიყავით, რა აწუხებდა აყლაყუდა ბარდაძეს.

– რაა, ბიჭო, ტყუილი? – იკითხა გაკვირვებულმა პიონერხელმძღვანელმა და მავედრებელი თვალებით გახედა რაზმებს უკან ბავშვების ზურგს მოფარებულ მასწავლებლებს, – მათგან თუ ელოდა მხარდაჭერას ამ მოულოდნელად გამწვავებულ სიტუაციაში.

ბარდაძემ უკან არ დაიხია, პირში მიახალა უფროსს: რაც აქ გამოაცხადეთ, ყველაფერი ტყუილიაო – არც ამდენი ხილი მოგვიკრეფია, არც ამდენი ჩაგვიბარებია და არც მესამე რაზმს მოუკრეფია ჩვენზე მეტი, როგორც აქ ითქვაო.

მესამე რაზმი აჩოჩოქოლდა. ეს რაზმი – „ჩვენი ვარსკვლავეთი“ – განსაკუთრებული პატივით სარგებლობს. ბევრი კი არაფერია, ჩვენი ტოლა გოგო-ბიჭები არიან

მეცხრე „ა“ კლასიდან, მაგრამ მთელ სკოლაში გამორჩეული ჰყავთ. რამდენიმე ბავშვი ჩვენი მასწავლებლების შვილია, რამდენიმე კიდევ — ვიღაც პატივსაცემი ხალხისა. ყველაზე კარგ მასწავლებლებს, სკოლაში ვინც კია, მაგათთან უშვებენ. მთელ სკოლაში მედლის კანდიდატი სულ რვა კაცია და შვიდი მაგათთანაა.

კომიტეტის მდივანი გაცხარდა. ისე გაწითლდა, იტყოდი, ცეცხლი შეუნთესო, მაგრამ თავი შეიკავა. ნელა დაიწყო ლაპარაკი, დამარცვლით, ხმამაღლა და მბრძანებლურად:

— მაშასადამე, გამოდის, რომ „მებრძოლი რაზმის“ შტაბი, მისი კომისარი თუ მოადგილე, მისი აქტივი ტყუიან, არა?.. ყალბ ინფორმაციას გაწვდით, არა?.. კარგი და პატიოსანი, მაგრამ შენს ნათქვამზე პასუხი აგე და გვითხარი, რის საფუძველზე შეგაქვს ეჭვი ჩვენს სისწორეში?

— რა საფუძველი უნდა მაგას? — სუნთქვა ეკვროდა ბარდაძეს. — ესენი ხომ ჩვენს გვერდით ნაკვეთში მუშაობდნენ, ვერ ვხედავდი თუ რა?.. ჩვენზე გვიან ადგნენ დილით, სამუშაოდაც გვიან გავიდნენ, შესვენებითაც ჩვენზე დიდხანს ისვენებდნენ... ზოგი არც კი გასულა მინდვრად, ბანაკში დარჩა... ეძინა.. მაგრამ ხმა არავის ამოუღია ამაზე... რაც დაკრიფეს, ნახევარზე მეტი იქვე დატოვეს, ხის ძირებში, სამანქანო გზაზე არ გაუტანიათ ყუთები... ჰოდა, რაღა ჩააბარეს?.. საიდან ამბობთ, რომ მაგათი ნამუშევარი ჩვენზე მეტი გამოვიდაო?

ამის თქმა და აყაყანება ერთი იყო.

— სწორია!.. მართალია!.. — გაისმოდა ყოველი მხრიდან. ერთმა გოგონამ ისიც კი თქვა, ეგენი მთელ დღეს ბაღში თამაშობდნენ, დაკრეფილ ქლიავს ესროდნენ ერთმანეთსო.

ისეთი ხმაური ატყდა, აღარავის ესმოდა, რას ყვიროდა ზურა წიქოვანი. პედაგოგ-დამრიგებლები წინ გამოვიდნენ და ამშვიდებდნენ ბავშვებს, მაგრამ არაფერი გამოსდიოდათ. ისე დავიშალეთ ყვირილ-წივილით, ხაზი დახურულად არც კი გამოუცხადებიათ, ცალ-ცალკე ჯგუფ-ჯგუფად განვაგრძობდით გაცხარებულ კამათს.

მესამერაზმელებმა კინაღამ ფეხქვეშ გაიგდეს ბარდაძე. განსაკუთრებით დევი ლოლაძემ გამოიდო თავი: მაგას მე ვყავდი მიზანში ამოღებული, როცა ამბობდა, ზოგს ეძინა და სულაც არ გასულა სამუშაოზეო.

— მაგას ვინ ეკითხება? — ცხარობდა იგი. — ჩამოვაფხრეწ თავის გრძელ ცხვირს მაგ იდიოტს!..

ბიჭები აჩერებდნენ, აწყნარებდნენ, მაგრამ ამაოდ:

— არა, მაგას რა ესაქმება, ჩვენ როგორ და რას გვიწერენ?.. იქნებ გვაქვს შნო და მეტს ვაწერინებთ ბრიგადირს, ვის რა ესაქმება? შტერები რომ ხართ, თორემ თქვენთვისაც უკეთესი არაა, რაც მეტს დავაწერინებთ? ადრე შევასრულებთ გეგმას და სახლშიაც ადრე გაგვიშვებენ... თქვენც დააწერინეთ, გიშლით ვინმე თუ?! მაგრამ ბოღმა რომ იქნება კაცი!.. უჰ, შენი... — კვლავ გაიწია სავლესაკენ, მაგრამ ბიჭები გადაუდგნენ წინ. იმათ გოგოებიც წამოეშველნენ, თუმცა ისინიც საკმაოდ მწარე-მწარედ იკბინებოდნენ სავლესა და ჩვენი მისამართით.

— ეს მუნჯი დღეს რა ამბავშია, ერთი ვერ უყურებთ! — ცერად გახედა ბარდაძეს სიფრიფანა სოფიკომ და ცალი ხელი დევის მკერდზე მიაბჯინა, იქნებ როგორმე შეეჩერებინა აღრენილი ბიჭი.

სავლე ხმას არ იღებდა. იდგა მხრებში მოხრილი, ხელებჩამოშვებული, რაღაცნაირად უშნოდ წაგრძელებული, თითქოს სულ გაწვრილდა და გაილია; სახეზე მიტკლის ფერი დასდებოდა. სოფიკოს ნათქვამმა გამოაფხიზლა, შეირხა, თავი აიღო, თვალებმოჭუტულმა გულნაკლული კაცის სახით გახედა გოგონას და ისე ჩაიქნია ხელი, თითქოს ეუბნებოდა, შენც კარგი ვინმე ყოფილხარო.

სოფიკოს ლოყები აუფაკლდა და გამწარებულმა რაღაცის თქმა დააპირა, მაგრამ, სწორედ ამ დროს რამდენიმე მასწავლებელი მიადგა მოყაყანეთა ჯგუფს და მანაც ძალაუნებურად გადაყლაპა ენა.

ერთი სიტყვით, რაღა გავაგრძელო, მეორე დღეს, ნასადილევს, ყველანი შეგვყარეს გრძელ დარბაზში კომკავშირის ღია კრებაზე და შევუდექით საქმის გარჩევას.

მართალია, თავმჯდომარედ ჩვენი ნაპო ნინიძე აირჩიეს, მე — მდივნად, მაგრამ სინამდვილეში კრება ზურა წიქოვანს მიჰყავდა. რაც უნდოდა და როგორც უნდოდა, ისე აკეთებდა. დღის წესრიგიც კი მან გამოაცხადა: „პერსონალური საქმეო“... და თვითონვე გამოვიდა სიტყვით.

— ამხანაგებო! — მოღუშული სახით დაიწყო მან. — როგორც იცით, გუშინ საღამოს არნახული, მე ვიტყოდი — გაუგონარი, სამარცხვინო ფაქტის წინაშე აღმოვჩნდით: ჩაიშალა ხაზი!.. ეს არის, ამხანაგებო, მე ვიტყოდი, უპრეცედენტო შემთხვევა!.. იგი არაა უბრალო რამ, როგორადაც ზოგს შეიძლება მოეჩვენოს... თქვენ კარგად იცით, ამას როგორი პოლიტიკური მნიშვნელობა აქვს. ამის შემდეგ რა პასუხი უნდა გავცეთ სკოლას? ეს ამბავი საქალაქო ორგანიზაციამ რომ გაიგოს, რა უნდა ვუთხ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

რათ, რითი ვიმართლოთ თავი?.. არ ყოფილა არც ერთი წელი, შრომით სემესტრში ჩვენი სკოლის წარგზავნილებს თავი არ ესახელებინოთ, მადლობისა და ქების სიგელები არ მიეღოთ... და დღეს კი — ასეთი სამარცხვინო, მე ვიტყოდი, აღმაშფოთებელი ფაქტი!.. — ცოტა ხანს შეისვენა, მოგვავლო ყველას თვალი და უფრო მკაცრი ხმით განაგრძო: — არა, არ შეიძლება ამის პატიება!.. ბარდაძე მთელი სიმკაცრით, მე ვიტყოდი, სანიმუშოდ უნდა დაისაჯოს!.. მე, მაგალითად, მიმაჩნია, რომ იგი არაა ღირსი, კომკავშირელის სახელს ატარებდეს... დიახ!.. და კიდევაც დატოვებს ჩვენ რიგებს... ეგ კი არა, მე ვიტყოდი — იგი ღირსია, სკოლიდანაც გაირიცხოს!..

ნიავივით გადაუქროლა იქ მყოფთ უსიამოვნო შრიალმა და ისევ მიჩუმდა. ყველა დადუმდა. კომიტეტის მდივანიც რაღაც უცნაურმა უხერხულობამ შეიპყრო, თითქოს სათქმელი გამოელიაო. იგი ჩვენი რაზმის პედაგოგ-დამრიგებელმა გამოიყვანა მძიმე მდგომარეობიდან.

— ზურაბ! — მშვიდად დაიწყო მან, — იმედია, თქვენ უკვე ისაუბრეთ წინასწარ ბარდაძესთან და საფუძვლიანად შეისწავლეთ ეს საკითხი შტაბში.

ზურა უსიამოვნოდ დაიღრიჯა, თვალი არ გაუსწორებია ჩვენი პედაგოგ-დამრიგებლისათვის, ისე მიუგო დაბალ ხმაზე:

— ქალბატონო ანიკო, ამას რა შესწავლა და შეთანხმება უნდა? დღესავით ნათელია ყველაფერი. ბარდაძე, გარდა იმისა, რომ ცილს გვწამებს და სიყალბეში გვდებს ბრალს, იმდენს ბედავს, რომ გუშინ ხაზი ჩაგვიშალა... ამაზე უარესი რა უნდა ქნას მოსწავლემ? ყუმბარას ხომ არ გვესვრის? — ცოტა ხანს გაჩუმდა, ჩაფიქრდა და მტკიცედ დაუმატა: — არა, მე კატეგორიულად მოვითხოვ, ბარდაძე გაირიცხოს კომკავშირიდან.

გვერდულად მიუჯდა მაგიდას და იდაყვდაყრდნობილმა ირიბად გახედა პიონერხელმძღვანელს, აბა, ახლა შენი ჯერია, მიდი, დასცხეო.

როგნედა, ცოტა არ იყოს, დაიბნა. ეტყობა, უცებ ვერ გაერკვა სიტუაციაში: მართლა ითხოვდა კომიტეტის მდივანი მოსწავლის გარიცხვას თუ შესაშინებლად ამბობდა ამას, როგორადაც იციან ხოლმე ზოგჯერ. ღეჭვით დაიწყო:

— ამხანაგო ზურაბ! ჯერ, იქნებ... იქნებ ბავშვებისათვის მოგვესმინა. თვითონ განსაჯონ ბარდაძის საქციელი და მერე...

ამხანაგ ზურაბს აშკარად არ მოეწონა პიონერხელმძღვანელის გამოსვლა. უსიამოვნოდ შეიშმუშნა, წარბშეხრილმა მრისხანედ გახედა მას, მაგრამ არაფერი უთქვამს. ისევ ანიკო მასწავლებელმა ამოიღო ხმა. სათნო ადამიანი ჩანს. აქამდე არც კი ვიცნობდით, ჩვენთვის არასოდეს უსწავლებია; როცა ხელმძღვანელად დაგვინიშნეს, მართალი გითხრათ, ამრეზით შევხვდით. რაღაც საწყალი, მორიდებული ქალია, ყველას კეთილად გვეპყრობა და, ჩვენდა სამარცხვინოდ უნდა ითქვას, თავდაპირველად ვერ მოვნახეთ მასთან საერთო ენა, ავითვალწუნეთ, არაფერს ვუჯერებდით. ხანდახან განზრახ ვაჯავრებდით კიდეც. ისე, კაცმა არ იცის, საიდან და რატომ მოამაგრეს მაინცდამაინც ჩვენს რაზმს. საერთოდ, ცნობილი, გავლენიანი მასწავლებლები შრომით სემესტრში არ მიჰყავთ. ეტყობა, აქაც დაბალ ღობეს ეძებენ, როგორც ჩვენს კლასში: ვისაც შეეძლო, მშვენივრად დაიძვრინა თავი ამ შრომითი არდადეგებისაგან, ვისაც არა — გვიტკუცეს თავი ბანაკში. ვაკეთებდეთ მაინც რამეს!.. რასაც გამოვიმუშავებთ ხოლმე, თავის სარჩენადაც არ გვყოფნის, მაგრამ ჩვენი მშობლების წყალობით იმდენი ხორაგი გვიგროვდება, შიმშილს ვერ დავიჩივლებთ, არ ვიცით, სად გადავყაროთ საჭმელი.

მე მგონი, ახლა კი ნამდვილად „აკრძალულ ზონაში" შევიჭერი და მოდი, ამას თავი გავანებოთ. ისევ ჩვენს კრებას დავუბრუნდები. სხვათა შორის, ყველაფერი სიტყვასიტყვით მაქვს აღწერილი ოქმში... სად გავჩერდი?.. აჰა, აი, აგერ მიწერია:

„პატ. ანიკო მასწავლებელი გამოთქვამს აზრს: — ჯერ კარგად გავარკვიოთ, რაშია საქმე, რატომ შეეპარა ეჭვი ბარდაძეს შტაბის მიერ მიწოდებულ ინფორმაციაში და მერე ვიმსჯელოთ. კომკავშირელმა თავისი მოსაზრება თქვა, არ გვენდო, აშკარად, პირდაპირ განაცხადა ეს. ჩვენ რითი დავუმტკიცეთ მას, რომ ის ცდება?"

მერე რაღაც-რაღაცები მაქვს მიჯღაბნილი, თავადაც ვერ ვარკვევ ხეირიანად. ისე, ბევრი რამ არც შემიტანია ოქმში, მაგრამ ისედაც მშვენივრად მახსოვს ყველაფერი. მაგონდება, როგორ გაცეცხლდა ზურაბი:

— ასე როგორ შეიძლება, ქალბატონო ანიკო! — თავშეკავებულად, მაგრამ მკაცრად შეუტია მან ჩვენს პედაგოგ-დამრიგებელს. — ძალიან მიკვირს თქვენი!.. როგორ, ვიდრე ჩვენ მონაცემებს დავაჯამებდეთ, განა მთელ შტაბს არ ვეუბნებით მის შესახებ და არ ვმსჯელობთ? და რა გამოდის? მთელი მოქმედება უნდა დავაყენოთ ეჭვქვეშ?

— შეუმცდარი არავინაა, — არ შეეპუა ანიკო მასწავლებელი. არ ვიცი, რატომ გამოიდო თავი ასე ძალიან ჩვენი სავლესათვის. — დავარწმუნოთ ბავშვები, რომ ბარდაძე არაა მართალი, რომ შტაბი არავის არ ემხრობა და ყველას ინტერესებს თანაბრად იცავს. რაა აქ არალოგიკური?

— კი, ბატონო, დავარწმუნოთ, — თავშეკავებული სიბრაზით მოისრისა ნიკაპი კომიტეტის მდივანმა და ისე ჩააქნია ხელი, თითქოს მტკიცების არავითარი საჭიროება არ არსებობდეს, მაგრამ იძულებულია, ასე მოიქცეს.

მთელი კრება გაბმულად ზუზუნებდა. ყველა რაღაცას ეჩურჩულებოდა გვერდში მჯდომს, მაგრამ ვერავინ ბედავდა, ხმამაღლა რაიმე ეთქვა. მერე უეცრად წამოხტა პარალელურკლასელი ერთი გოგონა — მაკა ცინაძე — და ხმამაღლა დაიძახა:

— მარტო ბარდაძეს კი არა, აქ ბევრს აინტერესებს, რამდენად შეეფერება სინამდვილეს გუშინდელი მონაცემები!

ბავშვებმა აქა-იქ ტაში შემოჰკრეს გაუბედავად და კანტიკუნტად, ახმაურდნენ. მასწავლებლებში ჩოჩქოლი

შეიქნა. ზურა ნიქოვანი თვალებდაცეცებული წამოვარდა ზეზე:

— ვინ იყო ეს?.. ადგეს, ვინცა თქვა!.. თუ ყოფნის გამბედაობა, პირდაპირ გვითხრას, რომ ჩვენს სისწორეში ეპარება ეჭვი!

მაკას ერთი კი გაუჭირდა გამოჩენა, მაგრამ მერე უცებ გასწორდა წელში და გაბედულად გაუსწორა თვალი უფროს ამხანაგებს:

— მე ვთქვი!.. უფრო მეტიც მაქვს სათქმელი, თუ მომცემთ ნებას!

— რა უნდა თქვა, რა?!. — შეუტია მას კომიტეტის მდივანმა, — რაა აქ სალაპარაკო?... არაა საჭირო ახლა ეს მიტინგობანა, ყველაფერი გასაგებია!

— დიახ, ყველაფერი გასაგებია! — ირონიულად, მაგრამ მტკიცედ განაცხადა სახელეწილმა მაკამ. ეტყობოდა, ის ახლა ისე იყო შემართული, ვერაფრით ვეღარ გააჩერებდი. — მიუხედავად ამისა, მე მაინც მინდა გამოვიდე და ჩემი სათქმელი ვთქვა. რა, არა მაქვს უფლება?

— გააჩნია, რას იტყვი! — მოუჭრა ზურამ.

— რასაც უნდა ვამბობდე, ნება არა გაქვთ, სიტყვა არ მომცეთ... განა ესაა საჯაროობა, ხმას რომ არ გვაღებინებთ?

ბავშვებმა ერთხმად იზრიალეს, მაგრამ რა იზრიალეს! ატყდა ერთი აურზაური, ყვირილი, ტაშისცემა... ძლივს ჩააჩუმა ხალხი კომიტეტის მდივანმა თავისი ომახიანი შეძახილებით. ყველანი რომ დაწყნარდნენ, ნიშნისგებით მიუგო მაკა ცინაძეს ცალყბად:

— შენ რაღაც გაგიგია და ვერ შეგიგნია... საჯაროობა იმას კი არ ნიშნავს, ვისაც რა უნდა, ის იტლიკინოს!

ამაზე ბევრმა გაიცინა და ტაშიც კი დაუკრეს მდივანს. შევნიშნე, როგორი კმაყოფილებით გადახედეს ერთმანეთს მესამერაზმელებმა. მაკა კი — ეტყობა, არ ყოფილა ასეთი ადვილი მოსადრეკი — ასანთივით აფეთქდა და პირდაპირ მიახალა ზურას:

— მე თქვენ კი არა, თავმჯდომარეს ვთხოვ სიტყვას! — მაგიდასთან დაღვრემით მჯდომ თავჩაქინდრულ ნაპო ნინიძეს მიუბრუნდა: — შენ, ბიჭო, თავმჯდომარე ხარ თუ გუდურა, რომ თვლემ მანდ? მომეცი სიტყვა!

— კი, ბატონო! — თითქოს ფიქრებიდან გამოერკვა ნაპო. გაკვირვებით აიჩეჩა მხრები, მე რას მერჩის, რას მიჯავრდება ნეტავ ეს გადარეულიო.

ზურა კი ნამდვილად დაიბნა. ვერაფერი მოიფიქრა საპასუხოდ და საქციელწამხდარი დაეშვა სკამზე. ის ბუნტისთავი გოგო კი გამოვიდა და ისეთი დასცხო, ისეთი ცეცხლი დაანთო, ყველა აგვაბრიალა:

ჯერ მოდგა და ჩვენი ბანაკი მოთხარა — სიბინძურეა, ჭუჭყი, წყალი ხან მოდის, ხან არა; ოთახები, რომლებიც მხოლოდ საძილედაა განკუთვნილი, გავსებულია ათასნაირი ხორაგის პარკებით; ლოგინები აულაგებელი და დათელილია, ტანსაცმლით კოტრიალობენ ზედ; იატაკი დაუგველია, მხოლოდ ერთხელ ისვეტება დილით, მორიგეები კი არაფერს აკეთებენ; საპირფარეშოები არ ირეცხება სისტემატურად... აბსოლუტური უდისციპლინობა!.. რეჟიმის უპატივცემულობა!.. ვინ მოთვლის, რამდენი მინა ჩავამსხვრიეთ; ორი კარი ანჯამებიანადაა ჩამოვარდნილი... ყოველდღე ჩხუბობს კომენდანტი, მაგრამ არაფერი გაუდის, მაინც გვერიდება, როგორც სტუმრებს... არ ვიცი, რას იტყვიან ამ სკოლის მოსწავლეები, რომ დაბრუნდებიან და ნახავენ, როგორ გავუნადგურეთ სკოლა... ახლა გაზონები ნახეთ!.. როგორი მოვლილი იყო, პირველად რომ მოვედით... სამი ძირი ახალნაყარი ნარგავი მოუტეხია ვიღაცას. ხელი არ უნდა გაუხმეს, ვინცაა? ერთგან მავთულის ღობე მოარღვიეს, სპორტულ მოედანზე მისასვლელი გზა რომ შეემოკლებინათ... ვითომ ფეხები მოტყუებოდათ, ათი მეტრით მეტი გაეარათ... ღამით კიდევ მოსვენება არა გვაქვს ამ ტრანზისტორებისაგან. მერე იმოდენაზე აყვირებენ... თავადაც მღერიან, ხმაურობენ შუაღამემდე... ტყუილად ირჯებიან მორიგეები, კაციშვილი არ უგდებს მათ ყურს. პირდაპირ არ ვიცი, რას ჰგავს ეს!.. რამდენ პიონერულ ბანაკში ვყოფილვარ ადრე, მაგრამ მსგავსი არაფერი მინახავს... პატარები გვჯობნიან ჩვენ...

მერე მოსდგა ეს კნაწა მაკა უფროსებს და აღარც ისინი დაინდო: გამორჩეულები ჰყავთ, იმათ არაფერს ეუბნებიან, ქვეყანა რომ დააქციონ, აქ კი ბარდაძეს ერთი შენიშვნისათვის ტყავს ვაძრობთ. ზოგს რამდენიმე დღითაც კი ათავისუფლებენ ბანაკიდან, რაც ვითომდაც სასტიკად აკრძალულია, ზოგს კი ჭიშკარს იქით ცხვირს არ აყოფინებენ, ფოსტაში წასვლასაც კი უკრძალავენ...

— რატომ ხდება ასე? — თანდათან თამამდებოდა ჩვენი ორატორი, — განა ყველას ერთნაირი უფლება არ გაგვაჩნია? რატომაა ასეთი არეულობა ჩვენს შრომით ბანაკში? ლაპარაკით ერთს ვლაპარაკობთ, საქმით კი სულ სხვა გამოგვდის. რაშია საქმე, ვერ გამიგია!.. — გაოცების ნიშნად მხრები აიჩეჩა და უკმაყოფილოდ მიმოიხედა ირგვლივ. მერე ისევ სავლეს ამბავს დაუბრუნდა: — რა დააშავა მან? გამოთქვა ეჭვი, რომ შედეგებს ხელოვნურად ზრდიანო, რომ ადგილი აქვს მიკერძოებასო. ამას ჩვენც ყველანი მშვენივრად ვხედავთ, მაგრამ აქამდე ხმა არ ამოგვიღია. დავუშვათ, ვცდებით, მერე მაგისთვის უნდა დაგვსაჯონ? არ უნდა დაგვარწმუნონ? სავლე, მე თუ მკითხავთ, ძალიან სწორადაც მოიქცა: გაბედა და ყველას სათქმელი თქვა. რაც გულში ედო, არ დამალა. გულახდილობისათვის როდის იყო, კაცს სჯიდნენ?

— კი, ბატონო, — სიტყვა შეაწყვეტინა მას ზურა ნიქოვანმა, — მაგრამ მოსულიყო ჩვენთან შტაბში, ეთქვა წყნარად, მშვიდად, გავარკვევდით, დავარწმუნებდით. რა საჭირო იყო ასეთი აყალმაყალის ატეხა?.. ხაზი ჩაგვიშალა.

— მაგას არაფერიც არ ჩაუშლია! — ახლა ერთი ბიჭი წამოსტა მერვე „ა" კლასიდან, კარგად არც ვიცნობ. — მესამე რაზმის ბრალია: არ აცალეს ლაპარაკი, პირდაპირ ყელში ეცნენ... ეგ კი არა, საცა სამართალია, ბარდაძეს მადლობა უნდა გამოუცხადოთ...

— რა გვარი ხარ შენ? — გავძახე იმ ბიჭს.

ეროვნული ბიბლიოთეკა

— მაგას რა მნიშვნელობა აქვს? — აგდებულად დამიბრუნა პასუხად.

— ოქმში ხომ უნდა ჩავწერო შენი გამოსვლა?

ზურაბმა ისე, რომ სხვას არ გაეგონა, შემომიღრინა:

— ოქმში არა!.. გაანებე თავი!

მეც გავანებე თავი, თუმცა იმ ბიჭის ნათქვამი მაინც ჩავინიშნე.

ერთი უნდა გენახა, რა ამბავი ატყდა. თურმე პირველი თქმა ყოფილა ყველაფერი, თორემ მერე ხალხი შეკავებულ მდინარესავით დაიძვრება. ერთმანეთს აღარ აცდიდნენ, აღარც თავმჯდომარეს უგდებდნენ ყურს, აღარც მასწავლებელსა და აღარც პირში ჩალაგამოვლებულ ზურას, რომელიც დაბნეული აჭყეტდა თვალებს, აქეთ-იქით იხედებოდა, თითქოს ვიღაცისაგან შემწეობას ეძებსო. როგნედა კი იდგა მის ზურგს უკან პატარა ბავშვივით შეშინებული და თავგზააბნეული.

რა არ ილაპარაკეს, რა არ ამოატივტივეს... ყველაფერს როგორ ჩავიწერდი? ერთმა გოგონამ, მახსოვს, ისიც კი თქვა, ბიჭები გაუთავებლად უწმაწურობენ — იგინებიან და ილანძღებიან, საშინელი უშვერი სიტყვებით მიმართავენ ერთმანეთს, გოგონებსაც კი არ ერიდებიანო... ისე, რომ ჰკითხო, ვაჟკაცები არიან... თამბაქოს ხომ თითქმის ყველა ეწევა და დამშლელი არავინაა.

— ეგ კი არა, — წამოისროლა რომელიღაც გოგონამ შუა რიგებიდან, — ჩემი თვალით ვნახე, ბიჭები მასწავლებელთან ერთად რომ ეწეოდნენ სიგარეტს. — ახლა გვარს არ დავასახელებო, თქვა, მაგრამ არც იყო საჭირო: ყველამ ფარულად თუ აშკარად ჩვენი ფიზკულტურის მასწავლებლისაკენ მიიხედა. გენო მასწავლებელი გაფითრდა, მაგრამ ისე დაიჭირა თავი, ვითომც ეს მას არ ეხებოდა.

რატომღაც ამის თქმაზე უხერხული დუმილი ჩამოვარდა. ამით მაშინვე ისარგებლა კომიტეტის მდივანმა და ისევ ჩაერთო საქმეში:

— ამხანაგებო!.. აქ იმდენი და ისეთი რამ ითქვა, ვინმემ რომ ყური მოკრას, იტყვის, საკონცენტრაციო ბანაკში ჰყავთ ბავშვებიო, — წამით იყუჩა და მერე ისევ განაგრძო, ცოტა არ იყოს, მოტეხილმა და შესარიგებლად განწყობილმა: — ბოლოს და ბოლოს, რა გაკლიათ? ვინმეს შიაო, ვერ იტყვით... ლოგინი ცუდი გვაქვსო, ვერ იტყვით... ძალიან ბევრს გვამუშავებენო, იმასაც ვერ იტყვით... რა მოხდა ასეთი? დილის რვაზე გავდივართ მინდვრად და ისიც იმიტომ, მაგარ მზეში არ მოგიწიოთ საქმიანობა. პირველ საათზე უკვე შინ ვართ... სპეციალურად გაგვაფრთხილა მეურნეობის დირექტორმა — იცით, რა გულისხმიერი კაცია—ბავშვები მცხუნვარე მზეში არ გააჩეროთო... თამაში გაკლიათ თუ გართობა? ორჯერ ლაშქრობა მოვაწყვეთ, შეხვედრა გვქონდა მოწინავე მშრომელებთან, ერთხელ კინოშიც გვყავდით... ტელევიზორი ორი გაქვთ... დისკოთეკაც ხომ რამდენჯერ გავმართეთ... რა, იტყვით, არაო?! — ამაყად მოგვავლო თვალი მთელ კრებას პასუხის მოლოდინში და როცა ყოველი მხრიდან წამოვიდა თანხმობის შეძახილები, ნასიამოვნებმა უფრო თამამად განაგრძო:

— მაშ რითი ხართ უკმაყოფილო? მართალია, გვაქვს ნაკლი, იქნებ რაღაც ჩვენც ვერ გავაკეთეთ ისე, როგორც საჭიროა, მაგრამ რა მოხდა ასეთი?.. ცოტა უნდა გავიჭირვოთ, ამხანაგებო!.. მე ვიტყოდი, უნდა ავიტანოთ!.. სახლში კი არა ხართ... განა ტყუილად ჰქვია შრომით რაზმებს „მებრძოლი რაზმები“? ჩვენი ბრძოლა აქაა, მე ვიტყოდი, ამ მინდორშია ჩვენი ფრონტი... ჰოდა, ბრძოლა ადვილი რომ არ არის, ეს ყველამ უნდა იცოდეს. ასეთებს იტანდნენ ჩვენი წინაპრები?.. არ წაგიკითხავთ თუ არ გაგიგიათ?

ბავშვები დაჩუმდნენ. თითქოს კიდეც დაეთანხმნენ ჩვენს უფროსს და კიდეც არა. მართალი გითხრა, მეც დავიბენი: კაცმა რომ თქვას, კომიტეტის მდივანი მართალია, მაგრამ რაღაც მაინც რომ არ მასვენებს, ეს რაღაა? არ ვიცი, რას ვერ ვეგუები, რა მაწუხებს, რა მინდა... შენ მაინც რას ფიქრობ, რატომ ვიყავით ასე აღრენილები, რაღაც უკმარობის გრძნობით აღსავსენი, ადუღებულები?.. შინაგანად ვერ ვისვენებდით და ვერ გაგვეგო, რას არ ვეთანხმებოდით, რა არ მოგვწონდა.. შევატყვე, ასე თუ ისე, შემრიგებლურმა სიომ დაჰბერა, მაგრამ ადგა ისევ ის ბიჭი, გვარი რომ ვერ შევიტყვე მისი, და იკითხა, ბარდაძეს რას ვუპირებთო.

ზურაბი ერთბაშად დაიბნა, მაგრამ მალე ისევ დაიბრუნა თავისი დაჯერებული იერი:

— ბარდაძეს?.. — იკითხა მან გაგრძელებით, დრო რომ მოეგო მოსაფიქრებლად. — მართალი გითხრათ, კი ეკუთვნის მაგარი სასჯელი, მაგრამ... მგონი, ამჯერად იმით დავკმაყოფილდეთ, გავუშვათ ბანაკიდან... წავიდეს შინ და მერე დირექციის წინაშე აგოს პასუხი.

უმეტესობას ეს არ მოეწონა. აბუზღუნდნენ. მაშინ ადგა ჩვენი ლია გედენიძე და მშვიდად განაცხადა:

— მე მაქვს ამხანაგებო, წინადადება! — და გამომწვევად გახედა მესამერაზმელებს. — ვერ დავეთანხმები ჩვენს კომიტეტის მდივანს. ბარდაძეს არაფერი დაუშავებია. დისციპლინირებული, მუყაითი რაზმელია... მისი ბანაკიდან გათავისუფლება გაგდებას ნიშნავს, რისთვისაც, კარგად იცით, დირექტორი თავზე არ გადაუსვამს ხელს... მერე და რატომ? რისი გულისთვის?.. პირიქით, ბავშვებო, ბარდაძემ გამოგვაფხიზლა ყველა... ხომ გვეუბნებიან, მართლის თქმის დრო დადგაო? რატომ ბოლომდე არ უნდა ითქვას ყველაფერი? ჰოდა, ბარდაძემ თქვა, რასაც ფიქრობდა. სწორედ ამას არ მოჰყვა ეს კრებაც, რომელზედაც ამდენი რამ ვთქვით ავი თუ კარგი?.. მე მგონი, ეს ძალიან, ძალიან საჭიროც იყო... ბარდაძეს საყვედური კი არა, მადლობა უნდა გამოვუცხადოთ!

— პირად საქმეში შეტანით! — იხუმრა ვიღაცამ და კვლავ აირია მონასტერი.

ყველა ყაყანებდა, გარდა სავლესი, რომელიც უძრავად იჯდა ძელსკამზე და გაქვავებული სახით ერთსა და იმავე უხილავ წერტილს მისჩერებოდა, თითქოს მთელი ეს აურზაური მის გამო არ ყოფილიყოს ატეხილი.

ამ რია-რიაში წამოდგა სოფიკო და მაღლა აიშვირა ხელი, სიტყვა მომეციოთო, თანაც ამხედრებულ ამხანაგებს აწყნარებდა.

ყველაფერი თანამიმდევრობით მაქვს ოქმში ჩაწერილი: „სოფიკო კილაძე აცხადებს, რომ იგი აღშფოთებულია ბარდაძის უპასუხისმგებლო გამოხდომით. ბარდაძე ცილს სწამებს შტაბს, თითქოს რაღაც წინასწარ-განზრახვით ჩვენ მაჩვენებლები გაგვიდიდა. რა საბუთი აქვს ხელთ? არაფერი. იგი ისე იქცევა, თითქოს სამართლიანობისათვის მებრძოლი მყავდეს. თუ ასეთია, აქამდე სად იყო? მაინცდამაინც ახლა რატომ გამოიდო თავი? საქმე ისაა, რომ იგი განაწყენებულია ჩვენზე, გაბუზღვით გვიყურებს, ვერ აუტანია ჩვენი წარმატება. ერთი რაღაც ფრთამოტეხილი მტრედისთვის დანასისხლად გადაეკიდა დევი ლოლაძეს და არ იცის, როგორ გადაუხადოს სამაგიერო... დასასრულს, კილაძეს შემოაქვს წინადადება, ბარდაძე დათხოვნილი იქნას ბანაკიდან და მისი საქმე განსახილველად გადაეცეს ადმინისტრაციას...“

ერთი გენახა, ამას რა მოყვა!.. სოფიკომ თვითონ გამოუთხარა ძირი თავის თავსა და მთელ რაზმსაც.

მართალი გითხრა, ამ მტრედის ამბავი ყველამ კარგად ვიცოდით, მაგრამ მისთვის განსაკუთრებული ყურადღება არავის მიგვიქცევია აქამდე. ახლა სულ სხვაგვარად წარმოჩინდა იგი.

როგნედამ სასხვათაშორისოდ იკითხა, რა მტრედზეა ლაპარაკი, რაშია საქმე, რა მოხდაო, და რომ გაიგო, რაც იყო, თმები ყალყზე დაუდგა.

ბავშვები ერთმანეთს არ აცლიდნენ მოყოლას. ზოგი რას ამბობდა და ზოგი რას, უსწორებდნენ ერთმანეთს, ნაოქვამს, რაღაც დეტალს ამატებდნენ, აზუსტებდნენ. ასე თუ ისე, ყველამ გაიგო, რაც მოხდა.

სავლეს სადღაც მინდორში ფრთამოტეხილი ნაცარა მტრედი უპოვია. არ ვიცი, ნადირისათვის დაუღწევია თავი თუ რამეს დაჯახებია, ეგდო და ძლივს სუნთქავდა. წამოიყვანა, ფრთა მკერდთან ბინტით მიუკრა, რომ არ ემოძრავებინა და საკენკიც დაუყარა. სასადილოდან მუყაოს პატარა ყუთი მოიტანა და აივანზე დადგა, მტრედი შიგ ჩასვა და იქ ჰყავდა რამდენიმე დღეს. ვიცოდით ეს და მტრედს ყველანი ვუვლიდით. შენ წარმოიდგინე, მალე გამოცოცხლდა. ისე შეგვეჩვია, აღარ გვიფრთხოდა. გვენდობოდა და მადლიერი ღუღუნით შემოგვეგებებოდა, როცა დავხედავდით.

ერთ დღეს, სამუშაოდან რომ დავბრუნდით, სავლეს აღარ დახვდა ადგილზე თავისი მტრედი. იქნებ ძალა მოიცა და გაფრინდაო, გაიფიქრა და აივნიდან მიმოავლო თვალი იქაურობას, სადმე ხომ არ ჩანსო. ცასაც ახედა, მაგრამ რას იპოვიდა, როცა დევის ამოუყვანია უკითხავად და თავისიანებთან წაუყვანია თურმე. ეს ერთმა პატარა ბიჭმა უთხრა სავლეს, და ისიც მესამერაზმელთა პალატებისაკენ გაემართა.

წაყვანას ვინ ჩივის, ისეთი დღე დაუწევიათ იმ საცოდავისათვის, სავლეს ენა ჩაუვარდა მის მნახველს. დევის, თურმე, აუღია, უთამაშებია ხელში საწყალი მტრედი და მერე, რა ვიცი, რა ბოროტმა სულმა შთააგონა, ფრთიდან ერთი ბურდღა ამოუცლია — ასე გავპუტავ აყლაყუდა სავლესო. ხუთნი ყოფილან იქ იმ დროს ამფსონები. გაუცინიათ და მასახარაობა დაუწყიათ. მერე ერთი მათგანიც „მიშველებია“ დევის, იმასაც ამოუგლეჯია ერთი ბურდღა, მერე მეორეც... საქმეში სხვებიც ჩაბმულან და ერთმანეთს აღარ აცლიდნენ: ზრიალ-ღრიალით, სიცილ-ხარხარით ბდღვნიდნენ გაწამებულ ფრინველს. ასე უპუტიათ საცოდავი მტრედი, ვიდრე მთლიანად არ გაუშიშვლებიათ. სავლე რომ მოსულა, უკვე სულს ღაფავდა თურმე.

— იჰ, არ მოგწონს? — დევის ფეხით აუპორწიალებია გაშვლეპილი მტრედი და სავლესათვის ცხვირწინ აუთამაშებია.

სავლეს არაფერი უთქვამს. უსიტყვოდ გამობრუნებულა უკან და პირქვე დამხობილა თავის საწოლზე. ის იყო და ის: ისედაც სიტყვაძვირი ბიჭი მთლად დამუნჯდა, დევი ლოლაძისაკენ გახედვაც აღარ უნდოდა, მის ხმასაც კი ვეღარ იტანდა. ყველა ეჯავრებოდა, ვინც იმასთან მეგობრობდა.

როგორც გითხარი, მაშინ ამ საქმისათვის მაინცდამაინც დიდი მნიშვნელობა არავის მიგვიცია, მაგრამ ახლა, მეხივით გავარდა ეს ამბავი.

როგნედამ ხელისგულები მიიფარა სახეზე და ასე დარჩა რამდენიმე ხანს. მისმა ამგვარმა პოზამ მაშინვე მიიქცია ყველას ყურადღება და უცებ სიჩუმე ჩამოვარდა. ყველა მას შეჩერებოდა, დიდი თუ პატარა. ყველამ ვიგრძენით, რომ ამ ამბავში რაღაც სულ სხვა იყო, უფრო დიდი და მნიშვნელოვანი, ვიდრე ერთი მტრედის სიკვდილია. მასწავლებლებმა მრავალმნიშვნელოვნად გადახედეს ერთმანეთს, რაღაც ჩაილაპარაკეს, უსიამოვნოდ შეიშმუშნენ, მოღუშულად შეგვათვალიერეს.

ეროვნული ბიბლიოთეკა

მოვუაროთ ღედა-ბუნებას

გვესაუბრება საქართველოს სსრ ბუნების დაცვის სახელმწიფო კომიტეტის თავმჯდომარე ვილი კაჭარავა

ბუნებასთან დაუფიქრებელი ურთიერთობის, ბუნებაში უდიერი ჩარევის, მისი ულმობელი შელახვის შედეგებმა ის მოგვიტანა, რომ დღეს შეშფოთების, გულისტკივილის გარეშე დედაბუნებაზე ლაპარაკი არ გამოგვიდის...

ქვეყანაში მიმდინარე გარდაქმნის კურსის მიზნებიდან და ამოცანებიდან გამომდინარე, იმედი უნდა ვიქონიოთ, რომ ბუნების დაცვასთან დაკავშირებული პრობლემები უთუოდ მოგვარდება და ბუნებაზე ზრუნვა რეალურ, ქმედით და კონკრეტულ ხასიათს მიიღებს.

ბუნების მოვლა-გაფრთხილება, მასთან გონივრული ურთიერთობის დამყარება და ამ ურთიერთობის შედეგების აუცილებელი გათვალისწინება, ბუნების ყოველგვარი ხელყოფის არიდება-აღკვეთა გახლავთ ყველა იმ ღონისძიების მთავარი მიზანი, რომელთა გატარებასაც ითვალისწინებს გარდაქმნა ბუნების დაცვის დარგში. ჩვენს ქვეყანაში ამჟამად ეკოლოგიის საკითხებს არნახულად დიდი ყურადღება ეთმობა.

იქმნება ბუნების დაცვის საკავშირო რესპუბლიკური კომიტეტი, რომელიც კოორდინაციას გაუწევს მთელ მუშაობას ამ დარგში. მისი საქმიანობა დამყარებული იქნება ამოცანების კომპლექსურ შესწავლაზე, აქტუალური პრობლემების ყოველმხრივ შესწავლა-გადაწყვეტაზე, ეკოლოგიურ ექსპერტიზაზე და ა. შ. ეს, თავისთავად, იმას ნიშნავს, რომ ბუნების დაცვის უწინდელი დაქსაქსული სისტემის ნაცვლად გვექნება ერთი საუწყებათშორისო გაერთიანება; რომ ტყის, წყლის, მიწის, ნადირ-ფრინველის მოვლა-დაცვასთან დაკავშირებული ყველა საკითხი განხილული და გადაწყვეტილი იქნება მხოლოდ ერთმანეთთან ურთიერთკავშირში, კომპლექსურად; რომ ვერ აშენდება ვერც ერთი მეტნაკლებად მნიშვნელოვანი ობიექტი, რაგინდ დიდი ეკონომიკური ეფექტის მომტანიც უნდა იყოს იგი, თუ ექსპერტებმა წინასწარ არ დაადგინეს, როგორ იმოქმედებს ეს ბუნებაზე და თან — არა მხოლოდ უახლოეს მომავალში; რომ შეიქმნება ეკოლოგიური ფონდი; რომ ყოველგვარი ჯარიმა, რომელიც ბუნების უშუალო შემლახველს გადახდება, მოხმარდება ისევ ბუნების დაცვას...

— ეს ყველაფერი სახელმწიფოს მხრიდან განხორციელდება; რაღას ავალებს საქმის დღევანდელი ვითარება ხალხს, საზოგადოებას, თითოეულ ჩვენგანს?

სახელმწიფო მარტო ნამდვილად ვერაფერს გახდება; საქმეს ვერც ჯარიმებით მოევლება, ვერც სხვა ადმინისტრაციული ღონისძიებებით, თუ არ იქნა საზოგადოების აქტიური მონაწილეობა. ჩვენ ყველაფერს ვერ გავწვდებით — სად წყარო დაშრა, სად ხე მოიჭრა, სად ბრაკონიერი ბოგინობს... და სწორედ აქ უნდა ამოვიდგეს მხარში საზოგადოებრიობა, აქ უნდა გამოვლინდეს ყოველი ჩვენგანის მამულიშვილობა, დედაბუნების სატკივარი ყველამ უნდა გაითავისოს, სხვანაირად ვერც უკვე მიყენებულ ჭრილობებს მოვუშუშებთ და ვერც ახალი ჭრილობებისგან დავიცავთ მას. და რაღა თქმა უნდა, ამ საქმეში ბევრი რამ არის დამოკიდებული ყმაწვილებზე, სკოლის მოსწავლეებზე, პიონერებზე. ბუნების დაცვა ის ასპარეზი გახლავთ, სადაც უტყუარად გამოჩნდება თითოეულის მამულიშვილობა.

ბუნების ნორჩი ქომაგები ბევრს აკეთებენ მისი მოვლა-დაცვისთვის. რესპუბლიკის რიგ სკოლებში ამ საქმის საუკეთესო ტრადიციები არსებობს და მაინც მოსწავლეებს,—პიონერებს, კომკავშირელებს კიდევ უფრო მეტის გაკეთება შეუძლიათ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ძალზე ბევრ ჩვენს თანამემამულეში სულიერ ტკივილად ბორგავს მშობლიური ბუნებისათვის მიყენებული მცირე ჭრილობაც კი. მაგრამ... ალბათ არ მოიძებნება ჩვენ შორის ადამიანი, რომ თქვას, ბუნება არ მიყვარსო. უცნაურია, ჩვენ ხომ ასე ვუფრთხილდებით, ვესათუთებით და თავზე ვევლებით იმას, რაც და ვინც გვიყვარს, მაშ რატომღა ვაყენებთ ტკივილს ბუნებას?

— იცით, ჩვენ განებივრებულები ვართ ჩვენი მშობლიური ბუნების მშვენიერებით, მრავალფეროვნებით. ალბათ, სწორედ ამიტომ ბევრს ჩვენი ბუნების სიმდიდრე ულევი ჰგონია, არის არხეინად და ფიქრობს, რომ ყველაფერ ამას მოვლა არ სჭირდება — ისედაც ყოველთვის იბიბინებს ბალახი, იშრიალებს ტყე, იდენს მდინარე თუ ნაკადული, იგალობებს ფრინველიო... არამც და არამც. რამდენი შეუქცევადი რამ მოჰყვა ამ ჩვენს უზრუნველობას, რამდენი რამ დააკლდა ჩვენს ბუნებას...

მე ვფიქრობ, ეს იმიტომაც ხდება, რომ, სამწუხაროდ, გვაკლია ბუნების დაცვის კულტურა, ხშირად საქმე ლაპარაკის, ტრაბახის იქით არ მიდის. დავაკვირდეთ: თავისას, საკუთარს, პირადს ჩვენებური ადამიანი საუკეთესოდ უვლის, უფრთხილდება, ალამაზებს და ამშვენიერებს, საერთოს კი ხშირად არად აგდებს. ბუნების მოვლა-პატრონობის გრძნობას, მისი დაცვის კულტურას პატარაობიდანვე უნდა ვუნერგავდეთ ჩვენს ბავშვებს.

— ხოლო უპირველესი პირობა ამისათვის ალბათ ბუნების ცოდნა, მასთან სიახლოვეა უთუოდ. მაგრამ, სამწუხაროდ, მშობლებს, აღმზრდელ-მასწავლებლებს ხშირად საერთოდ არ ახსენდებათ, რამდენი აკლდებათ ჩვენს ბავშვებს იმის გამო, რომ შორს არიან ცოცხალი ბუნებისაგან, განსაკუთრებით ქალაქელი ბავშვები არიან ბუნებასთან სიახლოვეს მოკლებულნი. ჩვენი დღეებისათვის დამახასიათებელმა ინტენსიურმა ურბანიზაციამ შედეგად ის მოგვიტანა, რომ ადამიანმა თანდათანობით დაკარგა კავშირი სოფელთან, ბუნებასთან. ჩვენ რაღაცნაირად დავეჩვიეთ მხატვართა ტილოებზე, ფოტოსურათებზე, ტელეეკრანებზე ასახული პეიზაჟებით ტკბობას და სულ გადაგვავიწყდა ცოცხალი ბუნება. ამასვე ვაჩვევთ უნებურად ჩვენს შვილებს. ალბათ, სკოლის ყველა მოსწავლე სხაპასხუპით მოგვიყვება პურის შემოსვლა-მწიფობის მთელი პროცესის შესახებ, მაგრამ მათგან თითო-ოროლას თუ ექნება ნანახი ჯეჯილი ან ყანა...

— სამწუხაროდ, ასეა. რა უღირთ, მაგალითად, მშობლებს, კვირა დღეს მაინც გაიყვანონ ბავშვები თუნდაც თბილისის შემოგარენში, მიანიჭონ შვილებს ბუნებასთან სიახლოვის შეუდარებელი სიამოვნება. სცადონ ვენ ჩვენი სკოლებიც, პირველ რიგში ბუნების, ბიოლოგიის მასწავლებლები. ხომ შეიძლება, რეგულარულად თუ არა, დროდადრო მაინც ბუნების წიაღში, ვთქვათ ტყეში, მინდვრად, მდინარის პირად, თუნდაც ბოტანიკურ ბაღში ჩაუტარონ ბავშვებს გაკვეთილები.

სწორედ ბავშვების ბუნებასთან დაახლოებას ისახავს მიზნად ბავშვთა ეკოლოგიური აღზრდის ცენტრები, რომელთა შექმნასაც ვვარაუდობთ მომავალში. პირველი ასეთი ცენტრი უახლოეს მომავალში გაიხსნება თელავში. ცენტრს ექნება თავისი ნაკვეთები, ბაღი, ტბორი, საფუტკრე მეურნეობა და ა. შ. ამგვარივე ცენტრის გახსნას ვფიქრობთ თბილისში, პიონერულ ქალაქ „მზიურში“. იმედი გვაქვს, რომ აქ ბავშვები ისწავლიან მშობლიური ბუნების ჭეშმარიტ სიყვარულს, რაც პირველ რიგში მის მოვლა-გაფრთხილებასა და დაცვას გულისხმობს. ბუნება ისევ ადამიანმა უნდა გადაარჩინოს, ისევ ადამიანმა უნდა მოუშუშოს მას ჭრილობები, მან უნდა მოუაროს მიწას და წყალს, ტყეს და ველს; ის უნდა მიესათუთოს ყვავილს და ბალახს; ის უნდა ექმნეს უპირველეს მფარველად და მეგობრად ნადირ-ფრინველს.

ესაუბრა მ. გელაშვილი

თ ე ნ გ ი ზ კ ო ბ ე რ ი ძ ე

• • •

ლურჯი ტალღები
მომხვია ფრონემ,
მომიალერსა,
მომეფერა,
გამახალისა...
როცა დარწმუნდა
საბოლოოდ,
გამათავისა:
იქვე მორევში
ზურგზე შემისვა
და როგორც მამამ
თავისი ყრმა —
გამასეირნა!
ო, ყრმობის წლებო,
დამრჩით ზეიმად!

მამაცური

ავბედით დროში
გაყიდულო,
მისხიდან მისხო,
ცხელ უდაბნოში
შენ დაგეძებ,
ქართულო სისხლო!..

შენ აქ, ხორშაკში
ოფლსა და სისხლს
კოკებით ღვრიდი,
ძლევას,
დიდებას
სისხლის ფასად
აქ მოიმკიდი...

ავბედით დროში
გაყიდულო,
მისხიდან მისხო,
ცხელ უდაბნოში
შენ დაგეძებ,
ქართულო სისხლო!

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ივი მუდამ შენზე ფიქრობს

ივი მუდამ შენზე ფიქრობს
სკოლაში თუ სკოლის გარეთ,
შენთვის უნდა გულის სითბო,
შენს მომავალს დაპკანკალებს.

შენი კარგი სწავლა-შრომა,
შენი კარგი ყოფაქცევა, —
აი, მისი დიდი შვება,
მისი ნატვრა და ოცნება.

რომ პირნათლად მზეს უმზირო,
რომ შვენოდე მშობელ მხარეს,
რომ ნამუსის ქუდით ვლიდე,
მისთვის იღვწის დღეცისმარე.

ყველაფერი შენ ეს უწყი,
მიტომ რწმენით ვამბობ ამას:
გაამართლებ უეჭველად
მასწავლებლის წმინდა ამაგს.

სიმონ შამფრიანი

ფოტო
დ. იაკობაშვილისა

ეროვნული ბიბლიოთეკა

ნინო ხარაზიშვილი

ნინო მასწავლებელი...

საკუთარ პროფესიაზე შეყვარებული ადამიანის საუბარს აქვს ერთი თვისება — უცებ დაგიპყრობს, შენი ინტერესების ჩარჩოდან წამით თითქოს ამოგაგდებს, თავისკენ გაგიტაცებს. ქალბატონი ნინოსგანაც ასეთი რამ ვიგრძენი და სხვაც, კიდევ უფრო პატივმისაგები და მოწიწების ღირსი: მისი დიდი შინაგანი ტაქტი და ინტელიგენტურობა — ის, რასაც ადამიანი ვერ შეიძენს ვერც უმაღლესი განათლების მიღებისა და ვერც სწავლულთა დამოძღვრის შედეგად.

ლექსების წერა არც უცდია. არადა, თითქოს სხვა არჩევანი არც უნდა ჰქონოდა ერთბაშად ორი ცნობილი ქართველი მწერლის — რაფიელ ერისთავისა და ალექსანდრე ყაზბეგის შთამომავალს. თითისტოლა გოგოობისდროინდელი გატაცება კი მოწიფულობამდე გაჰყვა. გამოაწყობდა თურმე ერისთავიანთ დიდი სახლის ძველ აივანზე თავის თოჯინებს, მოწაფეებივით ჩამოამწკრივებდა და, აქაოდა, ვმასწავლებლობო, ყოფილა ერთ ამბავში... „თოვლი ატირდა ლანქერად, ადიდდა ჩვენი წყლებია“... — გამოთქმით წაუკითხავდა ხოლმე „მოწაფეებს“, დაკვირვებით, ხმაგადიდებით. სოფლის მასწავლებელს ვბაძავდიო, — იღიმება. უხაროდათ მშობლებს, ქართული პოეზიისა და, მომეტებულად, პაპა რაფიელის ლექსების მოყვარული რომ იზრდებოდა მათი ნებიერა გოგონა.

განა მართლა თავადის ქალივით ანებივრა ბედმა... ცამეტი წლის იყო, თელაველთა უწმინდეს ალაგას — ერეკლე მეფის დროინდელ გალავანთან გაჭრილ საფლავს რომ მიაბარეს მამა — ცნობილი რევოლუციონერი მამია ერისთავი. მას შემდეგ სამოცზე მეტი წელი გავიდა და იმ ბავშვურ ტკივილს ახლა სიამაყის მოკრძალებული შარავანდედიც ამკობს.

მამის სიკვდილის შემდეგ მართლაც რომ იძალა გაჭირვებამ. დედამ ბევრი იბრძოლა, შესაფერისი განათლება რომ მიეცა სამივე ქალიშვილისთვის და ნინო ერისთავი იმხანად თელავში ახალგახსნილი პედაგოგიური ტექნიკუმის ერთ-ერთი პირველი მოსწავლე გახდა.

დაწყებითი კლასის მასწავლებლად დანიშნეს. კანკალებდა კლასში პირველად შესვლისას, იმ ცეროდენა მოსწავლეებისა დევებივით ეშინოდა. ეს შიშიც უკან დარჩა. მერე გამოცდები ჩააბარა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში იმჟამად არსებულ პედოლოგიის ფაკულტეტზე. მისი დახურვის შემდეგ ჯერ ქუთაისის და მერე თბილისის ა. ს. პუშკინის სახელობის პედაგოგიური ინსტიტუტების ქართული ენისა და ლიტერატურის ფაკულტეტებზე სწავლობდა, იქაც და აქაც — ფრიადებზე. ფრიადების მიღება ძალიან უყვარდა, მერე პირველობამ გააამაყა კიდეც და სხვაგვარად აღარც შეეძლო.

ასეთი იყო ახალგაზრდობისას. ასეთი დაუბრუნდა მშობლიურ ქისტაურსა და თელავს — წარმატებებით გახალისებული, იმედებითა და ოცნებებით სავსე. მაღალი კლასები რომ ჩააბარეს, ბავშვივით გაახარა თითქმის თანატოლ მოსწავლეებთან შეხვედრამ. მათთან მეგობრულ საუბრებში იპურებდა სულსა და იკლავდა ლიტერატურაზე—მისი ცხოვრების უდიდეს სიყვარულზე მსჯელობის მოთხოვნილებას. ქალაქის 1-ელ სკოლაში მუშაობით დაიწყო, მერე ახალგამოყოფილ მაქსიმ გორკის სახელობის სკოლაში გადაიყვანეს. სწორედ ამ სკოლის ბაზაზე შეიქმნა 1944 წელს თელავის მე-3 საშუალო სკოლა. ასე გავიდა წლები, ერთ მშვენიერ დღეს კი ქალბატონმა ნინომ „აღმოაჩინა“, რომ სკოლაში თურმე 58 წელია მუშაობს.

შარშან დაარსებიდან 150 წელი გადაუხადეს სკოლას, უფრო სწორად, მის შენობას, რომელიც სკოლად გადაქცევამდე ჯერ სამაზრო სასწავლებლად ითვლებოდა, შემდეგ — სამოქალაქო და ამ სახით 1830 წლიდან ემსახურებოდა ქართველი ყმაწვილების აღზრდა-განათლებას.

უამრავი მილოცვა მიიღეს ძველებისაგან, ახლებისაგან... სკოლის ყოფილი მოსწავლისაგან, საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის დღევანდელი პრეზიდენტის, აკადემიკოს ალბერტ თავხელიძისგან, მისი ყოფილი ქიმიის მასწავლებლის, აკადემიკოს სერგი დურმიშიძისაგან...

ამ ზეიმს მალე მეორე ზეიმიც მოჰყვა, მოულოდნელი და არანაკლებ გულისამაჩუყებელი ქალბატონი ნინოსათვის. სკოლაში 75 წლისთავის აღსანიშნავი ლამაზი საიუბილეო საღამო გაუმართეს. საგულდაგულოდ მოეწყო და მოირთო სცენა. ღია ბარათებმა პირთამდე აავსო საფოსტო ყუთი. კითხულობდა ამ ბარათებს და ეჩვენებოდა, რომ ამ საზეიმო დღეებში ისეთ გემოს ვეღარ ატანდა თავის ყველაზე გუნებიერ საქმიანობას — ნამოწაფართა წერილების ამომზეურება-კითხვას. დაუკითხავად მოგორავდა ცრემლი, ასველებდა ათეული წლის წინანდელი ხუთოსნების, ოთხოსნებისა თუ სამოსნების ნაწერებს...

განა მარტო სიმყუდროვითაა დაუთმობი პატარა ქალაქი,—საოცრად

გულწრფელი და თბილი შინაური გარემოთი უფრო — ...ქუჩაში ყველა ნათესავივით გიღიმის და გულშემტკივრულად გესალმება. მარქსის ქუჩიდან მე-3 სკოლამდე ერთი პატარა აღმართია. სანამ აამთავრებს, ბარემ ათჯერ შეჩერდება. მთელი ქალაქი იცნობს ნინო მასწავლებელს, ვის მისი მასწავლებლობის სიკეთე სმენია და ვის — მისი დიდი და ძველი ოჯახისა. ისიც ყველას გულთბილი მომკითხველი და კეთილისმსურველია, თითქმის ყველა ამუბნელის ციცქნა ბიჭობა და გოგოობა გუშინდელივით ახსოვს. და ვინ იცის, იქნებ არც არსებობს მასწავლებლის მეხსიერების მჯობნი მეხსიერება...

ამ ბოლო დროს ეჭვიანი გახდა. ყურადღებით აკვირდება თავის მოსწავლეთა განწყობილებას, დამოკიდებულებას მისდამი, მისი საგნისადმი... რატომღაც სულ უფრო ხშირად ფიქრობს, იქნებ ახალგაზრდასთან ურთიერთობა ურჩევნიათ და მე უკვე მოვაბეზრე თავი. ასეა... ეჭვმა ზოგჯერ მიზეზიც არ იცის. თავად კი მათი ჟრიამულის გარეშე ვერ გაუძლია. ზაფხულის გატანა უჭირს. ხუმრობა ხომ არ არის სამი თვე უბავშვებოდ! ამიტომაა, რომ უკვე 16 წელია, ქვემო ხოდაშნის პიონერთა ბანაკის უფროს მასწავლებლად მუშაობს. აი, სად ისვენებს ნამდვილად, სად გრძნობს თავს სრულფასოვნად, სად არის ბედნიერი... ბედნიერი იმის გამო, რომ მისი საუბრის, დასვენებისა თუ გასეირნების ყოველი წუთი მისი აღსაზრდელების პიროვნული მხარეების ჩამოყალიბებას ხმარდება.

„კლასის საათის“ ჩატარება უყვარს ძალიან. სიყვარულზე, უანგარობაზე, თავდადებაზე, მეგობრობაზე, ზნეობაზე, თავდაჭერაზე, შინაგან კულტურაზე გატაცებით ლაპარაკობს. თავისი „გაცემულის“ შემოწმების თავისებური, ძალზე ფაქიზი მეთოდიც შეუმუშავებია. ექსკურსიებზე აკვირდება მოსწავლეებს შორის ურთიერთობებს, სწონის მათ საერთო კულტურას, ამოწმებს, თუ რამდენად შეითვისეს მათ მხცოვანი მასწავლებლის რჩევა-დარიგება თუ ვითომდა სასხვათაშორისო ნათქვამი.

ეს სიფაქიზე და ტაქტიანობაა უპირველესი საფუძველი იმ დიდი მეგობრობისა, რომელიც ქალბატონ ნინოს თავის აღზრდილებთან და აღსაზრდელებთან მუდამ აკავშირებს.

ამიტომ არის, რომ პირველად გულში გამკრთალ გრძნობასაც უფროსებისგან მხოლოდ მას უმხელენ. ამიტომ მიეკედლა მაშინ ასე დედით ობოლი და დედინაცვლისაგან მოძულებული ის კაფანდარა გოგონაც... ამიტომ იყო, რომ იმ დღეს, მისაღები გამოცდების ჩაბარების შემდეგ პირველად მასთან მიირბინა ნათელა მიქაძემ. მიირბინა და ბეჭდიანი უყდო რვეული — თავისი „შავი“ ნაწერი მიუტანა. „ჩემი საყვარელი მასწავლებელი“ — ქწერა თავფურცელზე. „ჩემო ნინო მასწავლებელო, თქვენზე დავწერეო“, სულს ვერ ითქვამდა ბედნიერებისაგან სახეგაბრწყინებული გოგონა.

იმ დღის სიხარული კარგა ხანს ეყო პურადაც და ღვინოდაც. ახლობლებთან შეხვედრისასაც სულ ეჩვენებოდა, რომ თითოეული მათგანისათვის რაღაც ძალზე პირადული და დიდი რამ ჰქონდა მისახარებელი. არადა, თითქოს ბევრი არაფერი მომხდარა, უბრალოდ, ერთ ახალგაზრდას ეყო გამბედაობა. გულწრფელი ყოფილიყო...

საღამოს, სახლში ჩამყუდროებული ყველაზე გემრიელ „ლუკმად“ ფოსტის გაცნობას იტოვებს. დახედავს კონვერტზე დაწერილ გვარსახელს, წამით გაირინდება...

„თქვენ ჩემთვის დღემდეც ჩაუქრობელი იდეალი ხართ, ქალბატონო ნინო, იდეალი მასწავლებლობის, მეგობრობის, ქალურობისა. ამ სიყვარულმა თქვენსავე კოლეგად მაქცია, ნინო მასწავლებელო, ძალზე ბედნიერი ვარ, რომ სამშობლოში ვმუშაობ. გასაოცრად მადგება თქვენი ნასწავლი ქართული...“

ქუთაისელი ეთერ გაბუნია, თბილისელი ექიმი ლეილა უაჭრიშვილი, მეცნიერი ბიოლოგი ნანა ხიზანიშვილი, თელავის სამხატვრო გალერეის განყოფილების გამგე ნანა ვახვახიშვილი... ვერც ჩამოთვლი ყველას, ვინც იუბილეზე ჩამოაკითხა ან გულთბილი მილოცვა გამოუგზავნა. წერილების კითხვაში, ძველი საოჯახო ალბომის თვალიერებაში გადის ხშირად გრძელი საღამოები. თვალები სიყვარულით განა მარტო შვილისა და შვილიშვილების ფოტოსურათებს აჩერდება. მათ გვერდით... მოსწავლეებში ჩამდგარი ახალგაზრდა ან ასაკდატყობილი თხელი ქალი თითქმის ყველა ფოტოსურათზე იღიმება.

თქვენზე რომ ვფიქრობდი, ერთი პატარა ხალხური სიბრძნე მომაგონდა, ნინო მასწავლებელო... შვილიშვილი რომ ეკითხება პაპას, როდის მოკვდებიო... მაშინ, როცა ამქვეყნად აღარც შენ იქნებიო, — პასუხობს მოხუცი. მოხუცის პასუხს აღუშფოთებია შვილი: — რას ამბობ, მამა, თითისტოლა ბალღს, მაგას როგორ ეუბნები, განა ერთად დაიბადეთ, რომ ერთად მოკვდეთო?! ამის სიკვდილის შემდეგ გამხსენებელიც რომ აღარ მეყოლება, აი, მაშინ კი მართლა მოვკდებიო, — უპასუხნია მშვიდად მოხუცს.

არ ვიცი, ეს ხალხური სიბრძნე რატომ მომაგონდა, მაგრამ მეჩვენება, რომ პირდაპირი კავშირია მასსა და თქვენი და თქვენი ნამოწაფრების დამოკიდებულებაში. ამდენი ათეული წლის მანძილზე მათგან ფაქიზად შენახული თქვენდამი სიყვარულისათვის უნდა გაგიმარჯოთ ყველაზე მეტად, ქალბატონო ნინო, იმ სინათლისათვის, რაც თქვენი დიდი წინაპრების სულებიდან წამოკრიფეთ და მათ სულებამდე მიიტანეთ.

გივი გუთხუზი

მხატვარი
ეთერ მითაგვარია

ლაჟვარდისფერი ღრუბელი

ეროვნული ბიბლიოთეკა

18 X 15

მ ო თ ხ რ ო ბ ა

მიუახლოვდა სკოლას და დაირეკა ზარიც. შევარდა ეზოში, აირბინა კიბე და მხოლოდ მეორე სართულის დერეფანშიღა შეანელა ნაბიჯი. ძლივს ითქვამდა სულს.

აღარავინ ჭაჭანებდა გარეთ.

შევიდა კლასში და მიაშურა მერხს, რომელსაც უკვე მისჯდომოდა ოთარი და ხმამაღლა კითხულობდა წიგნს — იმეორებდა გაკვეთილს. მიუჯდა თვითონაც, გახსნა ჩანთა და... წყნარად დაიწყო კითხვა.

წუხელ დიდხანს უყურა ტელევიზორს, დააკლდა ძილი და დედამაც გვიან გააღვიძა დილას.

ბოლომდის ჩაიკითხა ლექსი და მოესმა ოთარის ხმა:

— აი, მე რა მაქვს!

შეხედა, დაკუჭულ ხუთმანეთიანს ასწორებდა სათუთად ოთარი.

არაფრით გამოუხატავს გაკვირვება.

ოთარმა ისტორიის წიგნში ჩადო ფული და უცბად შეწყდა ხმაური. უმალვე ფეხზე წამოდგა ყველა და წამოიწია თვითონაც.

მასწავლებელი მივიდა მაგიდასთან, დადო ჟურნალი, გამოხედა ბავშვებს, დასხედითო, თქვა წყნარად და დაიწყო სიის ამოკითხვა. „ვარ!.. ვარ!..“ — ისმოდა წამოძახილები.

ამოიკითხა მისი გვარიც.

წამოიწია და დაჯდა კვლავ. „ნეტავი დღეს როგორმე გადავრჩე და მერე აღარასოდეს მოვალ მოუმზადებლად“, — გაიფიქრა და ისევ დახედა წიგნს. იქნებ როგორმე მოესწრო ცოტას დასწავლა მაინც?

მასწავლებელმა გადახედა კლასს.

— აბა, გაკვეთილი! — თქვა ხმამაღლა.

უმალვე აღიმართა ხელების ტყე.

მოათვალიერა კლასი და მერე მას მოაბჯინა მზერა.

უმალვე ასწია ხელი.

— შენ რა, არ იცი? — იჭვნეულად შეეკითხა მასწავლებელი.

— როგორ არა, მაას!.. — უპასუხა და წამოიწია უხალისოდ.

მასწავლებელმა მდუმარედ უყურა ერთ ხანს და მერე ჩაიხედა ჟურნალში.

„ღმერთო მიხსენი! ოღონდ ახლა გადავრჩე და...“

— კარგი, დაჯექი! — თქვა თავაუღებლად მასწავლებელმა.

მოეშვა გულზე, ვეღარ შეიოკა ღიმილი და დაჯდა არხეინად.

— მაას!.. გამოვალ! — წამოიძახა ნუნუმ.

— მე მკითხეთ, მაას! — ადგილზე ვერ ისვენებდა გია.

— წყნარად, რა ამბავში ხართ? — წყრომით იკითხა მასწავლებელმა და დაფასთან გაიძახა თენგიზი.

გავიდა იგი და უმალვე ყველამ დაუშვა ხელი.

სხაპასხუპით ამბობდა ბიჭი ლექსს. მისი ხმა ისმოდა მხოლოდ. სულგანაბულნი მისჩერებოდნენ ბავშვები. მდუმარედ უსმენდა მასწავლებელიც.

რა უნდა ექნა დღეს? მშიერი წამოვიდა შინიდან. ფულიც არ დაუტოვებია დედას! ალბათ დაავიწყდა მოცემა. გააღვიძა მხოლოდ, უცადა, სანამ ადგებოდა, მერე გაასწორა ლოგინი და წავიდა სამსახურში.

მასწავლებელი გადი-გამოდის დაფის წინ, საუბრობს ილია ჭავჭავაძეზე, თანაც დაფაზე წერს დიდი მწერლის ბიოგრაფიის თარიღებს... დაირეკება ზარი, გავარდებიან ბავშვები გარეთ, ჩაირბენენ დაბლა, შევლენ სკოლის სასადილოში... ძეხვი, მაწონი, ნამცხვარი... მოუვიდა ნერწყვი. ნეტამც ახლა ჰქონდეს მანეთიანი მაინც! ჯერ არასოდეს ჰქონია ოცდაათ კაპიკზე მეტი. აი, ოთარს კი... ვინ მისცა ხუთმანეთიანი? თვითონ ორ კვირაზე მეტ ხანს მაინც იკმარებდა ამდენ ფულს. სულ ერთთავად გაჭირვებას წუწუნებს დედა. რამდენი ხანია, არა გამოუგზავნია-რა მამასაც.

გაისმა ზარის გაბმული წკრიალი და ახლაღა გამოერკვა ფიქრებიდან. მასწავლებელს უკვე დაემთავრებინა თხრობა. აჭრელებული იყო დაფა თარიღებითა და გეოგრაფიული სახელწოდებებით. ახლა იგი ჟურნალში წერდა რაღაცას. აჟრიამულებული ბავშვები ვერ ისვენებდნენ მერხებზე. წუთი წუთზე მოელოდნენ მის გასვლას. როგორც იქნა, დახურა ჟურნალი, გაეშურა კარისკენ და უმეტესობა ფეხდაფეხ მიჰყვა მას. მარტო თვითონ და კიდევ რამდენიმე სხვა დარჩა კლასში. როგორმე უნდა მოეთმინა გაკვეთილების ბოლომდის, მერე მიირბენდა შინ, შევარდებოდა სამზარეულოში... იქნებ რამე საჭმელი დაეხვედრებინა დედას? ხანდახან შესვენებაზე მოდიოდა და ასწრებდა სახელდახელოდ რაიმე კერძის გაკეთებას. რომელი გაკვეთილი აქვთ ახლა? ისტორია! ესეც სასწავლია! ქართულში უშველა ბედმა. ისტორიაში?.. ახლა თუნდაც დაიწყოს კითხვა, რას ისწავლის ამ ჟრიამულში? ფანჯრიდან გაიხედა გარეთ. თქორს უკვე დაესველებინა კალათბურთის მოედანი, შავად მოჩანდა ეზოში დაგებული გუდრონიც. აქა-იქ დატბორებულ გუბეებში ხტოდნენ პაწია წვეთები. შავი ღრუბლების საბურველი აწვა ქალაქს. დაძენძილი სამოსივით ეკიდა გაყვითლებული ფოთლები ხეთა რტოებს. სველი ფოთლები ეყარა ძირსაც. მიბრუნდა ისევ და გადაწყვიტა წიგნის კითხვა.

გოგო-ბიჭები დარბოდნენ მერხებს შორის. დაფის საწმენდი ჩვარი ეჭირა ავთანდილს და დასდევდა ქეთინოს. მარჯვედ უსხლტებოდა იგი, თანაც კისკისებდა განუწყვეტლივ.

მივიდა მერხთან, ამოიღო ისტორიის წიგნი და ჩუმად დაიწყო კითხვა, მაგრამ ხმაურში უჭირდა დახსომება.

— ოჰო, დამიხედეთ ბეჯით მოსწავლეს!.. როდის აქეთ გახდი ასეთი? — გაეპრანჭა ეთერი.

ცისანამ დაწერა დაფაზე: ვახტანგი გლაა-ხაა, დაუღია ხაა-ხაა!

— აგერ, რა დაწერა შენზე! — კი-

თხვა გააწყვეტინა და დაფისკენ გაახედა ელისომ.

გაიღიმა მხოლოდ.

— უნდა გაგაბრაზო! — არ ცხრებოდა ცისანა.

— ეს მაინც არ გაბრაზდება, თუნდაც... — წამოიძახა ეთერმა და კეფაზე წამოარტყა ხელი.

— აბა, აბა!..

— გლახა ხარ შენ, გლახა!

— შენ კიდევ — უარესი!

— მე არა, შეენ, შეენ!

— დამაცადეთ, ძმნებ როგორმე მოვასწრო ერთხელ წაკითხვა მაინც!

— არა! უნდა შეგიშალო ხელი, არც მაშინ გაბრაზდები?

მოირბინა მარინემ და ჩამოუჯდა გვერდით.

— არ იცი? ისეთი ადვილია, რო!.. მოდი, მე გიამბობ და დაიხსომებ!

— ამ ხმაურში? ვერა!..

თხრობა მაინც დაიწყო მარინემ.

— არ მინდა, ნუუ!.. მე თავად ვისწავლი!

— ვერ მოასწრებ შენ! მე მოგიყვები მოკლედ!

— მე თვითონ უნდა წავიკითხო! — უთხრა და აწკრიალდა ზარიც.

კლასში კანტიკუნტად იწყეს შემოსვლა ბავშვებმა. ნეტამც გადარჩეს ახლაც!

შემოვიდა ოთარი, დაჯდა და გამოიღო ჩანთა.

მისთვის არც მიუქცევია ყურადღება. უხალისოდ განაგრძო კითხვა და უნებურად გახედა კლასში სირბილით შემოვარდნილსა და ძაღლილ მურმანს. გაჩერდა იგი დაფის წინ და იქიდან გამოხედა კლასს. წამწამებზე მარგალიტის პაწია მარცვლებივით უბრწყინავდა ცვარი. დათქვორვოდა თმა, დასველებოდა კვართიც. მოუნდა მასთან მისვლა, რომ თავზე ჩამოესვა ხელი და თვითონაც შეეგრძნო სისველე.

— ვახტანგ! — წამოიძახა ოთარმა.

მყისვე მიხედა მას.

— ფული შენ ამოიღე?

— რა ფული?

— ხუთმანეთიანი! წეღან რო გაჩვენე!

— არა, კაცო! აღარც კი მახსოვდა ისა!

— აბა, რა იქნა მაშა?

— მე რა ვიცი?

— შენს მეტმა არავინ იცოდა, სადაცა მქონდა შენახული! მომე, ჩქარა!

— ვაიმე, ოთარ!.. აღარც კი მახსოვდა-მეთქი, ძმაო! რა ფული, რის ფული?

— არ ვიცი მე! შენ იქით არ იქნება ისა!

შემოვიდა მასწავლებელი და უცბად გაჩუმდა მთელი კლასი.

— მომეცი, რო გეუბნები! — წასჩურჩულა ოთარმა.

— რა მოგცე? არა მაქვს და...

— მომე, თორემ ვეტყვი მასწავლებელს!..

„ ვაიმე, მართლა რომ უთხრას და

ეროვნული ბიბლიოთეკა

თავი მომჭრას ამდენ გოგო-ბიჭებში!“

— მაას!.. — გაუბედავად წამოიძახა ოთარმა.

— რა გინდა? — გამოხედა მასწავლებელმა.

— ვახტანგმა მომცეს ჩემი ფული!

— რა ფული? — იკითხა მან.

— ფული!.. აი, ჩანთაში მქონდა შენახული და აღარ არის! ამის მეტმა არავინ იცოდა!.. — უთხრა და მოუბრუნდა მერე: — მომე, ბიჭო, ჩემი ფული!

უხერხულობისაგან დაება ენა და მიაჩერდა უხმოდ.

— მიეცი! — მკაცრად დაუძახა მასწავლებელმა.

— მე არა მაქვს, მაას!..

— დიახ! — წამოიქოჩრა ოთარი.— ამასა აქვს, დიახ!

— არა, მაას..

— მიეცი, რომ გეუბნები! ეგდა გაკლია და... დაიწყე ეგეცა? კარგი ქნა, რომ მიგატოვათ მამაშენმა და მონახა თავისი გზა!

მიწა გასკდომოდა, ის ერჩივნა ამის გაგონებას. ჩაღუნა თავი, აღარავისი შეხედვა არ უნდოდა ახლა. სამარისებური მდუმარება იდგა კლასში. ალბათ, მას უყურებდა ყველა. არა, მეტად ვეღარ გასძლებდა ასეთ მდგომარეობაში. ისე უნდა გასულიყო გარეთ, არ შეეხედნა არავისათვის. თავჩაღუნულმა ნელა გაიარა მერხებს შორის, მერე თანდათან მოუჩქარა ნაბიჯს, გაიჯახუნა კარი და დერეფანშიღა გაახსენდა ჩანთა და ქუდი. ისევ მიიჭრა კართან, მაგრამ ვეღარ გაბედა შიგ შესვლა. კვლავაც სამარისებური სიჩუმე იდგა კლასში. არა, ვეღარ დაენახვებოდა ამხანაგებს. გაბრუნდა ისევ. ასე ეგონა, გააღებდნენ კარს და გახედავდნენ ნელიად მიმავალს. თითქოს კიდეც იგრძნო მათი ცქერა ზურგიდან. სწრაფად მოეფარა კედელს, ჩაირბინა კიბე და დაინახა კართან გაჩერებული დარაჯი და დამლაგებლები.

— გამოგაგდეს? — დაუძახა ერთმა.

— დააშავებდა რამეს და... — ჩაილაპარაკა მეორემ.

არც შეუხედავს მათთვის, ჯიქურ გავიდა გარეთ. შიშველ თავზე დაეცა წვიმის ცივი წვეთები და დაიხია უკან. ჟინჟღლავდა უსიამოდ. მაგრამ ჩქარა უნდა გასცლოდა აქაურობას... ერთხანს შეუსვენებლივ ირბინა, რომ მალე მისულიყო შინ. თითქოს ჯინაზე უფრო მოუხშირა წვიმამ. გაიზუნზლა, ფეხსაცმელებშიც შესვლოდა წყალი. ერთ-ერთ სადარბაზოში შევიდა და კიბის საფეხურზე ჩამოჯდა.

ნამეტანი ნაადრევად აცივდა წლეულს! სადაც არის, მოვა ზამთარიც და... არა აქვს თბილი ცანსაცმელი. მოესმა ფეხის ხმა და აიხედა კიბისკენ. ვიღაც ხანში შესული დიასახლისი ჩამოდიოდა დაბლა. გარედან სწორედ ამ დროს შემოვიდა ახალგაზრდა ქალი, დაკეცა ქოლგა, დაიქნია რამდენჯერმე და დაცვენილმა წვეთებმა მორწყო ფილაქანი. ბიჭმა დახედა ბადურას, საიდანაც მოჩანდა გვერდებშეწითლებული ცვილისფერი ვაშლები და სტაფილოები. თანდათან მოადგა ნერწყვი. რამდენი ხანია, აღარ უგემნია ვაშლი.

— ბაზარში იყავი? — შეეკითხა დიასახლისი ახალგაზრდა ქალს.

— დიახ.

— რა ღირდა ვაშლი?

— სამი მანეთი! მინდოდა მანდარინიც, ძმას უნდა გავუგზავნო ამანათი, მაგრამ... ვერ ვიყიდე სიძვირის გამო. ხუთ მანეთს აფასებდნენ კილოს!

— ვაი, ჩვენი ბრალი!.. მაღაზიაში უნდა აგეღო, იაფია იქ უფრო.

— რას ვარგა მაღაზიაში ნაყიდი! წვრილი, უფერული, მჟავე, დაბეგვილი, დამჭკნარი...

ისე ლაპარაკობდნენ, არც აქცევდნენ ყურადღებას. მერე დიასახლისმა გაშალა ქოლგა და გავიდა ქუჩაში... თანდათან აიტანა სიცივემ და გადაწყვიტა გაქცევა. სირბილში გათბებოდა და მალეც მივიდოდა შინ. ოხ, ეს წვიმა! იქნებ გადაეკარებინა ცოტათი მაინც? სადარბაზოდან გახედა ერთიანად დასუდრულ ცას. თითქოს კიდევ უფრო მატულობდა წვიმა. ქუჩაში მიქრი-მოქროდნენ მსუბუქი ავტომანქანები, ტროლეიბუსები... ჩქარავე მიდი-მოდიოდა ხალხიც. გარედან შემოვიდა ორი დიდი ბიჭი. მათ მაშინვე მიაქცევს ყურადღება და ის იყო უნდა შესდგომოდნენ კიბეს, რომ მიუბრუნდა ერთი:

— რას აკეთებ აქა?

— არაფერს!

წაავლო საყელოში ხელი, ასწია და მიახეთქა კედელს, მერე ისეთი სილა გასცხო ყბაში, დაეხვა თავბრუ. დაუბნელდა თვალთაც, გარაცრაცდა კიდეც, მაგრამ შეიკავა თავი.

— აბა, თუ იტირა! — წამოიძახა მეორემ და გაიცინა.

გამრტყმელმა შეაგინა უშვერად და მოუქნია ფეხიც, მაგრამ ბიჭმა მოასწრო, გავარდა გარეთ.

„რას მერჩოდა ის უსინდისო? რას ვაშავებდი იქ ღგომით? რა ბოროტია ზოგი!“

მირბოდა და მარჯვედ უქცევდა გზას შემხვდურთ... აი მისი სახლიც! შევარდა ეზოში, დაღლილი შევიდა სადარბაზოში, მიაჭირა თითი ღილაკს და გაისმა ლიფტის ნაცნობი ხმა.

შინ შესვლისთანავე გაჩერდა სარკის წინ, გაცრეცილი, გაზუნზლული... საბაზანოში მოუშვა წყალი... გათოშილს ეამებოდა თბილი ჭავლი. მაგრამ უცბად იგრძნო შიმშილი. შეიმშრალა სახე, თმა, ხელები და გავიდა სამზარეულოში. ჩახედა ქვაბებს, მაგრამ ცარიელი დახვდა ყველა. ჯერ არ მოსულიყო დედა!

გამოაღო კარადა. ნახორხლებიღა ეყარა ლანგარზე. აიღო ერთი ნატეხი და ჩაკბიჩა უხალისოდ.

თითქმის ნაძალადევად როგორღაც გაღეჭა და ჩაყლაპა პირველი ლუკმა. წარმოუდგა ახალგაზრდა ქალის ჩანთაში ვაშლი და სტაფილო... ახ, ნეტავი ერთი-ორი ცალი მაინცა ჰქონოდა ახლა! სტაფილო მთელი ფუფუნება იქნებოდა მისთვის. როგორ გემრიელად მიატანდა პურს!

შიმშილი რომ ცოტა დაიოკა, გავიდა ოთახში და შეხედა გაკვეთილების ცხრილს. ახლაღა გაახსენდა, რომ სკოლაში დარჩა წიგნები და ქუდი. ნეტა რა დრო იქნებოდა ახლა? კიდევ ბევრი აკლდებოდა

გაკვეთილების დამთავრებას, თუ?.. სანამ მთლად არ დაცარიელდებოდა მთელი სკოლა, ვერ მივიდოდა იქ. სირცხვილით როგორღა შეეხედნა თანაკლასელთათვის? დასწამეს ქურდობა, მოეჭრა თავი! უმალვე წარმოუდგა მარინე. ნეტა როგორ გამომეტყველებას მიიღებდა იმ ამბის მოსმენისას? არა!.. აღარც მიდგამს ფეხს სკოლაში! მოვა დედა, ალბათ გაიგებს ამ ამბავს და... მერე დააატანს ძალას, გინდა თუ არა წადიო... არა! ვეღარ მიდგამს იქ ფეხს! თუ უნდა, გადაიყვანოს სადმე, ცოტა სკოლაა თბილისში? რაღა მაინცდადამაინც...

ფიქრიდან ზარის წკრიალზე გამოერკვა. მიიხედა კარისაკენ. უმალვე გაახსენდა დედა. მაგრამ იგი არ რეკავდა. მუდამ თან დაჰქონდა გასაღები. მეზობელი თუა ვინმე!.. კვლავ დარეკა ვიღაცამ და გაეშურა გასაღებად. მივიდა და გაიხედა სათვალთვალოში. რაღაცნაირი ბინდი დაგუბებულიყო დერეფანში. ვიღაცები კი იდგნენ კარწინ, მაგრამ ვერ ჩანდნენ მთლად კარგად. გამოაღო და რაღაცნაირად დაიბნა თანაკლასელთა დანახვაზე. უხერხულად იღიმებოდნენ გურამი, თენგიზი, თედო, ლადო... ბიჭებს უკან ამოსდგომოდა ოთარი. მას გაცლგრილად მოარიდა თვალი და კვლავ შეხედა დანარჩენებს. გურამს წამოეღო ჩანთა და ქუდი.

— აი, წამოგიღე!..

— მოდით! — ჩაილაპარაკა დაბნევით.

რამდენიმე ნაბიჯი გადმოდგა გურამმა, მაგრამ შედგა ზღურბლთანვე და მიუბრუნდა დანარჩენებს:

— მოდით!

წინიდან ჩამოეცალა სტუმრებს.

თუმცა კი შემოვიდნენ შიგნით, მაგრამ მეტად აღარ მოუცვლიათ ფეხი ადგილიდან. გურამმა იქვე, კედლის ძირას მიდო ჩანთა, ხელში შეაჩეჩა ქუდი და მერე მიხედა ოთარს:

— ჰაა, ამოიღე ხმა, რაღას უცდი?

ოთარმა ჯერ უხმოდ გაატკაპუნა ტუჩები, თანაც ამოახველა და დაიწყო ნაწყვეტ-ნაწყვეტად:

— ვახტანგ... ძმაო... ბოდიში უნდა მოგიხადო, რომ...

— მიდი, ჩამოართვი ხელი და გადაეხვიე ძმურად! — ოთარს ბრძანების კილოთი როგორღაც შესძახა თენგიზმა.

— ტყუილად შეგარცხვინე კლასში... მერე ვნახე ფული. ისტორიის წიგნში ჩამედო თურმე და...

თითქოს ვიღაცამ მოუჭირაო გულზე, უცბად დასწვიმა ცრემლი.

როცა ოთარმა დაუპირა ხელის ჩამორთმევა, დაიხია უკან, მერე უცბად შეაქცია ზურგი, აიფარა სახეზე ხელები და ყრუ ზლუქუნით გავიდა მეორე ოთახში.

არჩილ
გეთანელი
პროფესორი

ორბიტაზე კოსმოსური აპარატის გასაყვანად მძლავრი რაკეტული ძრავაა საჭირო. დღეისათვის ცნობილია თერმოქიმიური და ბირთვული რა-

კეტული ძრავები. მათგან განსხვავებულია ორბიტაზე უკვე გაყვანილ კოსმოსურ აპარატთა ძრავული დანადგარები. კოსმოსურ სივრცეში აპარატის გადაადგილებისათვის მცირე სიმძლავრის ძრავებია საკმარისი, საამისოდ ყველაზე შესაფერია ელექტრული რაკეტული ძრავა. მომავალში, შესაძლოა, მზიურიალქნიანი ძრავაც ჩადგეს მწყობრში.

თერმოქიმიური რაკეტული ძრავები

დედამიწაზე ნებისმიერი თბური მანქანისათვის (ავტომობილის შიგაწვის ძრავა, თვითმფრინავის რეაქტიული ძრავა და ა. შ.) აუცილებელია ატმოსფეროს ჟანგბადი. უიმისოდ წვა ვერ განხორციელდება. კოსმოსურ სივრცეში ჰაერი არ არის, ამიტომ რაკეტული ძრავას სათბობი ორი კომპონენტისაგან — საწვავისა და დამჟანგველისაგან უნდა შედგებოდეს. დღეისათვის ცნობილია თერმოქიმიური თხევად ან მყარ სათბობიანი რაკეტული ძრავები. თხევად სათბობიანი რაკეტული ძრავები კოსმოსური აპარატების ძრავათა ძირითადი სახეობაა და კოსმოსის ათ-

ვისების მომავალ გეგმებში მათ დიდი როლი ენიჭებათ. დამჟანგველისა და საწვავის ძირითადი სახეები მოცემულია 1-ლ ცხრილში.

დამჟანგველი და საწვავი ცალ-ცალკე ავზებშია მოთავსებული. ტუმბოები სათბობს აწვდიან ძრავას თავს, სადაც მრავალი ფრქვევანაა თავმოყრილი. ფრქვევანების ერთი ნაწილი წვის კამერაში დამჟანგველს აშხაპუნებს, ხოლო მეორე — საწვავს (ნახ. 1).

ცხრილი I

დამჟანგველი	საწვავი
აზოტის მჟავა	ნავთი
თხევადი ჟანგბადი	ნავთი
თხევადი ჟანგბადი	თხევადი წყალბადი
თხევადი ჟანგბადი	დიმეთილჰიდრაზინი
თხევადი ფთორი	ჰიდრაზინი

ეკონომიკური

დამჟანგველისა და საწვავის შეერთებისას იწყება წვა და ტემპერატურა 3000-4500°C აღწევს. წნევა 20 მეგაპასკალია (200 კგ/სმ²). წვის პროდუქტები ფართოვდება და საქ-



1 — ბალონი შეკუმშული აირით; 2 — რედუქტორი; 3 — მიწოდების რეგულატორი; 4 — წვის კამერა საქშენით; 5 — დამჟანგველი; 6 — საწვავი; 7 — მართვის სახელური.

შენიდან მათი გამოდინების სიჩქარე 2500-4500 მ/წმ აღწევს. თუ გავიხსენებთ, რომ ბგერის სიჩქარე საშუალოდ 340 მ/წმ-ია, ცხადია, რომ წვის პროდუქტების გამოდინების სიჩქარე საშუალოდ ბგერის გაათკეცებული სიჩქარის ტოლია. საქშენიდან აირის გამოდინებისას იქმნება რეაქტიული ძალა. რაც უფრო მეტია აირების მასა და მათი გამოდინების სიჩქარე, მით უფრო მეტია ძრავას წევის ძალა. რაგინდ მხურვალმედეგი მასალისგანაც უნდა იყოს დამზადებული წვის კამერა, იგი მაინც დაიწვება. ამიტომ საჭიროა გაცივების საიმედო სისტემა. შემუშავებულია მისი სხვადასხვა მეთოდი. მათგან ყველაზე უფრო რეგენერაციული სისტემაა გავრცელებული.

რეგენერაციულ სისტემაში საცივარის სახით გამოყენებულია სათბობის კომპონენტები (ჩვეულებრივ, საწვავი). საცივარი წვის კამერის კედლის არხებში, ე. წ. მაცივებელ ტრაქტში მიედინება. ის სითბო, რომელიც საცივარის შესათბობად იხარჯება, საცივართან ერთად წვის კამერაში ბრუნდება (ხორციელდება რეგენერაციის პროცესი).

განსაკუთრებით დიდი წევის ძალა აქვს იმ ძრავებს, რომლებიც თხევადი ჟანგბადითა და წყალბადით მუშაობენ. ასეთი ძრავას რეაქტიულ ჭავლში აირები 4 კმ/წმ სიჩქარით მოედინება. ამ ჭავლის ტემპერატუ-

რაკეტული

რა 3000°C აღწევს და წყლის გადახურებული ორთქლისაგან შედგება (წყლის გადახურებული ორთქლი წყალბადისა და ჟანგბადის წვის დროს წარმოიქმნება).

თუმცა, ჟანგბადს ერთი არსებითი ნაკლი აქვს. ნორმალური ტემპერატურის დროს იგი აირია, ხოლო რაკეტისათვის აირადი ჟანგბადის გამოყენება გაძნელებულია, რადგანაც ამ შემთხვევაში საჭირო გახდება მისი შენახვა დიდი წნევის ქვეშ სქელკედლიან ბალონებში. ამიტომ ჟანგბადს თხევად მდგომარეობაში იყენებენ. ხოლო ჟანგბადის გათხევადებისათვის ის —183°C-მდე უნდა გავაცივოთ. მაგრამ გათხევადებული ჟანგბადი სწრაფად ორთქლდება, თუნდაც სპეციალურ თბომამხოლებელ ჭურჭელში შევინახოთ. ამიტომ ჟანგბადის ავზის გამართვა უშუალოდ რაკეტის ამუშავების წინაა შესაძლებელი.

აღსანიშნავია, რომ რეგენერაციული გაცივებითა და დამჟანგველად თხევადი ჟანგბადის გამოყენებით სითხიანი რაკეტული ძრავას იდეა ჯერ კიდევ 1903 წელს გამოთქვა კ. ციოლკოვსკიმ.

დამჟანგველად აზოტის მჟავას გამოყენებას ზემოხსენებული ნაკლი არა აქვს. ამიტომაც რაკეტულ ტექნიკაში მას ხშირად იყენებენ. მიუხედავად იმისა, რომ ამ დროს წევის ძალა შედარებით მცირეა.

უძლიერესი დამჟანგველის—ფთორის გამოყენება სითხიანი რაკეტული ძრავების ეფექტურობის არსებითი გაზრდის შესაძლებლობას მოგ-

ძრავები

ვცემს. ამჟამად უკვე შექმნილია ასეთი სახის ექსპერიმენტული ძრავები.

სითხიან რაკეტულ ძრავებზე ადრე მყარსათბობიანი რაკეტული ძრავები შეიქმნა. მათი კონსტრუქცია მარტივია. სათბობი (სპეციალური დენთი) უშუალოდ წვის კამერაში თავსდება. წვის კამერას კი საქშენი აქვს მიერთებული. ასეთ ძრავებს, სითხიან რაკეტულ ძრავებთან შედარებით, ზოგიერთი უპირატესობა აქვს: დამზადება მარტივია, მოქმედებისათვის მუდამ მზად არიან. მაგრამ მათი კუთრი წევის სიდიდე 10-30%-ით ნაკლებია სითხიანი რაკეტული ძრავას კუთრ წევაზე. ამიტომაა, რომ ჯერჯერობით უპირატესობა სითხიან რაკეტულ ძრავებს ენიჭებათ.

სითხიანი რაკეტული ძრავების ერთ-ერთი ძირითადი ნაკლია აირე-

ოქტომბრელთა ფეფეჯი პიანა, ნინამძღოლეჯი ჩართ!

„მოგზაურობა ასე დავიწყოთ: უნდა შეგვეხვეწავლა ვლადიმერ ილიას ძე ლენინის ბავშვობისა და ყრმობის წლები, მისი რევოლუციური მოღვაწეობა. ამიტომ, თავდაპირველად სწორედ ყოველივე ამის ამსახველი მასალები შევაგროვეთ. შევადგინეთ ფოტოალბომი, გამოვუშვით კედლის გაზეთი — „ძია ლენინის ანდერძს ვასრულებთ!“ ამაში ჩვენი სკოლის ლენინის მუზეუმი დაგვეხმარა, სადაც ბელადის ცხოვრების ამსახველი სურათები და სხვა მასალებია გამოფენილი.

საინტერესო საუბარი მოვისმინეთ ვლადიმერ ილიას ძე ლენინის ცენტრალური მუზეუმის თბილისის ფილიალში. შემდეგ დაუსწრებლად, „თვითმფრინავით“ ვიმოგზაურეთ ულიანოვსკში, ეკიპაჟი ვარსკვლავების მიხედვით შეკრიბეთ. მისი წევრები ჩვენივე ვარსკვლავის ოქტომბრელები იყვნენ — პილოტი გიორგი ჭიკაძე, ბორტინჟინერი გიორგი ჭიძინაშვილი, სტიუარდესა ინგა გალუსტოვი.

ეკიპაჟმა შეიტყო, რომ ულიანოვსკი ვოლგაზე მდებარეობს, ამ ქალაქის პირველ სკოლაში, რომელიც ოქტომბრის რევოლუციამდე ვაჟთა კლასიკურ გიმნაზიას წარმოადგენდა, სწავლობდა ვალოდია ულიანოვი. ახლა ლენინის მემორიალის წინ, 15 სვეტზე, 15 მოძმე რესპუბლიკის დროშა ფრიალებს და აქ მუდამ უამრავი სტუმარია. ისიც შევიტყვეთ, რომ ლენინი, რომელიც მეფის მთავრობის დევნას განიცდიდა, რევოლუციური მოღვაწეობისათვის სხვადასხვა ფსევდონიმით სარგებლობდა. ლენინი მან ციმბირის მძლავრი მდინარის ლენას სახელწოდებიდან აიღო.

ეს ბარათი თბილისის 85-ე სკოლის IV ა კლასიდან (შარშანდელი მეორე კლასი) მივიღეთ. საინტერესოდ მუშაობენ აქ ოქტომბრელები პიონერების დახმარებით, მათ იმოგზაურეს ოქტომბრის ქვეყანაში. ახლა ისინი პიონერები არიან, ხოლო მათი რაზმის ხელმძღვანელია ის, ვინც ოქტომბრელთა კლასს შეფობდა, მათ საქმიანობას წინამძღოლობდა. თავად მოგვწერეს — მარინა ახლა ჩვენი რაზმის ხელმძღვანელიაო.

სულ ცოტა ხანიც და — ოქტომბრელთა იმ კლასს, რომელსაც შენ, ოქტომბრელთა ჯგუფის ხელმძღვანელი შეფობ, პიონერთა რიგებში მიიღებენ. დღევანდელი ოქტომბრელები ვ. ი. ლენინის სახელობის საკავშირო პიონერთა ორგანიზაციის წევრები გახდებიან. ბევრ მათგანს აპრილში, ლენინური კვირეულის დღეებში, დაფდაფისა და ბუკის საზეიმო ხმებში მიიღებენ პიონერთა რიგებში, უფროსი მეგობრები — პიონერები და კომკავშირელები — ყელზე წითელ ყელსახვევს შეუნასკვავენ. [illegible] — „ბირთვი“ დან პიონერული ყელსახვევი იქნება მათი გზამკვლევი, სიმბოლო პიონერული ღირსებისა, სინდისისა, პატიოსნებისა, ამხანაგობისა და მეგობრობისა.

ოქტომბრელთა ბევრ საკლასო ოთახში გაკრულ ლამაზად გაფორმებულ ჩვენი ქვეყნის რუკაზე პატარა წითელი ალმებით არის მონიშნული ის ქალაქები და რესპუბლიკები, ვისთანაც ისინი მეგობრობენ; ბავშვები სთხოვენ მეგობრებს, გამოუგზავნონ მათ მშობლიურ ენაზე გამოცემული წიგნები თუ პიონერული ჟურნალ-გაზეთები, ნახატები გამოფენისათვის; ასევე, აქედანაც იგზავნება ქართულ ენაზე გამოცემული წიგნები და ჟურნალ-გაზეთები, ფოტოალბომები, ნახატები: ეს ყველაფერი სჭირდებათ ოქტომბრის ქვეყანაში მოგზაურობისას.

ოქტომბრელებს მხოლოდ პიონერების დახმარებით შეუძლიათ მუშაობის საინტერესოდ წარმართვა.

ისინი ხშირად მოგვმართავენ თხოვნით — ვუკარნახოთ, რო-

ბის გამოდინების შეზღუდული სიჩქარე.

50-იანი წლებიდან დაიწყო ბირთვული რაკეტული ძრავების შემუშავება, რომელთაც ეს ნაკლი არ გააჩნიათ.

ბირთვული რაკეტული ძრავები

ბირთვულ რაკეტულ ძრავაში მუშა ნივთიერების გახურებისათვის შესაძლებელია გამოვიყენოთ ბირთვული საწვავის დაშლის დროს გამოყოფილი ენერგია. ასეთ ძრავათა მოქმედების პრინციპი თერმოქიმიურისაგან არ განსხვავდება.

მუშა სხეული ბირთვულ რეაქტორში გადის, სადაც ატომთა (მაგალითად, ურანის ატომის) ბირთვების დაყოფის რეაქცია მიმდინარეობს, და ამ რეაქციის სითბოს ხარჯზე ხურდება. გახურებული აირები საქშენიდან გამოედინება. ასეთი ძრავების საქშენიდან აირის გამოდინების სიჩქარე პრაქტიკულად შეუზღუდველია. მუშა სხეულად მიზანშეწონილია ისეთი ნივთიერებების გამოყენება, რომლებიც ძრავას წევის დიდ ძალას ანიჭებენ. ასეთებია წყალბადი, ამიაკი, ჰიდრაზინი და წყალი.

თხევადი მუშა სხეული (ნახ. 2) ავზიდან ტუმბოს საშუალებით ძრავის კამერაში გადაიტუმბება. აქ ის ფრქვევანების საშუალებით გაიფრქვევა, ბირთვული რეაქციის შედეგად

ბირთვული რაკეტული ძრავას სქემა

1 — ავზი თხევადი მუშა სხეულით; 2 — ტუმბო; 3 — მიწოდების რეგულატორი; 4 — მფრქვევანა მუშა სხეულის გაფრქვევისათვის; 5 — ბირთვული საწვავი; 6 — მაცივებელი ტრაქტი; 7 — საქშენი.



პიონერული აქტივის კლუბი

პოკეტი

გორ იმუშაონ ოქტომბრელებთან;

ოქტომბრელები პიონერებს უსწორებენ მხარს; ამ საქმეში მათ პიონერები ეხმარებიან, აწყობენ მათთან შეკრება-შესვენებებს, ხალისიან თამაშობებს. აღსანიშნავია, რომ ამ დროს თვით პიონერული რაზმის მუშაობა ძალზე აქტიური ხდება ხოლმე. შეიძლება მოეწყოს ასეთი შინაარსის შეკრება-შესვენებები:

„იკაშკაშებთ, ფითელო ვარსკვლავებო!“ — ოქტომბრელთა ხელმძღვანელი ოქტომბრელებს გააცნობს, თუ რას ნიშნავს „ოქტომბრელი“, „ოქტომბრელთა ვარსკვლავი“, „ოქტომბრელთა ალამი“, „ოქტომბრელთა სამკერდე ნიშანი“; შემდეგ კი წამოიწყებენ ოპერაციას „წითელი ვარსკვლავი ჩემს ოჯახში“. ოქტომბრელები ამ დროს შეიტყობენ, ოჯახის წევრთაგან ვინ არის საბჭოთა არმიის რიგებში სამსახურისა და დამკვრელური შრომისათვის დაჯილდოებული; სწავლობენ სიმღერებსა და ლექსებს ოქტომბრელებსა და მათ ვასკვლავებზე.

„ისწავლე, როგორი უნდა იყოს ოქტომბრელი!“ — ასეთი შეკრება — შესვენების დროს ოქტომბრელთა ჯგუფის ხელმძღვანელი თავ-თავიანთ მოვალეობებს გააცნობს ვარსკვლავის მეთაურს, ბიბლიოთეკარს, სანიტარს, მეყვავილეს, ფიზკულტურელს, თამაშის წამომწყებს.

„მეგობრობის მარშრუტით“. — ამ საზეიმო შეკრება-შესვენებებისას ოქტომბრელებს შეუძლიათ მოაწყონ რომელიმე მოძმე რესპუბლიკაში დაუსწრებელი მოგზაურობიდან დაბრუნების ინსცენირება. ისინი ყვებიან, როგორ ცხოვრობენ მათი იქაური თანატოლები; რა თამაშობები, სიმღერები, ცეკვები აქვთ, გაიხსენებენ მათ ხალხურ ზღაპრებს, ლექსებს, აღწერენ ეროვნულ კოსტიუმებს. ყველაფერი ეს შეიძლება მომზადდეს სკოლის ინტერკლუბის მონაწილეობითაც, მოძმე რესპუბლიკების თანატოლებთან მიმოწერით.

„ნორჩ ცისკრელთა პარადი“. — ოქტომბრელები სამწყობრო სიარულში ივარჯიშებენ. შეასრულებენ ჯარისკაცურ სიმღერებს, მოაწყობენ „სამხედრო ტექნიკის“ გამოფენას, რომელიც მათ პლასტილინისაგან გამოძერწეს, საკუთარი ნახატების გამოფენას თემაზე: „დიდება საბჭოთა არმიის ვეტერანებს“.

„ილიჩის შვილიშვილები“. — ამ შეკრება-შესვენების დროს ვ. ი. ლენინის ცხოვრების გაცნობა ხდება, მანამდე კი თითოეული წაიკითხავს წიგნებს ვალოდია ულიანოვის ბავშვობაზე, მის მეგობრულ ოჯახზე. ოქტომბრელები სწავლობენ ილიჩის საყვარელ სიმღერებს, თამაშობებს. შეიტყობენ, თუ როგორ ზრუნავდა ლენინი ბავშვებზე.

შეიძლება მოეწყოს დაუსწრებელი მოგზაურობა ლენინის სამშობლო ულიანოვსკში, შემდეგ კი ოქტომბრელები მოყვებიან, თუ როგორ შეიცვალა ეს ქალაქი, როგორ სრულდება ლენინის ანდერძი ცხოვრებაში.

„პიონერული დიდების ადგილებში“. — ემზადებიან რა ამ შეკრება-შესვენებისათვის, ბავშვები ეცნობიან სხვადასხვა გმირ პიონერთა მამაცობას, იმას, თუ როგორ არის უკვდავყოფილი მათი სახელები ძეგლებით, ქუჩის, პიონერული რაზმეულისა და რაზმების სახელწოდებებით; გაიხსენებენ, მათსავე სკოლაში რომელი რაზმი ატარებს მათ სახელს და როგორ ამართლებენ ამ სახელის ტარების პატივს.

„მეგობრობის ექსპრესი“. — ოქტომბრელთა მეგობრობის ექსპრესი სტუმრად მიემართება სოციალისტური ქვეყნების ბავშვებთან. „ვაგონები“ სხვადასხვა ფერისაა, მგზავრები თავიანთ ადგილს იკავე-

(დასასრული 28-ე გვ.)

გამოყოფილი სითბოს ხარჯზე ხურდება, ფართოვდება და საქშენიდან მაღალი სიჩქარით გამოედინება. ასეთ ძრავებში დამჟანგველი აღარ არის საჭირო და შესაძლებელია ერთი სითხის გამოყენება.

ბირთვული საწვავი, ენერგიის მარაგის მიხედვით, ნებისმიერი სახის საწვავზე უკეთესია. მაგრამ ბირთვულმა რაკეტულმა ძრავებმა კოსმოსურ საფრენ აპარატებში ჯერჯერობით გამოყენება ვერ ჰპოვეს იმის გამო, რომ ენერგეტიკული დანადგარის მოქმედებას ცოცხალი ორგანიზმისათვის მავნე, ძლიერი მაიონიზებელი გამოსხივება ახლავს თან. დედამიწაზე ატომური ელექტროსადგურის რეაქტორები ბეტონის სქელ კედლებშია ჩასმული. ცხადია, რომ ასეთი სახის დაცვა კოსმოსური საფრენი აპარატებისათვის არ გამოდგება.

ელექტრული რაკეტული ძრავები

ელექტრულ რაკეტულ ძრავებში მუშა სხეულის აჩქარება საჭირო სიჩქარემდე ელექტრული ენერგიის ხარჯზე ხდება და, როგორც ყველა სხვა რაკეტულ ძრავაში, აქაც საქშენიდან გამოედინება.

განსაკუთრებული საინტერესოობით გამოირჩევა ელექტრულრკალოვანი რაკეტული ძრავა.

ელექტრული რკალის საშუალებით მაღალ ტემპერატურამდე გახურებული მუშა სხეული (წყალბადი) პლაზმად იქცევა (პლაზმა დადებითი იონებისა და ელექტრონების ელექტრულად ნეიტრალური ნარევია). ელექტრულრკალოვანი რაკეტული ძრავების ლაბორატორიული გამოცდის დროს გამოდინების 15-20 კმ/წმ სიჩქარეს მიაღწიეს.

მზიურიალქნიანი ძრავები

რუსმა ფიზიკოსმა პ. ლებედევმა ჯერ კიდევ 1899 წელს ცდისეულად დაამტკიცა, რომ მზის სხივს გარკვეული წნევა აქვს.

დედამიწისეულ პირობებში სინათლის წნევა თითქმის არაფრით ვლინდება, რადგან ძალზე მცირე სიდიდისაა. სულ სხვაა უჰაერო კოსმოსური სივრცე.

ჩვენ შეგვიძლია ისეთი კოსმოსური საპლანეტათშორისო ხომალდი წარმოვიდგინოთ, რომლის ერთადერთი ძრავაც იალქანი იქნება.

გაანგარიშებულია, რომ თუ 1 ტონა მასის მქონე კოსმოსურ აპარატს 500 მეტრი დიამეტრის იალქნით აღვჭურვავთ, იგი პლანეტა მარსს 300 დღე-ღამეში მიაღწევს.

ეროვნული ბიბლიოთეკა

პასუხი 1987 წლის № 12-ში დასმულ კითხვებზე



დმანისი

დმანისის ნაქალაქარი თბილისიდან სამხრეთ-აღმოსავლეთით, მისგან დაახლოებით ასი კილომეტრის დაშორებით, მდინარე მაშავერას ნაპირას მდებარეობს. იგი შუა საუკუნეების საქართველოს მსხვილი სტრატეგიული და ეკონომიკური ცენტრი იყო. მისი ტერიტორია ადრინდელი ბრინჯაოს ხანიდან ყოფილა დასახლებული. VI—VIII საუკუნეებში აქ მცირე დასახლებაა. დმანისი, როგორც მნიშვნელოვანი ქალაქი, ისტორიულ წყაროებში IX საუკუნეში იხსენიება. ამ დროს მას არაბები ფლობდნენ. XI საუკუნის 80-იანი წლებიდან კი სელჩუკების ხელში იყო. 1123 წელს დავით აღმაშენებელმა გაათავისუფლა დმანისი, თუმცა შემდეგ იგი ისევ მტრების ხელში აღმოჩნდა. 1125 წელს დემეტრე პირველმა აიღო ქალაქი და უშუალოდ მეფის ტახტს დაუმორჩილა.

დმანისი განსაკუთრებით აღორძინდა XI—XIII საუკუნეებში. იგი ამ დროს სავაჭრო და სახელოსნო ცენტრი გახდა. აქ გადიოდა აზიიდან მომავალი სავაჭრო-საქარავნო გზა. ქალაქში მოქმედებდა ზარაფხანა. XIV საუკუნეში იგი თემურლენგმა დაარბია. XVI საუკუნეში დმანისში საქალაქო ცხოვრება ძალზე დაქვეითდა. ამ დროს იგი კვლავ მტრების ხელშია. XVIII საუკუნეში დმანისში ცხოვრება საერთოდ ჩაკვდა. ნაქალაქარის ტერიტორია დღეს უკაცრიელია და მის დიად წარსულზე შენობათა ნანგრევებიღა მეტყველებენ. ერთადერთი მისადგომი ნაქალაქარს სამხრეთიდან აქვს, სხვა მხრიდან მიუვალი კლდეები არტყია. სამხრეთის მისადგომი გამაგრებული იყო ბურჯებიანი გალავნით. ქალაქის ტერიტორიაზე დგას VI საუკუნის ბაზილიკა (მას დმანისის სიონს ეძახიან), რომელსაც XIII საუკუნეში დასავლეთის მხრიდან კარიბჭე მიაშენეს. ბაზილიკის აღმოსავლეთით შემორჩენილია სამრეკლო და 1702 წელს განახლებული პატარა ეკლესია. შიდაციხეში შემორჩენილია სასახლის, მისი აბანოს და სხვა შენობათა ნანგრევები. ქალაქის ჩრდილო-აღმოსავლეთ ნაწილში, გალავნის შიგნით, შემორჩენილია ორი პატარა ეკლესიის ნანგრევები. გარდა ამისა, ქალაქის ტერიტორია მოფენილია სხვა შენობათა ნაშთებით. სასაფლაო ქალაქგარეთაა, იქვეა, აგრეთვე, სამი აბანოს ნაშთებიც.

1852 წელს დმანისი ინახულეს და მოკლედ აღწერეს მ. ბართოლომემ და დ. ორბელიანმა. აქ ნაპოვნი ზოგიერთი წარწერა მათ ამოსაკითხავად მარი ბროსეს გაუგზავნეს. დმანისი შეისწავლა ექვთიმე თაყაიშვილმაც. მან აქ რამდენიმე საფლავი გათხარა.

დმანისში სისტემატური არქეოლოგიური გათხრები 1936 წელს დაიწყო ივანე ჯავახიშვილის ინიციატივითა და ხელმძღვანელობით. მაგრამ სხვადასხვა მიზეზების გამო დმანისის გათხრები შეწყდა. დიდი ხნის შემდეგ, 1960 წელს, გათხრები განაახლა საქართველოს სახელმწიფო ისტორიულმა მუზეუმმა. ამის შემდეგ აქ გათხრები აღარ შეწყვეტილა, მაგრამ მუშაობის ტემპები მაინც არაა დამაკმაყოფილებელი. აქ აღმოჩენილი ძეგლები და ნივთები უდიდესი ისტორიული მნიშვნელობისაა.

როგორც ზემოთ ითქვა, დმანისის აყვავების ხანა XI—XIII საუკუნეებია. ქალაქში ცხოვრება განსაკუთრებული ძალით ჩქეფდა XIII საუკუნეში. მეტად საინტერესოა დმანისში აღმოჩენილი კერამიკა, მისთვის დამახასიათებელია ორნამენტული სახეების სიმრავლე, მკაფიო კონტური და ფერების ჰარმონიული შეხამება. აღმოჩენილია მოჭიქული ჭურჭელიც.

განსაკუთრებით საინტერესოა ერთადერთი გადარჩენილი ბაზილიკა, რომელიც სამწუხაროდ, ჯერ კიდევ კარგად არ არის შესწავლილი. არადა, მისი მნიშვნელობა, ეტაპობა, განუზომელია.

დმანისის სამეკლესიიან ბაზილიკას სპეციალისტები VI საუკუნით ათარიღებენ, თუმცა ძეგლი იმდენადაა დამახინჯებული მრავალგზისი გადაკეთებით, რომ მასზე რაიმე არსებითის თქმა შეუძლებელია. ხელოვნების ისტორიიდან ცნობილია, რომ სამეკლესიიანი ბაზილიკის ტიპის ნაგებობას მხოლოდ საქართველოში აგებდნენ, ნაგებობის ეს ტიპი ჩვენში შემუშავდა. ეს არის ბაზილიკის თავისებური ვარიანტი. მისი გარეგანი სახე არაფრით განსხვავდება ჩვეულებრივი სამნავიანი ბაზილიკისაგან, სხვაობა მხოლოდ ინტერიერშია: შიგნით ნაგებობის ნავები ერთმანეთისგან გამოყოფილია არა ბოძებზე გადატყორცნილი თაღებით, რომლის წყალობითაც სივრცე ერთიანი და მთლიანია, არამედ ყრუ კედლებითა და ვიწრო კარებით. არსებითად, ასეთ შენობაში სამი ერთმანეთისგან გამოყოფილი ეკლესიაა, სადაც ცალ-ცალკე ხდება წირვა. ასეთი შენობის პირველი ნიმუში სწორედ VI საუკუნეს განეკუთვნება. დროთა განმავლობა-

ჯახი და მისი პირმეზო

იოჰან სებასტიან ბახს ოთხი ვაჟიშვილი ჰყავდა: ფრიდემანი, ემანუელი, ფრიდრიჰი და ქრისტიანი. მამას განსაკუთრებით უყვარდა ფრიდემანი, რომელიც მუსიკალურ ნიჭთან ერთად სხვა საგნებისადმი მიდრეკილებასაც ამჟღავნებდა. მაშინ ბახების ოჯახი ვაიმარში ცხოვრობდა. იოჰან სებასტიანს ძალიან უყვარდა ტიურინგიის ტყეებსა და ველ-მინდვრებში სეირნობა, შვიდი წლის ფრიდემანი ყოველთვის თან დაჰყავდა.

მამა და შვილი ვაიმარს კარგა შორს მოიტოვებდნენ ხოლმე და დიდი ხალისით დახეტიალობდნენ ტყეღრეში. წარმტაცი ბუნება ხიბლავდა და აჯადოებდა მათ. ირგვლივ თითქოს ყველაფერი ზეიმობდა, ხარობდა, ილხენდა და ლაღობდა. აღფრთოვანებაში მოჰყავდა ისინი ფრინველთა გალობას, გაფურჩქვნილ ყვავილებს, ზურმუხტოვან მდელოსა და ცაში მოქათქათე ღრუბლების ქარავანს. უნეტარეს მუსიკად გაისმოდა ქარის ზუზუნი და აზვირთებული მდინარის ხმა.

სეირნობდნენ და მღეროდნენ. მამა თავისი ჩანაფიქრისა და განზრახვის გაუმჟღავნებლად, თითქოსდა

ეროვნული ბიბლიოთეკა

იცნობ თუ არა ეს ადგილს?

*

რა არის ამ სურათზე აღბეჭდილი და რა იცით მის შესახებ?

*

ში ამ ტიპის ნაგებობამ რთული და საბოლოოდ ჩამოყალიბებული სახე მიიღო. გვერდითი ეკლესიები (ნავები) ერთმანეთს გალერეებით დაუკავშირდა და შუა ეკლესიაში შესასვლელი სწორედ ეს გალერეა გახდა. ამავე დროს, ჩნდება ახალი მოტივი — გვერდითი ეკლესიები ცენტრალურ ნავს დაუკავშირდა ორი ან სამთაღიანი ღია შესასვლელებით. სამეკლესიიანი ნაგებობის ტიპი X საუკუნემდე არსებობდა. სწორედ ასეთი ტიპის ნაგებობაა პატარა დმანისის (ახლა ამ ადგილს პატარა დმანისს ეძახიან) ეკლესია. სამწუხაროა, რომ ამჟამად გვერდითი ნავები ძალზე დამახინჯებულია. შენობის სიგრძე 20 მეტრს ამეტებს, სიგანე კი 8 მეტრია. ცენტრალური ნავი (მთავარი ეკლესია) თავისი მოცულობით ახლაც დიდ შთაბეჭდილებას ახდენს. აქვს პილასტრები და ორი თაღიანი შესასვლელი. ეკლესიის მხატვრული სახეა მისი სიმაღლე და დაუყოფელი აფსიდის ნახევარწრე. ნაგებობას არავითარი სამკაული არ გააჩნია.

როგორც წარწერიდან ირკვევა, მეფე გიორგი ლაშას დროს (1212—1222 წ.წ.) ეკლესიას მიაშენეს მდიდრულად მოჩუქურთმებული კარიბჭე, რომელიც ძირითადი ნაგებობისგან მკვეთრად განსხვავდება სტილითაც და მორთულობითაც. კარიბჭის სამი ფასადი, თაღები და სკვერები მოპირკეთებულია მწვანე ქვის კარგად გათლილი ფილებით. გადახურვის კამარა ეყრდნობა ოთხ ბოძზე გადატყორცნილ თაღებს. კარიბჭეში დაცულია ასომთავრული წარწერა, სადაც მოხსენიებულია მეფე ლაშა გიორგი. ტაძრის ინტერიერი თავის დროზე მოხატული ყოფილა. საკურთხეველში შემორჩენილია წმინდანთა გამოსახულებები და წარწერები.

სამრეკლო, ისევე, როგორც ეკლესია, მრავალჯერ გადაუკეთებიათ. აქვეა წმ. მარინეს ერთნავიანი ეკლესია, რომელიც, წარწერის თანახმად, 1702 წელს განუახლებიათ. იგი აგებულია რუხი ფერის ქვით, გამოყენებულია აგურის და რიყის ქვა. ეკლესია გადახურულია ქვის ფილებით.

როგორც ვხედავთ, დმანისი თავის დროზე მნიშვნელოვანი ხუროთმოძღვრული ანსამბლი ყოფილა. მას არც ახლა დაუკარგავს მნიშვნელობა.

ამირან ჩხარტიშვილი,
ხელოვნებათმცოდნეობის კანდიდატი.

სხვათა შორის, ბიჭუნას მუსიკალური ხმების აღქმაში გამოცდას უტარებდა; ზოგჯერ სთხოვდა რომელიმე სიმღერის ვარიაციები შეეთხზა, და ფრიდემანი თითქმის ყოველთვის იოლად ახერხებდა დავალების შესრულებას. მამა ფრიად კმაყოფილი რჩებოდა. იგი ვარაუდობდა, რომ სულ მალე შვილი მამას აჯობებდა.

ფრიდემანი ჯერ ოთხი წლისაც არ იყო, როდესაც გატაცებით უსმენდა ხოლმე მუსიკას. ძალიან მოსწონდა დედის სიმღერა და მამის დაკვრა სხვადასხვა ინსტრუმენტზე. როდესაც მამა ფორტეპიანოზე დაკვრას მოათავებდა, მაშინვე მიირბენდა ხოლმე და მიუხედავად იმისა, რომ ნოტების წაკითხვა ჯერ არ იცოდა, მთელი მონდომებით უკრავდა პაწაწინა თითებით, იმწამს მოსმენილ მელოდიას, ზოგჯერ კი რაღაც სიახლის შექმნასაც ახერხებდა.

იოჰან სებასტიან ბახი გაოცებული იყო თავისი პირმშოს ნიჭით და ამბობდა, ფრიდემანი მიაღწევს იმას, რისკენაც მე ვისწრაფვოდი, ჩემს დაწყებულ საქმეს დააგვირგვინებსო.

მართალია, ვილჰელმ ფრიდემან ბახი მუსიკის იმ მწვერვალზე ვერ ავიდა, რომელიც რჩეულთა ხვედრია, მაგრამ საკმაო პოპულარობა მაინც მოიპოვა. 1733 წლიდან, 23 წლის ასაკიდან იგი 30 წელიწადზე მეტხანს დრეზდენისა და ჰალეს ეკლესიებში კომპოზიტორად და ორღანისტად მუშაობდა. მისი მთავარი ნაწარმოებებია: კონცერტები ორღანისა და ფორტეპიანოსათვის, ფუგები, სიმფონიები, სონატები და ერთი ოპერა.

თარგმნა შ. ამირანაშვილმა

ეროვნული ბიბლიოთეკა

ცხოველთა ესთეტიკა

არსებობენ ცხოველები, რომლებშიც „ესთეტიკით გატაცება“ უფრო ღრმა შინაარსის გამომხატველია, ვიდრე საქორწინო რიტუალი და უბრალო გართობა. უწინარეს ყოვლისა, ეს ითქმის მაიმუნის ხატვით გატაცებაზე. ის ფაქტი, რომ მაიმუნები ხატავენ, თავის დროზე აღიქვეს, როგორც რაღაც არაბუნებრივი და დაუჯერებელი, რადგან იგი თავისთავად გამორიცხავდა ცხოველთა სამყაროში ადამიანის უნიკალობის ვერსიას.

შიმპანზეს ხელით მოხატული ტილოების გამოფენა ხშირად ეწყობა დიდი ქალაქების სამხატვრო გალერეებში, ბილეთების ფასი სოლიდურია. ამ თანხით, — წერს ბიოლოგი და მწერალი სალი კერიგერი, — ერთი წლის მანძილზე შეეძლო ეცხოვრა მანსარდის ბინადარ მხატვარს.

მაგრამ... ნუთუ მართლა არსებობს მაიმუნის ხელოვნება? პირველი ცდები ხელოვნებისადმი მიდრეკილ ადამიანის მსგავს მაიმუნებზე ჩატარდა რუსეთში, 1916 წელს. ექსპერიმენტატორი იყო ცნობილი რუსი ფიზიოლოგი ნადეჟდა ლადიგინა-კოტსი. მისი ცდები შიმპანზეს საზრიანობაზე ჩატარებული გამოკვლევების ნაწილია. საცდელი ცხოველი, სახელად ჯონი, ხატავდა. სამართლიანობა მოითხოვს, ითქვას, რომ მისი ნახატები, „ხატვის ტექნიკის“ შეძენასთან ერთად, სულ უფრო უმჯობესდებოდა. თავდაპირველად მაიმუნი ქაღალდზე უსვამდა გრძელსა და სხვადასხვა სისქის ხაზებს, მაგრამ დროთა განმავლობაში მისი სურათები შინაარსობრივადაც „გამდიდრდა“. ხაზები დაიხვეწა, პარალელურებმა სწორი კუთხით გავლებული მოკლე ხაზები გადაკვეთეს. მსგავს სურათებს ხშირად ქმნიან პატარა ბავშვებიც.

თავის შრომაში ნ. კოტსი ადარებს მაიმუნის ნაშიერისა და პატარა ბავშვის განვითარებას. ეს ბავშვი იყო მისივე ვაჟი — რედი. მეცნიერის დასკვნით, ყველაზე ნიჭიერი მოზარდი მაიმუნის შემოქმედება ვერც კი გაუტოლდება 3-4 წლის ბავშვის მონაცემებს.

ჩვენი საუკუნის 30-იან წლებში აშშ-ის ინდიანას შტატის უნივერსიტეტში ანალოგიური ცდები ჩაატარეს ბიოლოგმა უ. კელდოგმა და მისმა მეუღლემ. ოცი წლის შემდეგ მათვე მიზნად დაისახეს უფრო საფუძვლიანად შეესწავლათ მაიმუნის ინტელექტი. ამ გამოკვლევებში ყველაზე არსებითი იყო მაიმუნის „ესთეტიკურ მიღწევათა“ ანალიზი და გამომზეურება. პარალელურად ბავშვის ნახატებსაც იკვლევდნენ.

ბავშვთა ხატვის ნიჭის კვლევამ მეცნიერებს უჩვენა, რომ მოზარდებში ეს უნარი ვითარდება საფეხუროვანი პრინციპით. სან-ფრანცისკოს საბავშვო ბაღში მომუშავე როზა კელდოგმა ერთმანეთს შეადარა და გააანალიზა მსოფლიოს 14 ქვეყნის ბავშვთა მიერ შესრულებული 200 000 ნახატი, უნდა აღინიშნოს, რომ არც ერთ ამ ბავშვს სათანადო სამხატვრო მომზადება არ გაუვლია. ბავშვების განვითარების გარკვეულ ეტაპზე ეს ნახატები განსაცვიფრებლად ჰგავდნენ ერთმანეთს, ასაკის მატებასთან ერთად კი, ისინი სიუჟეტურად რთულდებოდა. ამასთან, შეამჩნიეს, რომ, ესთეტიკის თვალსაზრისით, ზოგიერთი ბავშვი უფრო სწრაფად ვითარდებოდა.

სხვა მკვლევარების მიხედვით, ბავშვებს სამი-ოთხი წლის ასაკში უკვე ხელეწიფებოდათ სხვადასხვა საგნების დახატვა. კოტსის ცდებით, ეს იყო სწორედ ის ზღვარი, რომელიც ვერც ერთმა მაიმუნმა ვერ გადალახა, თუმცა კი ამ ზღვრამდე შიმპანზეს განვითარება ზუსტად ისეთნაირად მიმდინარეობდა, როგორც ბავშვისა.

დესმონდ მარისი ყველაზე დიდხანს სწავლობდა შიმპანზე კონგოს. „შედევრი“, რომლის შექმნაც ამ მაიმუნმა შესძლო, იყო წერტილებითა და ლაქებით მორთული წრე. ეს „ტილო“ მან შექმნა „შემოქმედებითი მუშაობის“ ორი წლის თავზე, როცა უკვე 384 სურათი ჰქონდა დახატული. ყოველი მათგანი განსხვავებული იყო და მაიმუნის საკუთარი ფანტაზიის ნაყოფს წარმოადგენდა, მაგრამ, როგორც ვთქვით, კონგოს ნიჭი მაქსიმალურად გამობრწყინდა წერტილებითა და ლაქებით მოხატულ წრეხაზში.

შიმპანზე კონგოს საყვარელი საქმიანობა იყო მარაოს ხატვა. მარაოს იგი ფურცლის ცენტრში ათავსებდა და მის გაშლილ ფრთებს წერტილებითა და ლაქებით ამკობდა. ერთხელ, როცა მაიმუნი ხელახლა შეუდგა მარაოს ხატვას, გამოსახულება მკვეთრად გაექცა განზე. როგორც კი შეამჩნია ნახატის ასიმეტრიულობა, მაიმუნმა გაზარდა ნახატის ფართობი — მარაოს დეტალი მიუხატა და ამით შეავსო ფურცლის ცარიელი ადგილი.

რას აქცევენ მკვლევარები ყველაზე მეტ ყურადღებას ანთროპოიდების შემოქმედებაში? ხაზებს, კალიგრაფიას და, რაც მთავარია, კომპოზიციას. შიმპანზე ქაღალდზე გაცილებით უხეშ ხაზს ავლებს, ვიდრე ბავშვი, რადგან კუნთური ძალა მას უფრო განვითარებული აქვს. რაც შეეხება კომპოზიციას, აქ მაიმუნებმა მკვლევართა მოლოდინს გადააჭარბეს. კერძოდ, შიმპანზე კონგომ ფურცლის ცენტრში ნახატის მოქცევის იშვიათი უნარი გამოამჟღავნა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ამ საკითხს საგანგებოდ იკვლევდა ანთროპოლოგი ბ. იუნგი. მისი საცდელი მაიმუნებიდან თითქმის ყველას შეეძლო კომპოზიციის ცენტრში ნახატის დეტალების მოქცევა. იუნგი აღნიშნავს, რომ ეს უნარი „დაოსტატების უმაღლეს სტადიაზე" უვითარდებათ მაიმუნებს. ასეთ „გამოცდილ მხატვრებს" საკუთარი ხელწერაც აქვთ. მათი პროდუქცია იმდენად ინდივიდუალურია, რომ მეცნიერ-ექსპერიმენტატორი ერთი შეხედვითაც არკვევს, რომელ მათგანს ეკუთვნის ესა თუ ის ნახატი.

1957-58 წლებში აშშ-ის თანამედროვე ხელოვნების ინსტიტუტმა მოაწყო „მაიმუნთა შემოქმედების გამოფენა". მასზე წარმოდგენილი იყო ბალტიმორის ზოოპარკის შიმპანზისა და შიმპანზე კონგოს (ლონდონის ზოოპარკი) „ნამუშევრები". სწორედ ამ დროს სწავლობდნენ ლონდონის ზოოპარკში კონგოს შემოქმედებით მონაცემებს. ამიტომ ზოოპარკის დირექციამ მაიმუნის ნახატების მთელი კოლექცია უკანვე გამოითხოვა. ახირებულ მყიდველთა თავიდან მოსაცილებლად, თითოეული ნახატი მსგავსი შემოქმედებისთვის წარმოუდგენლად დიდ თანხად შეფასდა. ამის მიუხედავად, თითქმის ყველა მათგანი გაიყიდა. მხატვრული ტილოების კოლექციონერებმა, თითქოს ერთმანეთის ჯიბრზე, „მაიმუნთა ხელოვნების ნიმუშების" შესყიდვა-შეგროვება დაიწყეს.

მაიმუნთა ნამუშევრების გამოფენამ ფართო საზოგადოება დააინტერესა. რითი იყო გამოწვეული ეს ინტერესი? მხოლოდ ეგზოტიკით? აღმოჩნდა, რომ შიმპანზეების შემოქმედებას შეუძლია ბევრი ადამიანისა და, მათ შორის, პროფესიონალების დატკბობაც. მათ მოსწონდათ ხატვის მათეული თავისუფალი, ძალდაუტანებელი მანერა.

რა როლს ასრულებს მწვრთნელი მაიმუნისთვის ხატვის უნარის გამომუშავებაში? მისი დამსახურება მხოლოდ ისაა, რომ მაიმუნს ხელში ფანქარს აძლევს და წინ ქაღალდის ფურცელს უდებს. რა წუთიდანაც მაიმუნი შეამჩნევს ფურცელზე ფანქრით დატოვებულ კვალს, მაშინვე რაღაცის დახატვის სურვილი უჩნდება. ზოგ მათგანს ფანქარი ჯოხივით, ყველა თითით უჭირავს, ზოგი კი გარკვეული გამოცდილების შეძენის შემდეგ, თვითონვე სწავლობს ადამიანის ყაიდაზე ფანქრის დამორჩილებას და ხატვისას მას საჩვენებელ თითს აჭერს.

ამასთან, საკმარისია, მაიმუნმა რამდენჯერმე ხატვის პროცესში ნახოს ადამიანი ან სხვა მაიმუნი, რომ იგი დამატებით ახსნა-განმარტებას აღარ საჭიროებს. საცდელი ცხოველი დაჟინებით ითხოვს ექსპერიმენტატორისგან ფურცელსა და ფანქარს. ბევრი მათგანი „საკუთარ ტექნიკასაც" — თითების დაბოლოებებს ანდა ფრჩხილებს იყენებს.

გამოჩენილი ევოლუციონისტი ჯულიან ჰაქსლი ლონდონის ზოოპარკის დირექტორობის წლებში პირადად აკვირდებოდა ახალგაზრდა გორილას, სახელად ბენგს, რომელიც ცდილობდა საჩვენებელი თითით კედელზე საკუთარი სილუეტის შემოხაზვას. თვით ყველაზე საზრიან ძაღლსაც კი წინა თათით არაფერი მსგავსის გაკეთება არ შეუძლია.

ცხოველ-მხატვრებს, — აღნიშნავს სალი კერიგერი, — აშკარა სიამოვნებას გვრით თავიანთი შემოქმედება, მაგრამ, როგორც ჩანს, აქ უფრო არსებითია მოხდენილი კომპოზიციისადმი მათი თანდაყოლილი მიდრეკილება. ცხოველები — ლაბორატორიულ პირობებში იქნებიან ისინი თუ, მით უმეტეს, ბუნებაში, — ცდილობენ, გამოხატონ თავიანთი მიდრეკილება ორგანიზებულობისა და ჰარმონიისადმი. შეიძლება ეს მიდრეკილება მყარი არ იყოს, მაგრამ მისი უარყოფაც არ შეიძლება.

არნოლდ გეგეჭკორი.
ბიოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი.

ფეხმოსიარულეთა საყურადღებო ანბანი

განყოფილებას უძღვება საქ. სსრ შინაგან საქმეთა სამინისტროს სახავტოინსპექციის სამმართველოს აგიტაცია-პროპაგანდის ქვეგანყოფილების უფროსი, მილიციის კაპიტანი თეიმურაზ ინასარიძე

სახელმწიფო საავტომობილო ინსპექცია

ყველამ, ვინც თუნდაც ერთხელ მიჯდომია ავტომანქანის საჭეს, იცის, რა არის სახელმწიფო საავტომობილო ინსპექცია, ანუ, როგორც ხშირად მოკლედ უწოდებენ — ავტოინსპექცია. მისი მოვალეობაა, გამუდმებით ადევნოს თვალყური, რომ ყველა მძღოლმა და ფეხით მოსიარულემ განუხრელად დაიცვას საგზაო მოძრაობის დადგენილი წესები, გააკონტროლოს ავტომანქანების ტექნიკური გამართულობა, იზრუნოს, რათა არ მოხდეს ავტოავარიები გზებსა და ქუჩებში.

იმის წარმოდგენაც კი ძნელია, რა შეიძლება მოხდეს ნებისმიერი დიდი ქალაქის ქუჩებში, ავტოინსპექტორები მოულოდნელად რომ თავიანთი საგუშაგოებიდან წავიდნენ და ყველა შუქნიშანი რომ ჩაქრეს. როგორი ქაოსი გამეფდებოდა მოძრაობაში!

ზამთარში, როდესაც ადრე ღამდება, დედაქალაქის საგზაო-საპატრულო სამსახურის ინსპექტორების (ასე უწოდებენ მათ, ვინც საგზაო მოძრაობას უშუალოდ ქუჩაში აწესრიგებს) ჩაცმულობა განსაკუთრებით ლამაზია. მოკლე შავ ქურქებზე თეთრი, მბრწყინავი პორტუპეი და ასეთივე თეთრი კრაგები ხელთათმანებზე საზეიმო იერს აძლევს მათ.

არ იფიქროთ, თითქოს ყოველივე ეს მხოლოდ სილამაზისათვის იყოს. არა, თეთრი პორტუპეი და ხელთათმანებზე დამაგრებული თეთრი ტყავისაგან შეკერილი კრაგები, ისევე, როგორც მანათობელი კვერთხი, სპეციალურად ეძლევათ ინსპექტორებს, რათა მძღოლმა და ფეხითმოსიარულემ შორიდანვე შეამჩნიონ იგი.

დაუკვირდით და დაინახავთ, რა ყურადღებით ადევნებს თვალს საგუშაგოზე მდგომი თუ მოტოციკლით მიმავალი ავტოინსპექტორი მოძრავ ავტომანქანებს. მას არც გატეხილი მაშუქი გამოეპარება, არც შეღუნული ფრთა და არც დაბრეცილი ბამპერი. ასეთ დაზიანებულ ავტომანქანას ინსპექტორი აუცილებლად გააჩერებს, დაათვალიერებს, გამოჰკითხავს მძღოლს დაზიანების მიზეზს და მანქანის ნომერსაც ჩაიწერს.

აი, რატომ აკეთებს ამას:

თავისთავად, უმიზეზოდ არავითარი გარეგანი დაზიანება არ წარმოიქმნება, იგი ყოველთვის რაიმესთან შეჯახების შედეგია. ბოდა, ხომ შეიძლება, ეს ავტომანქანა ფეხით მოსიარულეს შეჯახებოდა, ან სხვა ავტომანქანა დაეზიანებინა, და ახლა მძღოლი ცდილობს მიიმალოს? სამწუხაროდ, ასეც ხდება ხოლმე. ამიტომ ავტომანქანის დამახსოვრებაა საჭირო. ხშირად ავტომანქანაზე ერთი ნაკაწრით ან შუშის ნამსხვრევით მოიძებნება ხოლმე ავტომანქანა, რომლის მძღოლმა ავტოავარია მოახდინა. თქვენ ქუჩაში ხშირად ხედავთ მსუბუქ ავტომანქანას, რომელიც სხვებისაგან მკვეთრად განსხვავდება. ის შეღებილია ორ ფერად: ყვითლად და ლურჯად, სახურავზე მკვეთრად მოციმციმე ლურჯი ნათურა და ორი ხმამაღლა მოლაპარაკე უყენია. ეს ავტოინსპექციის საპატრულო ავტომანქანაა. საჭესთან მჯდომი ინსპექტორი ყურადღებით აკვირდება მოძრაობას, თვალყურს ადევნებს ფეხით მოსიარულეებისა და მძღოლების მოქმედებას ქუჩაში: ყველა იცავს თუ არა გასწრების წესებს, ხომ არ აჭარბებენ მძღოლები დადგენილ სიჩქარეს. მხოლოდ ძალზე ამტან, კარგად ნავარჯიშებ ადამიანს შეუძლია ყოველდღიურად, დღისით თუ ბნელ ღამეში, ყინვასა თუ წვიმაში იდგეს საგუშაგოზე ან განუწყვეტლივ იმოძრაოს მოტოციკლითა და ავტომანქანით და საათობით ადევნოს თვალი მოძრავ ავტომანქანებს.

მე უკვე გითხარით, რომ ავტოინსპექცია ავტომანქანების ტექნიკურ გამართულობასაც აკონტროლებს.

როგორ ხდება ეს?

წლის დასაწყისიდანვე შეხვდებით ქუჩებსა და გზებზე ავტომანქანებს, რომლებსაც საქარე მინაზე მიკრული აქვთ ტალონები ახალი წლის აღმნიშვნელი ციფრებით. ტალონის მეორე მხარეს აწერია: „ტექნიკური დათვალიერება გაიარა“, იქვეა სახელმწიფო ავტოინსპექტორის ხელისმოწერა და ბეჭედი.

ოქტომბრელთა ფეფები კი არა, წინამძღოლები ხართ!

(დასასრული)

ბენ და მემანქანე ნიშანს იძლევა, ექსპრესი ადგილიდან იძვრის... მეგობრობის ექსპრესი სოციალისტური სახელმწიფოების დედაქალაქებში — სოფიაში, ვარშავაში, ბუდაპეშტში, პრაღაში, ბუქარესტში, ბერლინში ჩერდება.

სოფიაში მათ საყვარელი სიმღერებით „ხვდებიან“ ჩავდარელები, მოუთხრობენ თავიანთ საქმიანობაზე; ქართველ მეგობრებს იწვევენ ცეკვების შესასწავლად, ხოლო დამშვიდობებისას ახალ მეგობრებს ლამაზად გაფორმებულ მოსაწვევებს სთავაზობენ, ასე „ეწვევა“ ოქტომბრელთა ექსპრესი ჩეხოსლოვაკიელ ისკორკას, პოლონელ ზუხებს, უნგრელ კეშდობოშებს, რუმინელ შევარდნებს, ვიეტნამელ ავგუსტიონებს, მონღოლ ბოგარიტებს და ა. შ. პიონერებს შეუძლიათ პატარებისთვის თამაში-მოგზაურობის გაცნობის შემდეგ მოაწყონ „ოქტომბრელთა მეგობრობის ფოსტა“.

„ხტუმრად გაიდართან“. — ამ შეკრება-შესვენების დროს ოქტომბრელები შეხვდებიან რაზმეულის თემურელთა გუნდის მეთაურს, მისი დახმარებით ისაუბრებენ გაიდარის ნაწარმოებთა გმირებზე; გუნდის მეთაური მათ გააცნობს თემურელთა მუშაობას, მისცემს დავალებებს.

„წინ, ბიჭებო!“ — ამ კოლექტიურ თამაშში, რომელსაც სამხედრო-სპორტული ესტაფეტის სახე აქვს, ოქტომბრელები თავიანთ მოხერხებულობასა და ძალას ამოწმებენ, საბჭოთა არმიის საგმირო საქმეთა ცოდნას გამოავლენენ ვიქტორინაში „დაუმარცხებელი, ლეგენდარული“. გამარჯვებულები შემდეგ შეასრულებენ სამწყობრო სიმღერებს, ჯილდოვდებიან სიგელებით.

„ლენინის სახელით, ლენინის ორდენით“. ასეთი შეკრება-შესვენების დროს შეიტყობენ, თუ როდის მიენიჭა პიონერთა ორგანიზაციას ლენინის სახელი; როდის და რისთვის დაჯილდოვდა პიონერთა ორგანიზაცია ლენინის ორდენით, პიონერებიდან ვინ დაჯილდოვდა ასეთი მაღალი ჯილდოებით და როგორ ახორციელებენ დღევანდელი პიონერები თავიანთი კეთილი საქმეებით ნორჩ ლენინელთა კანონებს.

„წითელი ყელსახვევი ჩემს ოჯახში“. — ოქტომბრელთა ეს ოპერაცია ერთი კვირის მანძილზე მიმდინარეობს, ბავშვები შინ მშობლებს ეკითხებიან, როგორ მიიღეს ისინი პიონერთა ორგანიზა-

ეროვნული ბიბლიოთეკა

, თანდათანობით ასეთი ავტომანქანების რაოდენობა მატულობს და ზაფხულის დასასრულს თითქმის ყველა მათგანს აქვს ასეთი ტალონი. ეს იმას ნიშნავს, რომ ყველა ავტომანქანას ჩაუტარდა ტექნიკური დათვალიერება ავტოინსპექციაში. ეს ტალონები მძღოლებს ავტოინსპექციის რაიონულ ქვეგანყოფილებებში მას შემდეგ ეძ-

ლევათ, რაც მისი თანამშრომლები ყურადღებით გასინჯავენ ავტომანქანას, შეამოწმებენ, ტექნიკურად გამართულია თუ არა იგი.

გარდა ზემოჩამოთვლილისა, ავტოინსპექციას სხვაც ბევრი სერიოზული საქმე ევალება, რომელთა ჩამოთვლა შორს წაგვიყვანდა და არც თქვენთვისაა ჯერჯერობით საინტერესო. ძალზე ხშირად ქალაქის ქუჩებში მილიციის ფორმიანი ავტოინსპექტორის გარდა შეიძლება შეხვდეთ მოქალაქეს კვერთხითა და წითელი სამკლაურით. ეს საზოგადოებრივი ავტოინსპექტორი — ავტორაზმელია, მოხალისე, რომელიც ეხმარება ავტოინსპექციის თანამშრომლებს წესრიგის დაცვაში ქუჩებსა და გზებზე. კვერთხი და წითელი სამკლაური მიანიშნებს მძღოლებს, რომ მას, ისევე როგორც ავტოინსპექტორებს, დავალებული აქვს თვალყური ადევნოს მოძრაობას მოცემულ უბანზე, დაიცვას საგზაო წესების მოთხოვნები. ავტორაზმელს მძღოლები და ფეხით მოსიარულეები ისევე უნდა დაემორჩილონ, როგორც საგზაო-საპატრულო სამსახურის ინსპექტორს.

საზოგადოებრივ ავტორაზმელებს გამოყოფენ ფაბრიკები და ქარხნები, ინსტიტუტები და წარმოება-დაწესებულებები; არჩევენ ყველაზე უფრო დისციპლინიან თანამშრომლებს, რომლებმაც შესანიშნავად იციან საგზაო მოძრაობის წესები და შეუძლიათ მკაცრად, მაგრამ სამართლიანად მოსთხოვონ პასუხი იმ მოქალაქეებს, რომლებმაც ეს წესები დაარღვიეს.

დიდ დახმარებას უწევენ ავტოინსპექციას



ნორჩ ავტოინსპექტორთა რაზმები, რომლებიც თითქმის ყველა სკოლაშია ჩამოყალიბებული, ასეთი რაზმი, ალბათ, თქვენს სკოლაშიც არსებობს. მოძრაობის ნორჩ ინსპექტორთა რაზმების ძირითადი ამოცანაა, აქტიური მონაწილეობა მიიღონ მოძრაობის უსაფრთხოების პროპაგანდაში ბავშვთა და მოზარდთა შორის, თავიდან აიცილონ მათ მიერ საგზაო მოძრაობის წესების დარღვევა.

მოძრაობის ნორჩი ავტოინსპექტორები ორგანიზაციას უკეთებენ საგზაო მოძრაობის წესების შესწავლას მოსწავლეების მიერ, აფორმებენ მოძრაობის უსაფრთხოების კაბინეტებს, კუთხეებს, სტენდებს და სხვ. ისინი ეხმარებიან უფროსებს საბავშვო ავტოდრომების მოწყობაში, ატარებენ ვიქტორინებს, შეჯიბრებებს.

როდესაც თქვენც გახდებით ამ რაზმის წევრები და მოძრაობის ნორჩი ინსპექტორის უფლება-მოვალეობას შეისწავლით, მოგცემენ სპეციალურ მოწმობას და სამკერდე ნიშანს, რაზმის წევრი კი შეიძლება გახდეს ყველა ბავშვი, ვისაც 10 წელი შეუსრულდა.

აი, ჯერჯერობით სულ ესაა, რისი თქმაც მინდოდა თქვენთვის. თქვენ უკვე გაეცანით საგზაო მოძრაობის იმ ელემენტარულ წესებს, რომელთა განუხრელი დაცვა აგაშორებთ ხიფათს გზებსა თუ ქუჩებში, იმედი მაქვს, ყურად იღებთ ჩემს რჩევას და მოძრაობისას თვითონაც განუხრელად დაიცავთ ქუჩებისა და გზების კანონებს, თქვენ მეგობრებსაც მოუყვებით მათზე, აუწერთ და თვალნათლივ დაანახვებთ იმ დიდ უსიამოვნებას, რაც შეიძლება საგზაო მოძრაობის წესების დარღვევას მოჰყვეს.

მხატვარი ედ. ამბოკაძე

ციის რიგებში, რა პიონერულ დავალებებს ასრულებდნენ, რა კეთილი საქმეებით იყვნენ დაკავებულნი მათი რაზმის, რაზმეულის პიონერები, რა პროფესიისა გახდნენ ყოფილი პიონერები.

„მინდა გავხდე პიონერი!“ — ოქტომბრელთა ეს შეკრება-შესვენება შეიძლება გულახდილი საუბრის სახით წარიმართოს, თავიდან ოქტომბრელთა ვარსკვლავებში, შემდეგ კი — ჯგუფებში. ოქტომბრელები ყვებიან იმის შესახებ, რაც მათ ახწავლეს, თვითონვე არკვევენ, მათ შორის ვინ არის უკვე მზად პიონერთა ორგანიზაციის რიგებში შესახვლელად.

ნათელა ფაილოძე

ეპიკური

მოვალეობის მოხდა

ჯონმა პოლიციელად დაიწყო მუშაობა. პირველსავე დღეს ლეიტენანტმა უთხრა: „ჯონ, დასაწყისისთვის გაძლევ ყველაზე წყნარ უბანს: სადგურის შენობიდან იმ წითელ სინათლემდე და უკან“.

ჯონი ორი დღით გაუჩინარდა.

„სად ეშმაკებში იყავი?“ — დაუყვირა ლეიტენანტმა, როცა ჯონი დაბრუნდა. — „განა არ გითხარი, რომ შენი უბანი აქედან იმ წითელ სინათლემდეა-მეთქი!“

„დიახ, მითხარით, მაგრამ ის წითელი სინათლე ხომ მანქანას ჰქონდა უკან, ხერ!“

ახლომახედველის შეცდომა

ერთ დღეს ძლიერმა ქარმა ახლომხედველ კაცს ქუდი მოხტაცა. იგი დაედევნა „გაქცეულ“ ქუდს. მახლობელი ფერმიდან ერთმა ქალმა დაუძახა:

„რას აკეთებთ მანდ, ბატონო?“

„ჩემს ქუდს მივდევ“, — მიუგო კაცმა.

„თქვენს ქუდს?“ — წამოიძახა განცვიფრებულმა ქალმა. — „ეგ ხომ ჩვენი შავი ვარიაა!“

უსიამოვნო ღამე

მოგზაურმა მისტერ ბრაუნმა ძალზე ფხიზელი ძილი იცოდა. ერთხელ იგი ღამის გასათევად ერთ პატარა სასტუმროში დაბინავდა. ის იყო ჩაეძინა, რომ კარზე კაკუნი გაისმა. ბრაუნი საწოლზე წამოჯდა.

„რა მოხდა?“ — იკითხა უკმაყოფილოდ.

„დაბლა ამანათია თქვენთვის მოსული, ხერ“.

„კარგი, იქ იყოს, მე მგონია, შეიძლებოდა დილამდე დაცდა“.

ბიჭი წავიდა. როცა მისტერ ბრაუნს ჩაეძინა, ხელმეორედ გაისმა კაკუნი.

„ეშმაკმა დალახვროს, კიდევ რა მოხდა?“ — იკითხა მისტერ ბრაუნმა.

„ის ამანათი თქვენი არ ყოფილა, ხერ“, — უპასუხა ბიჭმა.

თარგმნა ნაზი მიქელაძემ

პიონერი

ნორჩ კორესპონდენტთა ჟურნალი

№ 4

სტუმრად მეგობრებთან

ჩვენს სკოლას მოუვიდა მიპატიჟება ბელორუსიის ქალაქ მოლოდეჩნოდან. მეგობრებმა შეგვატყობინეს, რომ მათ ქალაქს 600 წელი შეუსრულდა და ამასთან დაკავშირებით მიგვიწვიეს თავისთან. ჩვენ მოვამზადეთ ლექსები, სიმღერები, 2 იანვარს კი ჩვენი სკოლის დელეგაცია მინსკში გაფრინდა. ძალიან კარგად ვიმგზავრეთ. მინსკის აეროპორტში დაგვხვდნენ ქ. მოლოდეჩნოს მე-4 სკოლის მასწავლებლები და მოსწავლეები. მინსკიდან ელექტრომატარებლით ქ. მოლოდეჩნოში ჩავედით. სკოლაში დაგვაბინავეს. მეორე დღეს დაგვათვალიერებინეს ქალაქი, ძალიან მოგვეწონა. 4 იანვარს კი დაიწყო მეგობრობის ფესტივალი. საღამოს ყველა დელეგაციის წევრებმა ერთად ვიმღერეთ მსოფლიო დემოკრატიული ახალგაზრდობის ჰიმნი. როდესაც ჩვენი დრო დადგა, ავედით სცენაზე, მივესალმეთ მეგობრებს, მერე კი ვიმღერეთ „სულიკო“, მთელი დარბაზი აგვყვა და ჩვენთან ერთად მღეროდა. კვლავ ვეწვიეთ ქ. მინსკს, ვიყავით დიდი სამამულო ომის მუზეუმში, ვნახეთ ხატინი, ფაშისტების მიერ გადამწვარი ბელორუსული სოფელი, ხალხმა ომის მსხვერპლთა საპატივსაცემო მემორიალად რომ აქცია. ვუყურებდით მჭედელ იოსებ კამენსკის ძეგლს, სვეტებს წარწერებით, მათ თავზე ჩამოკიდებულ ზარებს და ჟრუანტელი გვივლიდა. ხატინი არ უნდა განმეორდეს!

ვნახეთ ბრესტის ციხესიმაგრეც. მასპინძლებმა ბრესტის მიწა გადმოგვცეს სამახსოვროდ. დაღუპულთა შორის ბევრი ჩვენი თანამემამულის გვარიც ამოვიკითხეთ.

მაკა ძამნაშვილი,
გარდაბანი, სართიჭალის მე-2 საშუალო სკოლა, V კლასი.

სინანული

შავად შეგიღებავს გრძელი
წამწამები
და ისე კეკლუცობ და იპრანჭები,
თითქოს მეც კი მჯობდე
მაგ უშნო დალალებით, —
ჯავრობს ვარდი...
ყაყაჩო კი გულმოკლული
ტირის, ტირის და წითლდება.
ახლა უკვე ვარდიც ნანობს...
მაგრამ მისი რა ბრალია,
ეკლიანი რომ აქვს ენა?
მას საერთოდ არ უნდოდა
იმ ყაყაჩოს გულისტკენა.

ახალი დედოფალა

რაღაც ცერად გადმოხედეს
ჩემმა ძველმა თოჯინებმა
ლურჯთვალება დედოფალას
(ეს ახალი დედოფალა
ბებომ გუშინ მომიყვანა).
— რად დაღონდით, თოჯინებო,
რა შეგემთხვათ ამისთანა?
როგორ ფიქრობთ,
ძველ მეგობრებს
ახალს ვამჯობინებ განა?!

მაია ბერბერაშვილი,
თბილისი, 173-ე საშუალო სკოლა, XI კლასი.

ჩვენც ახლებურად ვიმუშავებთ

პიონერთა IX საკავშირო შეკრებამ ბევრი რამ დაგვანახა და გვასწავლა. ახლა ჩვენ უკვე ვიცით, რა ძირითადი მიმართულებით უნდა წარმართოთ მუშაობა, რათა რაზმეულის ცხოვრება დროის მოთხოვნილების შესაბამისად გარდაიქმნას. რაზმეულში ბევრი ვიმსჯელეთ შეკრების მიერ მიღებული გადაწყვეტილების გარშემო და შესაბამისი დასკვნებიც გავაკეთეთ.

ჩვენი გოგო-ბიჭებმა ალბომი ეძღვნებოდნენ ორჯონიკიძის სახელობის კოლმეურნეობას, ახლა კი შრომითი ხელშეკრულება დავდეთ მასთან. ხუთწლედის შრომითი საქმეების შტაბში შევქმენით „შრომითი დესანტი“, რომლის შემადგენლობაში შევიყვანეთ ყველაზე აქტიური, კეთილსინდისიერი მოსწავლეები. „შრომითი დესანტი“ მე-3 ბრიგადის წევრების მხარდამხარ შრომობდა სიმინდის აღებაზე, კომბოსტოს ჩითილების დარგვაზე. ჩვენ მე-2 ბრიგადის მებოსტნეებსაც დავეხმარეთ ბოლოკის აღებაში. მეცხოველეებსაც ვეხმარებით, ყოველ კვირას დავდივართ ფერმაში. ნამდვილად მთელი მონდომებითა და თავიანთი შრომის საჭიროების შეგნებით ირჯებიან პიონერები, და ალბათ არც გასაკვირია, რომ კოლმეურნეების დიდი სიყვარული დაიმსახურეს. უფროსებს ნორჩების თვითმოქმედებაც ძალიან მოსწონთ, სიამოვნებით ესწრებიან მათ კონცერტებს. ერთ-ერთი ასეთი კონცერტის შემდეგ პიონერებმა შრომის ვეტერანებს აჩუქეს ოჯახში გამოსადეგი თავიანთი ნახელავი — ხორცის დასაჭრელი ფიცრები, ყვავილის ქოთნების დასადგმელები, ქანდარები საქათმისათვის და სხვ.

საინტერესოდ ჩატარდა რაზმეულის შეკრება თემაზე: „გარდაქმნა ოქტომბრის საქმის გაგრძელებაა. რევოლუცია გრძელდება“. შეკრებაზე კოლმეურნეობის გამგეობის წარმომადგენლებმა საპატიო სიგელებით დააჯილდოვეს ჩვენი „შრომითი დესანტი“.

ზამთრის პერიოდში, როცა კოლმეურნეობაში არცთუ ისე ბევრი საქმე იყო, ბავშვები სკოლის სადურგლო სახელოსნოში სხვადასხვა სუვენირებს ამზადებდნენ, მათი ნახელავი კოლმეურნეობის კლუბში გამართულ სოლიდარობის ბაზარზე გაიყიდება.

ნაზი გოგსაძე,
გუდაუთა, დამხმარე სკოლა-ინტერნატის უფროსი პიონერხელმძღვანელი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

შუქფარები ფრინველთა გადასარჩენად

მრავალი ფრინველი, მათ შორის იშვიათი ჯიშისა, იღუპება ჰავაის კუნძულ კაუაის მოკაშკაშე ქუჩის ფარნებთან შეჯახების შედეგად. ამას წინათ კუნძულის ხელისუფალთა ბრძანებით ფარნებზე შუქფარები დააყენეს.



შოშიები — ჰიგიენისტები

ამერიკელმა ორნითოლოგებმა შეამჩნიეს, რომ ბუდის აგებისას შოშიები ფიჩხს, თივასა და ხავსს სტაფილოსა და ბისკავას ნორჩ ფოთლებს უმატებენ. თურმე ფიტონციდები, რომლებსაც ეს მცენარეები გამოყოფენ, ხელს უშლიან მავნე ბაქტერიებისა და მცენარეების გამრავლებასა და დაავადებებისაგან იცავენ ბარტყებს.

ვერონტოლოგია ცხვრებისათვის

ინგლისელ ფერმერს, ერფორდელ დეივ ბრაუნს ძალიან ეცოდებოდა თავისი ცხვრები: როგორც ჩვეულებრივ ხდება ხოლმე, გარკვეული დროის შემდეგ მათაც უცვდებოდათ კბილები, ცხოველები ნორმალურად ვერ იკვებებოდნენ და იხოცებოდნენ. ეს გარემოება რომ არა, ძვირფასი მატყლის მქონე მერინოსები კიდევ კარგა ხანს იცოცხლებდნენ. და აი, გამჭრიახი ფერმერის დაკვეთით შვეიცარიელმა სპეციალისტებმა ცხვრებისათვის დაამზადეს ლითონის ხელოვნური ყბები. ფერმერმა და მისმა მუშებმა სწრაფად აითვისეს ბებერი ცხვრებისათვის ახალი კბილების ჩასმის ხერხი და ამით სიცოცხლე გაუხანგრძლივეს ასზე მეტ ცხოველს.

ბუხრის მწმენდავთა მუზეუმი

იტალიის ქალაქ ნოვარის ახლოს, სოფელ სანტა-მარია მაჯორში, გახსნილია ბუხრის მწმენდავთა მუზეუმი. მასში გამოფენილია მათი ტანსაცმელი, სხვადასხვა იარაღი და ხელსაწყო, რომლებსაც იყენებდნენ მწმენდავები საუკუნეთა განმავლობაში. მუზეუმის ამ ადგილზე გახსნა შემთხვევითი როდია, სწორედ ამ რაიონის მკვიდრნი არიან ბუხრის მწმენდავები, რომლებიც თაობიდან თაობამდე ემსახურებიან აპენინის ნახევარკუნძულის მცხოვრებლებს.

იცი?

15 წუთში ღამურა 175-190 კოღოს იჭერს ხოლმე.

ევროპაში გველის კბენისაგან ხუთ წელიწადში ერთი კაცი იღუპება, აშშ-ში — 15, აფრიკაში — 1000.

ბუზი წითელსა და ნარინჯისფერს საერთოდ ვერ ხედავს, ყვითელი ფერი იზიდავს, ცისფერი და მწვანე კი აღიზიანებს.

ყოველი ათასი კილომეტრის გავლისას ავტომობილი წვავს იმდენ ჟანგბადს, რამდენიც ერთ ადამიანს მთელი სიცოცხლის განმავლობაში სჭირდება.

ბუზი ერთ ზაფხულს ცოცხლობს, მაგრამ ამ დროის განმავლობაში შეიძლება იყოლიოს 9 თაობა 190 კვინტილიონის (ერთიანი 18 ნულით) საერთო რაოდენობით.

დიდი ქალაქის ჰაერის ყოველი კუბური სანტიმეტრი 1000,000 მტვრის ნაწილაკს შეიცავს.

მკვლევართა დაკვირვებით, ბაყაყის სიცოცხლის ხანგრძლივობა 9 წელია.

შინაურ ქათამს 7 სხვადასხვა სიგნალის გადმოცემა შეუძლია.

ობობას ძაფი დედამიწის ეკვატორს რომ შემოაკრა, მისი წონა სულ რაღაც 340 გრ იქნება (ეკვატორის სიგრძე დაახლოებით 40075,5 კმ-ია).

ტყეში ფოთოლცვენისას მიწის ყოველ ჰექტარს 2 ტონამდე საერთო წონის ფოთლის მასა ეფინება.

ფუტკარი წამში 26 400-ჯერ იქნევს ფრთებს.

ზაფხულში ბავშვები გაცილებით უფრო სწრაფად იზრდებიან, ვიდრე წლის სხვა დროს.

ტყის თხილი შეიცავს 67% ცხიმს, 20% ცილასა და 10% შაქარს. მისი კალორიულობა პურისა და რძის კალორიულობაზე მეტია.

თევზები ფერებში ცუდად „ერკვევიან“, მუქ ყავისფერს კი საერთოდ ვერ ხედავენ.

● თუ ს

ეროვნული ბიბლიოთეკა

კროსვორდი



თარაზულად: 1. რისამე მარაგი; 4. მოწმობა, რომელიც იძლევა კერძო საქმიანობის უფლებას; 7. რისამე მიმდინარეობის სისწრაფე; 10. ქალაქი ინდიანას შტატში (აშშ); 11. გეგეჭკორის რაიონის კუ-ლობს ადამიანთა საზოგადოების განვითარებას; 20. ჭიურ გიული ოპერაციის საწყისი ეტაპი; 21. რჩევა, დარიგება, რომელსაც უტოვებენ მემკვიდ-რეებს; 22. კონცხი ჰავაის კუნ-ძულებზე; 23. ესპანეთის ერთ-ერთი უდიდესი ქალაქი; 24. ძალიან დიდი ტანის ადამიანი ან ცხოველი.

შვეულად: 2. სამხრეთ ამე-რიკის სახელმწიფო; 3. პლა-ნეტის თანამგზავრი; 5. ბერ-ძენთა უმამაცესი გმირი, რომელიც მონაწილეობდა ტროის აღებაში; 6. აზიის ერთ-ერთი უდიდესი მდინარე; 8. სის-ტემაში მოყვანა, მოწესრიგება; 9. წარმოების აღჭურვა მან-ქანებითა და მექანიზმებით; 14. რისამე დამახასიათებელი ნი-შანი; 15. კუროორტი სტავრო-პოლის მხარეში; 17. კუთხე, რომელიც იქმნება მოცემულ მიმართულებასა და ჩრდილო-ეთის მიმართულებას შორის; 19. კომედიური ხასიათის მუ-სიკალურ-სცენური ნაწარმოე-ბი, რომელშიც ერთმანეთს ენაცვლება სიმღერები, ცეკვე-ბი და ლაპარაკი.

შეადგინა
ალ. გოგრგიშვილმა

შარადები

ღირებულების საზომი
ნიშანი გვინდა ახლა,
ჩვეულებრივად ქაღალდის
ან ლითონისა გახლავს.
თუ იმ თანხმოვანს შეუცვლი,
პირველი როა რიგით,
სიდიდის არარსებობის
აღმნიშვნელია იგი.

●

დიდი და მსხვილი ჯოხია,
რა ჰქვია, თუკი იტყვი,
შეიკვეცება მარტოდენ
კიდური ბგერა სიტყვის.
მისი მომდევნო სახელი
სინონიმია კენტის. —
ულამაზესი ჩიტია,
სხვა რაღა გითხრა მეტი!

●

შარადა უნდა ავკინძოთ
ორი ტოლ-ტოლი სიტყვით:
პირველი ჩიტის ბინაა,
სახელს უმალვე იტყვი.
მეორე— „მწუხარებაა
სხვისა კეთილსა ზედა“.
ერთად კი ყურძნის ჯიშია;
რომელი არის ნეტავ?

მეტაგრამა

რაც ბოლო ხმოვანს
შეიცვლის —
მსხვილი და გრძელი ნემსია
(სულ სხვა სახელად რომ
იქცეს,
ვით მეტაგრამის წესია).

შ. ამირანაშვილი

პასუხი № 3-ში მოთავსებულ „სხრაკლიბულზე“

კროსვორდი

თარაზულად: 6. შტურმი; 7. რაკეტა; 8. რეესტრი; 9. ავიაცია; 10. რისკი; 13. კაკაო; 15. ბაიკა; 17. ბუდიონი; 18. აქსიომა; 19. იმამი; 21. ტაიგა; 23. ირისი; 25. ჭოგრიტი; 27. დნესტრი; 28. არწივი; 29. სურამი.

შვეულად: 1. ატლასი; 2. ბირუა; 3. პასკალი; 4. პრიმა; 5. იტალია; 11. სანდალი; 12. ისტორია; 13. კონსული; 14. კურორტი; 15. ბრიგი; 16. ბბატი; 20. აგრესია; 22. ამპერი; 24. საირმე; 25. ჭედია; 26. ირისი.

გამოცანები

მუხა, წისქვილი,
ჩანჩქერი, კომბალი,
ფეხბურთი, მაკრატელი.

არითმეტიკული თავსატეხი



გამოცანები

●

ხომალდიდან დაინახეს
ეს ცალთვალა გოლიათი.
გაუხარდათ მეზღვაურებს:
— კარი ღია ჰქონიათო!

ექვსნიშნა რიცხვი

ექვსნიშნა რიცხვი იწყება ერთით და მთავრდება შვიდით. თუ შვიდიანს ერთის ადგილას გადაიტან, რიცხვი ხუთჯერ გაიზრდება. მოძებნე ეს რიცხვი.

13 გუშაგი

საწყობი სამკუთხა ფორმისა იყო. წესით, ერთი კედელი უნდა დაეცვა 8 გუშაგს, მეორე — 5-ს, მესამე — 8-ს. დაცვა კი მხოლოდ 13 კაცისაგან შედგებოდა. როგორ უნდა განელაგებინათ გუშაგები, რომ შეესრულებინათ დაცვის პირობა?

●

ხმიადივით ბრტყელია,
ლამბაქივით მრგვალი,
შიგნით მარტო ხორცია,
გარეთ — მარტო ძვალი.

ნ. მარიხია

თავსატეხი

დახაზეთ ეს ფიგურა ხელის აუღებლად.

ერთხელ გავლებულ ხაზს ფანქარი მეორედ არ გააყოლოთ.

6134/97.

ეროვნული ბიბლიოთეკა

მანანა ზედგინიძე. ქარელი. თამარაშენი. VI კლასი.

თეა ჩხარტიშვილი.
მახარაძე. ჯუმათი.

ირაკლი ბურჭულაძე. 7 წლის.

ირაკლი მჭედლიშვილი. 7 წლის.

ირაკლი მირზაშვილი. 5 წლის.

„ბაზაფხული". მარინა წიკლაური.
სურამი. მე-2 საშუალო სკოლა. VII კლასი.

„ერიამული ტყეში". ჯაბა ზურგიანი.
მესტია. 10 წლის.